

იოსებ ბოცვასძე

აღმოსავლური ფილოსოფია

ქართულ
ლიტერატურულ
კრიტიკაში
(1852-1921 წწ)

ს ა ს ე ლ გ ა შ ი
19 · თ ბ ი ლ ი ს ი · 56

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიას მკვლევართა ერთი ნაწილი ალექსანდრე ქავჭავაძის შემოქმედების განხილვით იწყებს, რადგან იგი მიაჩნიათ ჩვენს მწერლობაში ახალი მიმართულების — რომანტიზმის დამწყებად.

მკვლევართა მეორე ჯგუფი აფართოვებს რომანტიზმის ფარგლებს და ამტკიცებს, რომ მისი სათავე ემიგრანტული ლიტერატურიდან მომდინარეობს. ამ უკანასკნელის წიაღში წარმოქმნილმა რომანტიზმმა შემდგომი განვითარება ბატონი-შვილების პოეზიის სახით ჰპოვა. ალ. ქავჭავაძის უდიდესი დამსახურება კი იმაში მდგომარეობს, რომ მან მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რომანტიზმი განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა და წამყვან ლიტერატურულ მიმართულებად აქცია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი შეხედულება სავსებით მართებულია, იგი აღორძინების ხანისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლიდან გამომდინარეობს.

ალექსანდრე გარსევანის ძე ქავჭავაძე გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია; მისი პოეზიით გადაიშალა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის დიდი წიგნი, რომელშიც მკვეთრი ასახვა ჰპოვა პოეტის ეპოქის საზოგადოებრივმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ცხოვრებამ.

ალ. ქავჭავაძე ორი საუკუნისა და ორი კულტურის მიჯნაზე იდგა; ერთის მხრით, მას ასაზრდოვებდა ძველი ქართული ლიტერატურის ძარღვმაგარი ტრადიციები და განმანათლებ-

ლების თავისუფლების მოყვარეობა, ხოლო მეორეს მხრით, იგი ღრმად სწვდებოდა მე-19 საუკუნის სოციალურ-პოლიტიკურ იდეებს, რომელთაც რუსეთის, საქართველოს და დასავლეთ-ევროპის მოწინავე მოაზროვნეთა საშუალებით ეცნობოდა. მან შესძლო განეგრძო ძველი ქართული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციები, გაემდიდრებინა იგი ახალი, ეპოქის შესაბამისი მოწინავე იდეებით და რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, საქართველოში გაბატონებულ და ძირითად მიმართულებად ექცია.

აღ. ქავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა მეტად მრავალფეროვანია. მისი შემოქმედების მთავარი ნაკადი ეროვნული ლირიკაა, რომელიც, მებრძოლი სულით გაჟღენთილი, მტკიცე ოპტიმიზმით ხასიათდება.

აღ. ქავჭავაძე ერთი პირველი პოეტთაგანია მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც მკვეთრად შემოიტანა სოციალური მოტივი, ორგანულად დაუკავშირა იგი ეროვნულ იდეას და მოურიდებლად ამხილა ყოველგვარი ჩაგვრისა და ძალმომრეობის ბოროტება. პოეტმა უგალობა სიყვარულის გრძნობასაც. სიყვარულის თემა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოვლინდა მის პოეზიაში, მაგრამ არა იზოლირებულად, არამედ მკვიდროდ დაუკავშირდა მისი შემოქმედების ძირითად ნაწილს, მის მოქალაქეობრივ პოეზიას.

აღ. ქავჭავაძის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის უდიდესი დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი არ შემოიფარგლა ნაციონალური თემატიკით და მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებსაც შეეხო, ღრმად ჩაუფიქრდა ზოგად ადამიანურ კითხვებს, რის შედეგადაც პოეტის მუშაშემქმნა მსოფლიო სეგდის გამომხატველი ქართული რომანტიკული ლირიკის რამდენიმე შედეგია.

თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით აღ. ქავჭავაძემ „პოეზიაში გზა გაუხსნა ადამიანის პირად განცდებს და წამოაყენა ახალი ჰუმანური პრინციპები. პოეტმა გამოხატა პირველი ნიშნები დიდი გარდატეხისა, რომელიც ამ დროს მოხდა ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ეს იყო აღ. ქავჭავაძის, რო-

გორც შემოქმედის, დიდი ისტორიული დამსახურება, რამაც მას ქართული ლიტერატურის პანთეონში კლასიკოსის საპატიო ადგილი მოუპოვა“¹.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ალ. ქავჭავაძის პოეტუ-კაში შეინიშნება ძლიერი მისწრაფება ახალი ფორმებისაკენ. მან „მოხერხებულად გამოიყენა ქართული კლასიკური ლექსის მონაპოვრები, მისცა მას უფრო ორიგინალური ხასიათი და ქართული კლასიკური პოეზიის მდიდარი ტრადიცია მოიმარჯვა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობისა და სტილის განვითარებისათვის, რითაც მან ნიადაგი მოუმზადა რომანტიკოსთა შემდეგ თაობას“².

ალ. ქავჭავაძის ადგილი ქართული რომანტიზმის განვითარების ისტორიაში დღეს გარკვეულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე პოეტის შემოქმედების შეფასებაში აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ალ. ქავჭავაძის სახელი ქართველი საზოგადოებისათვის მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლებიდანვე იყო ცნობილი, რომ თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე იგი გვევლინებოდა ქართული მწერლობის ტონის მიმცემად, ლიტერატურული კრიტიკა მაინც ვერ ახერხებდა გარკვეული შტკიცე აზრი გამოეთქვა პოეტის შემკვიდრეობის შესახებ. მკვლევართა ერთმა ნაწილმა, საკითხის არა საფუძვლიანი შესწავლის შედეგად, ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში მხოლოდ სატრფიალო-სამიჯნურო მოტივები დაინახა, მეორემ—ეროვნული გრძნობის სიმცირე, მესამე ნაწილმა სცადა ანალოგიური უმართებულო შეხედულებათა დარღვევა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შესძლო პოეტის შემოქმედების სრულყოფილი შეფასება. აქ შემთხვევაში გამონაკლისს იღია ქავჭავაძე წარმოადგენს. არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ქართული ლიტერატურული კრიტიკა ძალიან გვიან დაინტერესდა ალ. ქავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობით. პოეტის გარდაცვალებიდან თითქმის

¹ გ. აბზიანიძე, ქართველი კლასიკოსები, გვ. 46.

² დ. გამხარდაშვილი, ალ. ქავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, გვ. 230.

მთელი მეოთხედი ხაუკუნის მანძილზე ლიტერატურულ კრიტიკას სიტყვა არ დაუძრავს ალ. ქავკავაძის შემოქმედების ირგვლივ.

ფეიქრობთ, მხედველობაში არ მიიღება დ. ყიფიანის წერილი, გამოქვეყნებული გაზ. „Кавказ“-ში, 1846 წ., № 45, და პ. იოსელიანისა გაზ. „Закавказский вестник“-ში, 1846 წ., № 23, რადგან ისინი თავისი ხასიათით ნეკროლოგებს წარმოადგენენ.

1852 წლიდან 1865 წლამდე თბილისის პერიოდულ ორგანოებში დაიბეჭდა რამდენიმე ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის წერილი; მათი ავტორებიც ალ. ქავკავაძის სახელის მოხსენიებით კმაყოფილდებოდნენ, ანდა მისი ზოგიერთი ნაწარმოების ირგვლივ რამდენიმე სიტყვით თავის აზრს განოსტკვამდნენ.

მაგალითად, 1852 წ. გაზ. „Кавказ“-ის მეათე და მეთრამეტე ნომრებში მ. თუმანიშვილი, ეხებოდა რა ქართული თეატრის საკითხებს, გადაუდებელ ამოცანად აყენებდა შექმნილიყო ორიგინალური დრამატურგია „შოთა რუსთაველის ნაწი ენით, ან ქავკავაძის, ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის და თვით გიორგი ერისთავის ენით დაწერილი“. აქვე მ. თუმანიშვილი შენიშნავდა, რომ „ეს სახელები, რასაკვირველია, ახალი და უცნობია მკითხველებისათვის, მაგრამ ისინი დიდი ხანია ცნობილია ხალხში ხელნაწერი პოემებითა და სიმღერებით, რომლებიც იმდენად საყვარელი არიან აქ, რომ იშვიათად აღვილობრივთაგან ვინმემ არ იცოდეს რამდენიმე მაინც ზეპირად. შეიძლება მე მომეცეს საშუალება „ქავკაზის“ მკითხველები მათ გავაცნო“.

საწინააღმდეგოდ, მ. თუმანიშვილს, როგორც ჩანს, არ მისცემია შემთხვევა „Кавказ“-ის მკითხველებისთვის გაეცნო ზემოხსენებულ მწერალთა და კერძოდ ალ. ქავკავაძის შემოქმედება.

1854 წლის გაზ. „Кавказ“-ში დაიბეჭდა დ. ყიფიანის ვრცელი წერილი: „რამდენიმე აზრი საქართველოს ისტორიის ნასალებზე“. ამ წერილში ავტორი შეეხო ქართული ლიტერატურის საკითხებსაც. მან გაილაშქრა „ლექსების უნიკო

მოჯახირეების“ წინააღმდეგ, რომელნიც რიგობას სწირავენ აზრს, და ალექსანდრე ქავქავაძე მოიხსენია რუსთაველის, თმოგველის, ჩახრუხადის, შავთელის, ბეს. გაბაშვილის, გრ. ორბელიანის ბრწყინვალე სახელებთან ერთად, რომელთა ნაწარმოებნიც სიამოვნებით იკითხება და „ცხადად ესიტყვება გულსა და გონებას“.

სამი წლის შემდეგ, 1857 წელს, განახლებულ ჟურნალ „ცისკრის“ პირველ ნომერს გაზ. „Кавказ“-ში (№ 4) ვრცელი წერილი უძღვნა ნ. ბერძნიშვილმა. ავტორი მიზნად არ ისახავს „პირველი წიგნაკის საფუძვლიან გარკვევას“ და ამიტომ მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით კმაყოფილდება, ეხება რა ჟურნ. „ცისკრის“ პოეზიის განყოფილებას, იგი ჩამოთვლის დაბეჭდილ ნაწარმოებებსა და მათ ავტორებს, ასახელებს აგრეთვე ალ. ქავქავაძეს და მის მიერ ვოლტერის „ალსარების“ თარგმანს. ამავე დროს ნ. ბერძნიშვილი შენიშნავს რედაქციას, რომ ჟურნალში „სასურველია უფრო ხშირად ეხვდებოდეთ ისეთ პოეტთა სახელებს, როგორიც არიან თავ. ალ. ქავქავაძე, ორბელიანი, ერისთავი და რამდენიმე სხვა, რომელთა ლექსებიც მხოლოდ ხელნაწერებადაა და მნიშვნელოვანი პოპულარობითაც სარგებლობენ“-ო.

წერილის ავტორმა მიმოიხილა აგრეთვე ჟურნალ „ცისკრის“ თებერვლის წიგნაკი“ (იხ. „Кавказ“, 1857 წ., № 14—15). სხვა ნაწარმოებთა შორის, იგი შედარებით ვრცლად შეჩერდა ალ. ქავქავაძის მიერ გადმოკეთებულ იგავზე „მგლისა და კრავისათვის“ და აღნიშნა: „იგი არ არის თარგმანი ლათონტენისა და კრილოვის ცნობილი იგავისა, მიბაძეაა, რომელიც გამოირჩევა დამოუკიდებლობით და გარეგანი და შინაგანი მშვენიერებით; ხშიანობა და ძალდაუტანებლობა ლექსისა, გამოთქმის უბრალოება, სიცხადე, რომლითაც ჩამოქნილნი არიან იგავის მოქმედი პირონი,—აი, მიუცილებელი თავისებურებანი ამ თხზულებისა ქართულ მიბაძვაში. ჩვენ განსაკუთრებით მოგვწონს მახვილი გამოსახვა ქანცმილეული მტაცებელი მგლისა, რომელსაც „ფერდი უჩანდა ფერდს მიკრული“ შიმშილისაგან. შემდეგ მრისხანე მიწართვა საბრალო კრავის მიმართ და, განმარტება მოსამართლესი და ბრალმდებლისა

ერთუროს შორის. ქართველ ავტორს იგავის ცნობილი ზნეობით სწავლა მისი დასკვნიდან გამოჰყავს¹.

ნ. ბერძნიშვილი უდაოდ სწორი იყო. მართლაც, ალ. ჭავჭავაძის „მგლისა და კრავისათვის“ პირდაპირი თარგმანი კი არ არის, არამედ თავისუფალი გადმოკეთება, ერთგვარი მიბაძვაა, რითაც სრულიად არ დარღვეულა იგავის შინაგანი არსობა. რაც შეეხება ნაწარმოების გარეგნულ მხარეს, როგორც ი. გრიშაშვილი აღნიშნავს, იგი „ქართული მეტყველების ფოლკლორს“ მისი შაირული წყობით მეტად ეფარდებოდა².

მომდევნო წერილებში, რომელნიც ეურნ. „ცისკრის“ სხვადასხვა ნომრების მიმოხილვას წარმოადგენს, ნ. ბერძნიშვილი არა ერთხელ იხსენიებს ალ. ჭავჭავაძეს, მის მიერ ნათარგმნ თუ ორიგინალურ ნაწარმოებებს. წერილში „Беглый и взоор 12 книг: из журнала „Заря“³ ნ. ბერძნიშვილი ალ. ჭავჭავაძის მიერ ლათონტენიდან გადმოკეთებულ იგავს „თხისა და მგელისათვის“ ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნევს. იგავ-არაკს ავტორი განსაკუთრებულ აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებს და აღნიშნავს, რომ „იგავები, საერთოდ, შეადგენენ კაზმული სიტყვიერების იმ დარგს, რომელიც ყველა წრის მიერ, რომელიც კი ფლობს წერა-კითხვას, სურვილით იკითხება; მაგრამ, თუ ამასთან ისინი გახვეულია სალექსო ფორმაში და მკაფიო ენით არის გამოთქმული, მაშინ შეიძლება სახალხოდაც კი იქცნენ“. ასეთ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება, კრიტიკოსის მართებული აზრით, ალ. ჭავჭავაძის „თხისა და მგელისათვის“. მან ასევე მაღალ-მხატვრულ ნაწარმოებად მიიჩნია ალ. ჭავჭავაძის მიერ პუშკინიდან ნათარგმნ „კაევასიის ზევი“. აღიარებდა რა ალ. ჭავჭავაძეს ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატად, ნ. ბერძნიშვილი ერთგვარ მითითებასაც კი აძლევდა „ცისკრის“ რედაქციას გამოეკვეყნებინა პოეტის ყველა ნაწარმოები. „ცნობილმა და საყვარელმა პოეტმა საქართველოში, როგორიც განსვენებუ-

¹ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 334.

² „Кавказ“, 1859 წ., № № 42, 43, 49, 50.

ლი თავ. აღ. ქაეკავაძე იყო, თავის ახალგაზრდობაში სხვა ბევრი ლექსი დაწერა, რაც მთელ რვეულს შეადგენს. ალბათ, ქართული ჟურნალის რედაქცია თანდათან ყველას დაბეჭდავს,—წერდა ნ. ბერძნიშვილი.

XIX საუკუნის 60-იან წლებში, თაობათა შორის ატეხილი ბრძოლის დროს, როგორც ძველ, ასევე ახალ თაობას თავის კრიტიკულ და „ანტიკრიტიკულ“ წერილებში დასჭირდა აღ. ქაეკავაძის სახელის მოხსენიება. ილ. ქაეკავაძე თავის სტატიებში—„ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძის ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა“ და „ქასუხი“ მიუთითებდა იმ ენის თავისებურებაზე, „რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავადმა ალექსანდრე ქაეკავაძემ“. პოეტის ამ ნიშანდობლივ მხარეს არ უარყოფდა არც გ. ბარათოვი რედაქტორისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1861 წლის „ცისკრის“ შაისის და ივნისის ნომერში გამოქვეყნდა.

1864 წელს ა. ფურცელაძემ „Литературный листок“-ში განიხილა ი. ქაეკავაძის „კაცია ადამიანი?“ (№ 3, 4) და აღნიშნა, რომ კარგის თქმა შეიძლება მხოლოდ ალექსანდრე ქაეკავაძესა და ნიკოლოზ ბარათაშვილზეო.

1865 წლის „ცისკრის“ სექტემბრის ნომერში აკ. წერეთელმა მოათავსა რეცენზია კ. ლორთქიფანიძის მიერ 1864 წელს პეტერბურგში გამოცემული ქართველი მწერლების ნაწარმოებთა კრებულის—„ჩანგურის“ შესახებ. ვრცელი მიმოხილვის შემდეგ, მისცა რა მაღალი შეფასება ნიკ. ბარათაშვილის შემოქმედებას, აკ. წერეთელი დასძენდა: „დიდ ხანმა გაიარა ბარათაშვილის შემდეგ და მის კვალზედ წასული არავინ გვინახავს. თუმცა ნიქიერი მწერლები კი გამოჩნდნენ საქართველოში და ხელოვნებაც კარგად გაიგეს, მაგალითად, თ. გ. ო. თ., აღ. ქაეკავაძე, თ. რ. ერისთავი, კ. ბ. ჯორჯაძისა და სხვანი, მაგრამ რაო? ამათ ხალხის დარდი არა ჰქონიათ, თავის ქეიფს უნდებოდნენ, ერთი ამბობდა: სულოჯან, მეორე: დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველ ცოდნასაო, მესამე: რათ შემიყვარებ, განა არ ვიცი შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუციო, მეოთხე: ეგ თვალები ცეცხლის

ბურჯღლებს ისვრისო! და სხვანი (აქ რიცხვში არ მომყავს კომედიის „გაყრა“ ავტორი, რადგან აქვე ჩვენს ლიტერატორებთან კავშირი), სხვები კი ღმერთმა შეინახოს!...“ აკ. წერეთლის ამგვარი აზრი გრ. ორბელიანის, რ. ერისთავისა და ალ. ქავჭავაძის შესახებ მცდარი, უმართებულო იყო, რაც შემდეგ თვითონვე გამოასწორა, როგორც რ. ერისთავის, ასევე ალ. ქავჭავაძის მიმართ, მაგრამ ამანვე ქვემოთ.

აკ. წერეთლის ზემოხსენებული მცდარი მოსაზრებიდან შორს არ დგას აგრეთვე ის არა სწორი შეხედულება, რომელიც დიმ. ჯანაშვილმა განავითარა წერილში „მახე“ („ცისკარი“ 1865 წ., ნოემბერი). ასახელებს რა სულხან-საბა ორბელიანს, ანტონ კათალიკოსს, დ. გურამიშვილს, ნიკიერ ალექსანდრე ქავჭავაძეს და გეოგრაფ ვახუშტის, ავტორი დასძენს: „ისტორია ლიტერატურისა ამ პირებს რომ არ შეეხოს არ შეიძლება, თუმცა იმათ მწერლობაში ისეთს დიდს სარგებლობას ვერა ვნახამთ, მაგრამ ქეშმარიტების ნატამალებს მრავალს ვიპოვიოთ ამ კაცების თხზულებებში“-ო.

ზემოხსენებული წერილები, რომელთა უმრავლესობა მწვავე კრიტიკული ხასიათის მატარებელი იყო, ძირითადად ეხებოდნენ ქართული ლიტერატურის ზოგად საკითხებს, წარმოადგენდნენ რეცენზიებს ჟურნალ „ცისკარის“ ცალკეულ ნომრებზე, ანდა პოლემიკური ხასიათის სტატიებს. ამიტომ მათში ვერ მოხერხდა ცალკეული მწერლების და კერძოდ ალ. ქავჭავაძის შემოქმედების ასე თუ ისე საფუძვლიანი განხილვა. წერილთა ავტორები ალ. ქავჭავაძეს მხოლოდ გაკვირით ეხებოდნენ.

პირველი კრიტიკული წერილი, რომელიც შედარებით ფართოდ შეეხო ალ. ქავჭავაძის შემოქმედებას, ეკუთვნოდა პროფ. ა. ცაგარელს („ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, გაზ. „დროება“, 1870 წ., № 2).

ზემოხსენებულ წერილში პროფ. ალ. ცაგარელმა სცადა მოეცა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ზოგადი დახასიათება, ეჩვენებინა მკითხველისათვის ის ძირითადი ლიტერატურული მიმართულებანი, რომლებმაც თავი იჩინეს იმ საუკუნის მწერლობაში და მოეცა მათი შეფასება.

XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის, როდესაც არა თუ გამოცემული, არამედ თავმოყრილიც კი არ იყო მთელი შვიდობი ათეული წლის მანძილზე შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რა თქმა უნდა, პროფ. ალ. ცაგარელს გაუჭირდებოდა შეეწუშაებინა სწორი წარმოდგენა XIX საუკუნის ქართული მწერლობის არსობაზე და კერძოდ ალექსანდრე ქავჭავაძის შემოქმედებაზე.

მართლაც, წერილის იმ ნაწილში, რომელიც ალ. ქავჭავაძეს ეხება, მკვლევარმა დაუშვა სერიოზული შეცდომები და, ცხადია, მის შეხედულებებსაც თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიზიარებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამავე წერილში პროფ. ალ. ცაგარელმა წამოაყენა საყურადღებო მოსაზრებები ალ. ქავჭავაძის შემოქმედების ამა თუ იმ მოტივის შესახებ.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში პროფ. ალ. ცაგარელი პირველი იყო, რომელმაც ალ. ქავჭავაძე ანაკრეონტული განწყობილების გამომხატველ პოეტად გამოაცხადა. რას ემყარებოდა იგი, როდესაც ამ დებულებას აყენებდა?

ანაკრეონტული პოეზია, როგორც მკვლევარი შენიშნავს, „უმეტესად სამღერ, სამხიარულო და სატრფო საგნებზე ლექსობს:—აზრათა აქვს კაცს მძიმე სიცოცხლის უღელი შეუმსუბუქოს და მხიარული ლექსით ვითომ დაავიწყოს „სოფელი მომღერალი“; დამღეროს მშვენიერ საგნებს, რომლებსაც ან უსულო საგნები ან ადამიანები წარმოადგენენ, მაგ. ვარდს, ღვინოს, დილა-სალამოს, მთვარეს, ამომავალ და ჩამავალ მზეს, მოჩუხჩუხე წყაროს, იაღონს და ბულბულს... და სხვებს. თვით უმანკო, ტურთა და ქალწულოვან საგნებს, აგრეთვე რასაკვირველია შეღალადებს სიყვარულს, ქალებს და სხვ.“¹ ყოველდღიური ცხოვრების მტკივნეული საკითხების გვერდის ავლა, უდარდელობა და უზრუნველობა, მსუბუქი ლექსით ადამიანის მოწყვეტა საზოგადოებრივი ცხოვრებისგან და მისი გადასროლა იდეალურ სამყაროში, მკვლევარის აზრით, დამახასიათებელია XIX საუკუნის პირველი პერიოდის

¹ „დროება“, 1870 წ., № 2.

ქართული ლიტერატურისათვის, რომლის „საუკეთესო წარმომადგენელი და წინამძღოლი ალ. ჭავჭავაძეა“.

ეს გარემოება, პროფ. ალ. ცაგარლის გაგებით, სრულებითაც არ არის შემთხვევითი. „ამგვარი კილო ლექსებისა ადრეც იყო ჩვენში“; ალ. ჭავჭავაძემ იგი მემკვიდრეობით მიიღო, მაგრამ მისი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ „კილოზე“ შექმნილი ნაწარმოებნი მან „უმალღესი ხელოვნების ხარისხამდე“ აიყვანა.

ცხადია, პროფ. ალ. ცაგარელი ამ შემთხვევაში უდაოდ ცდება. ალ. ჭავჭავაძემდე არსებული ლიტერატურული მემკვიდრეობის ამგვარი შეფასება უმართებულაა. სატრფიალოსამიჯნურო მოტივები უცხო არ ყოფილა ქართული ლიტერატურისათვის; ქართველი ქირაშიც კი მღეროდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ მიუთითებს მის უდარდლობასა და უზრუნველობაზე. აკ. წერეთელმა მშენიერად გამოხატა ქართველი ადამიანის ეს ფსიქოლოგიური განწყობილება:

„ცრემლი რომ მახრჩობს, ვიცინი...
ჩემი პირბაღე ის არი!
სხვას ხელთ რათ მიეცე ჯირითად
მე ჩემი გულის ისარი?!“

სატრფიალო-სამიჯნურო მოტივი აღრიდანვე არსებობს ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ იგი არც ანაკრეონტული მიმართულებით განვითარებულა და არც წამყვან მოტივად ქცეულა. „XVI—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობისათვის ნიშანდობლივია სოციალური და ნაციონალური თემატიკის დიდი ხვედრითი წონა. საპატიო ადგილს იკავებს საისტორიო პოემა, თავის პოზიციას ინარჩუნებს საგმირო-საფალავნო ეპოსი. დიდ განვითარებას აღწევს დიდაქტიკურ-ალმზრდელობითი დარგი, განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა იგავ არაკეულმა თანრმა, გამახვილდა ყურადღება ეთიკისა და ზნეობის საკითხებზე“¹. თვით ბეს. გაბაშვილისთვისაც კი, რომელიც ძირითადად ცნობილია როგორც მგზნებარე სიყვარულის მომღერალი მგოსანი და რომელთანაც ახლო

კ. კვკელიძე, ა. ბარამიძე, ძვ. ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.), 1954 წ., გვ. 317.

დგას ალ. ქავჭავაძე, უცხო არ იყო საზოგადოებრივი მოტი-
ვები. ისტორიულ თემებსა და საყოფაცხოვრებო საკითხებზე
ბესიკის მიერ შექმნილი ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოებნი ან-
მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ.

რა საერთო ნახა პროფ. ალ. ცაგარელმა ანაკრეონტის შე-
მოქმედებასა და ალ. ქავჭავაძის პოეზიას შორის? მკვლევარი
ანაკრეონტისა და ალექსანდრე ქავჭავაძის შემოქმედებაში
თემატიკურ მსგავსებას ხედავს. ანაკრეონტი ძირითადად უმღე-
რის ღვინოსა და სიყვარულს, ალ. ქავჭავაძის შემოქმედების-
თვისაც ღვინო და სიყვარული არ წარმოადგენენ უცხო თე-
მებს. თემატიკური მსგავსება ანაკრეონტსა და ალ. ქავჭავაძეს
შორის მართლაც არსებობს, მაგრამ ეს გარემოება უფლებას
არ გვაძლევს ორივე პოეტი ერთ მიმართულებას მივაკუთვნოთ,
რადგან ამ შემთხვევაში საკითხს წყვეტს არა თემათა ერთ-
გვარობა, მსგავსება, არამედ ამ მსგავსი თემების გაგება,
გაშლა და გადაწყვეტა. ამ თვალსაზრისით კი ანაკრეონტსა-
და ალ. ქავჭავაძეს შორის არსებითი განსხვავებაა, რაც ნა-
წილობრივ შეუნიშნავი დარჩა პროფ. ალ. ცაგარელს.

ანაკრეონტის ერთ-ერთი მთავარი თემა სიყვარულია. მისი
სიყვარულის ობიექტია ფიზიკური სილამაზის მქონე არსება.
პოეტი შესტრფის მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ხორციელ სია-
მოვნებას, მისთვის უცხოა პლატონიური სიყვარული. ანაკრეონ-
ტისათვის დამახასიათებელია გატაცება ლამაზი არსებით, და-
მახასიათებელია აგრეთვე მიზნის მიუღწევლობა, მარცხი სი-
ყვარულში, მაგრამ ამის გამო პოეტი არ განიცდის მწუხარებას.
(იხ. ფრგ. 89 „მიყვარს და არ მიყვარს“). „В некоторых стихо-
творениях,—წერს ნ. ი. ნოვოსადსკი,—где Анакреонт жалу-
ется на свои неудачи в любви, тон его жалоб игрив и спо-
коен, в них незаметно, что поэт действительно переживал
тяжелое горе. Он легко увлекался и легко забывал по-
стигавшие его неудачи, находя утешение в новых нас-
лаждениях“.¹ ცხადია, ამგვარი განწყობილების მქონე პოეტ-

¹ Н. И. Новосадский, История греческой литературы, т. I, 1946 г.,
стр. 245.

ში ძნელია ვეძიოთ სიყვარულის გრძნობით გამოწვეული სულიერი ტანჯვა და ნაზი გრძნობა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შექალაქავებული პოეტი მწვავედ მარცხდება სიყვარულში ქრელ-სანდლიან ლესბოსელ გოგონასთან, ნაცვლად ღრმა მწუხარებისა, იგი ირონიით ლაპარაკობს თავის ერთიკულ მარცხზე. ანაკრეონტის შემოქმედებაში შეხვედებით უხამს ეპითეტებს ქალის დასახასიათებლად, პოეტს თავისი თავი ნაცად მხედრად წარმოუდგენია, რომელსაც აღიზიანებს „უხედნელი ფაშატის“ აღმაცერი მზერა და მას პირში ლაგამის ამოდებით ემუქრება. ანაკრეონტის ლირიკა მუდამ მხიარული განწყობილების გამომხატველია, „იმისთვის არის განკუთვნილი, რომ ცხოვრებით კმაყოფილსა და განცხრომაში მყოფს კიდევ უფრო გაუმხიარულოს ლხინი და ბედნიერება“¹. ანაკრეონტს არ ახასიათებს მებრძოლი სულისკვეთება, მისთვის უცხოა აგრეთვე სოციალური მოტივები.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ანაკრეონტი თავშეუკავებლად ეწაფება ღვინოს, ლხინსა და ნადიმს. მისთვის ღვინო დროის ტარების ერთ-ერთი მთავარი და საუკეთესო საშუალებაა. სიყვარულისა და ტრფიალების გრძნობა მასში ღვინოს შემწეობით ილვიძებს და იგი არც მალავს ამ გარემოებას: „ვისაუზმე მცირეოდენ: მოვიტეხე თაფლის კვერი, დავაყოლე თასით ღვინო, ხელთ ავიღე მე პექტიდი, ნაზი ჰანგით შევუმღერი ჩემს გოგონას!“ (ფრგ. 69). ფრაგმენტები: 43, 27, 2, 37 ნათლად მიუთითებენ ორ გარემოებაზე: ანაკრეონტისათვის ღვინო მხოლოდ დროის სატარებელი საშუალებაა და მისი სანადიმო სიმღერები ცივი და უგრძნობია², თუმცა ამ ცივ, უგრძნობ სიმღერებს მაინც ახასიათებთ უბრალოება, გარკვეულობა, სიცოცხლე. „Живость, ясность, простота — основные качества поэзии Анакреона, даже гимны богам превращаются у него в легкие и изящные стихотворения“³.

¹ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, 1, 1950 წ., 83. 193.

² იქვე, 194.

³ Н. М. Тронский, История античной литературы, 1947 г., стр. 86

აქვს თუ არა რაიღე საერთო ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას ანაკრეონტის პოეზიასთან? პროფ. ალ. ცაგარლის აზრით, ალ. ჭავჭავაძემაც „დამღერა ლხინზე და ღვინოზე“, მაგრამ პოეტმა უმღერა სიყვარულსაც. მისი სატრფიალო ლექსები თითქმის მართო ერთი სქესის გრძნობას და მიდრეკილებას მეორისადმი, ქალისა და ვაჟის ერთმანეთთან ტრფიალს შეიცავენ და თვით უსულო და უგონო საგნებს თუ დამღერს პოეტი, მაშინაც კი „მიჯნურები“ ჰყავს სახეში, იმათ ადარებს საყვარლებს და ალღეგირიულად, იგავითა ჰხატავს ქალისა და ვაჟის ტრფიალებას¹.

ალ. ჭავჭავაძემ მართლაც ძლიერად უმღერა სიყვარულის გრძნობას, მაგრამ ეს უკანასკნელი სულ სხვანაირად ესმით ანაკრეონტსა და ალ. ჭავჭავაძეს. პირველყოვლისა: ალ. ჭავჭავაძისათვის უცხოა სქესთა განურჩევლობა, რაც დამახასიათებელი იყო ანაკრეონტისათვის, ალ. ჭავჭავაძისათვის ასევე უცხოა უდარდებლობა სიყვარულის გრძნობის განცდაში, რაც ნიშანდობლივია ანაკრეონტისათვის. თუ ანაკრეონტს სატრფოსთან ლაზღანდარობა მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ „ცხოვრებით კმაყოფილსა და განცხრომაში მყოფს კიდევ უფრო გაუზნიარულოს ლხინი და ბედნიერება“, ალ. ჭავჭავაძისათვის სიყვარული, სილამაზე და ქალი ცხოვრების მიწმიდეელი მხარეა, რომელსაც შეუძლია სინამდვილით გულდაკოდელ ადამიანს სულიერი მოსვენება აგრძნობინოს. სიყვარულისა და სილამაზის განცდა პოეტს ადამიანის გრძნობის ღირსების საზომად მიაჩნია, ხოლო გრძნობა—ერთ ერთ უძირითადეს მხარედ ადამიანის ღირსებისათვის².

მართლაც, სიყვარულის გრძნობის გაგება-გამოხატვის საკითხში ალ. ჭავჭავაძემ ბევრად გაუსწრო როგორც თავის წინამორბედ პოეტებს, ასევე XIX საუკუნის პირველი სამი ათეული წლების ლირიკოსებსაც. ალ. ჭავჭავაძის სიყვარული

¹ „დროება“, 1870 წ., № 2.

² დ. გამეზარდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, 1948 წ., გვ. 14კ.

უმწიკვლოა და მძლავრად გამოხატავს პოეტის სენტიმენტალისტურ-რომანტიკულ განწყობილებას.

პოეტისათვის სიყვარული უძლეველი ძალაა. მას შესწევს უნარი წაშალოს საუკუნეთა განმავლობაში ჩადუღებული სოციალური თუ წოდებრივი უთანასწორობის საზღვრები: „სჯულსა მისსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა“; სიყვარულის გრძნობას ძალუძს თვითმპყრობელი მეფე მონის ყმადაც გადააქციოს.

აღ. ქავჭავაძისათვის სატრფო ჭირთა მომცემიც არის და შვეების მომნიჭებელიც. სატრფოსთან სიახლოვე პოეტს ძალას მატებს, მის სიცოცხლეს შინაარსიანსა და მიმზიდველს ხდის, ხოლო სატრფოსთან დაშორება, ან სატრფოს გულის ცვალებადობა ჭირის აღში ჰხვევს და სიცოცხლეს უწამლავს პოეტს:

„როს გიყვარდი სურვით შეყვარებულსა,
მეც სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად:
შენთან შენით შენგან გალაღებულსა,
მქონდნენ დღენი სიტკბოების მადინრად.

შენ განშორდი: ლხინი, შვება, სიამე—
ყველა წარხდა, ნანვლა მშთოშია მე.“

(„როს გიყვარდი“)

შეიძლება სატრფო არ იყოს პოეტის გრძნობის თანაზიარი, მაგრამ იგი მაინც სიამოვნებას განიცდის მასთან სიახლოვეთ და ამ ტანჯვაშიც ერთგვარ სიამოვნებას ხედავს, ცხოვრებას მისთვის აზრი მაინც აქვს, მაგრამ თუ მოშორდა თავის საოცნებო არსებას, მაშინ ეს ქვეყანა პოეტისთვის ჯოჯოხეთად იქცევა:

„ოდეს ვჭოროვარ მას მიხეზს ჩემისა ვალალების,
სოფელი მჩანს სამარედ, სადგურად ოდენ მკვდრების;
ვჭრბი და მსდვეენ დასები სევდის და მწუხარების.

მასვე საგანს ვეძიებ, გარნა ვერსადა მხვდების;
სულთქმა ჰქუხს, ჰსწვიმენ ცრემლნი, დღე შემეძნების ბნელად“.

(„უწყალო სიყვარული“)

აღ. ქავჭავაძე შეეხო სიყვარულის არა მხოლოდ სულიერ, არამედ ხორციელ მხარესაც. ძირითადად სწორედ ასეთი ხასიათის ნაწარმოებებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი

აღ. ჭავჭავაძის ანაკრეონტულად მონათვლის საქმეში, მაგრამ თვით უმძაფრესი, მწველი, ვნებიანი სიყვარულის გამომხატველი ნაწარმოებნიც არ იძლევიან საშუალებას პოეტი ანაკრეონტულად გამოვაცხადოთ, ანდა ასეთი ხასიათის ნაწარმოებთა შექმნა სპარსული პოეზიისადმი მიბაძვით ავხსნათ. „ამ რიგის ლექსებში პოეტს აქვს უდავო ნათესაობა და მსგავსება ბესიკურ ლექსებთან და თვით ყარაჩოღლურ პოეზიასთან. მანერა თქმისა, სიტყვათა მარაგი, პოეტური საღებავები ასეთი დასკვნისაკენ მოგვიწოდებს“¹.

როგორც ანაკრეონტისათვის, ასევე სპარსელი ლირიკოსებისათვისაც უცხოა ის გულწრფელობა, სინაზე, მოკრძალება და თავდაპეროლობა, რაც აღ. ჭავჭავაძეს ახასიათებს სატრფოს წინაშე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მის გარეგნულ, ეშხიან, ვნების აღმძვრელ სილამაზეს ხატავს. აღ. ჭავჭავაძეს ხორციელი სიყვარული განყენებულად, თავისთავად ვერც კი წარმოუდგენია, მისთვის „ხორციელი სიყვარული სულიერი სიყვარულის განუყრელი ნაწილია — სულიერი სიყვარული ბუნებრივ დასკვნას ხორციელ სიყვარულში პოულობს, დასაბამი ეძლევა „ცხოვრებისა ერთად დენას“².

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღ. ჭავჭავაძის სატრფიალო ხასიათის ნაწარმოებთა ერთი რიგი უშუალოდ მარტო ამ გრძნობაზედ კი არ მიუთითებს, არამედ საზოგადოებრივ, სოციალურ საკითხებსაც სწვდება. ამ შემთხვევაში საკმარისია დავასახელოთ ისეთი ნაწარმოებნი, როგორცაა „ვაჰ შენ გან წყლულსა“, „ვარდის გაყრილსა“, „ნუ მომკალ მწარედ“ და სხვ.

ვფიქრობთ არ იყო მართალი პროფ. ა. ცაგარელი, როდესაც აღნიშნავდა, რომ აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში „თუ მტრედი მტრედს (დედალ-მამალი) შეჰლულუნებს, თუ იადონი და ბულბული მოსთქვამენ, შაშვი შაშვს შესჰყივის, მწყერი მწყერს შეჰკურკურებს და ბულბული ვარდს შეჰყეფს—ეს უნდა მაშინვე ვიფიქროთ რომ მაშინ უფრო „უბუნბულო ორფეხნი

¹ დ. გამეზარდაშვილი, აღ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, გვ. 148.

² ა. კენჭოშვილი, აღ. ჭავჭავაძე, გვ. 65.

ცხოველი, რომელსაც ადამიანი ჰქვიან“ ჰყავს პოეტს სახეში“.

მართალია, ალ. ჭავჭავაძე არა იშვიათად მიმართავს ალეგორიებს, ხშირად მის შემოქმედებაში ნახშიარი ალეგორიები (ვარდი, ბულბული, იადონი და სხვ.) უშუალოდ სატრფოს ან მოტრფიალეს გულისხმობენ, მაგრამ ბევრ ლექსში, რომელშიაც ვარდს, ბულბულს ან პატიმარს უმღერის პოეტი, ალეგორიულად სამშობლოს გულისხმობს.

პროფ. ა. ცაგარელმა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ერთადერთ თემად სატრფიალო-სამიჯნურო მოტივები მიიჩნია, რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება უდაოვდ მცდარია, მაგრამ, ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებოა, თუ როგორ აფასებს მკვლევარი ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ნაწარმოებებს.

ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ნაწარმოებთა მიმართ პროფ. ა. ცაგარელი უდაოვდ სწორ მოსაზრებას ავითარებს და აღნიშნავს, რომ ამ ლექსებიდან მკვეთრად გამოსჰვივის ნაზი და კეთილშობილური გრძნობა პოეტისა. ალ. ჭავჭავაძე არასოდეს არ ეშვება ცინიზმამდე, იგი არასოდეს არ დადის იმ „მდაბალ კილომდე“, სადაც თავდება ნამდვილი პოეზია და იწყება პირუტყვეული ვნებათა მოქმედება. „ალ. ჭავჭავაძე, როგორც მაღალ ნიჭიერი პოეტი შორს არის ამგვარ თაღლითობაზედ და მკითხველების წატყუებაზედ ანუ თვალების აბმაზედ.—თავის პოეზიის კილოში და მიმართულებაში ის ისეთივე ზნეობიანი, მაღალი და მამაცია, როგორც სხვა გამოჩენილი მოლექსენი სხვა გვარ პოეზიაში“.

მართლაც. გრძნობის სიფაქიზე, სატრფოს მიმართ მაღალ-ზნეობრივი დამოკიდებულება ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის არსებითი და დამახასიათებელი მხარეა, რომლის სათავეც სიყვარულის რუსთაველისებური ჯანსაღი გაგებიდან მომდინარეობს. თვით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პოეტი მოპირდაპირე სქესის ფიზიკური მშვენიერებითა თავბრუდახვეული, გატაცებით უგალობს „მკვირვალეს ყელსა რიდე ვლებულსა“, „ბროლის ველს განათლებულსა“, „მართვესა

ორსა მუნ ბუდებულსა“, „თმა ხშირთა გრძელთა დაუთვა-
ლალთა“ და სხვ.,—იგი არ ჰკარგავს ზომიერების გრძნობას,
არსცილდება მალალადამიანურ ფარგლებს, პირიქით, მუდა-
რის კილოთი მიმართავს საოცნებო არსებას და გამოხატავს
მალალადამიანურ გრძნობას:

„მკვლენ შენნი სულგრძელებანი,
დამრთე ტრფიალის ნებანი,
დამიშრიტე სახმილთ გზნებანი!“

თუ ამ შემთხვევაში პროფ. ა. ცაგარელი უდავოდ მართე-
ბულად მსჯელობს ალ. ქავჭავაძის ლირიკის შესახებ, სამა-
გიეროდ იგი შეცდომას უშვებს და უპირისპირდება თავისავე
დებულებას, როცა ფიქრობს, რომ „ამ ლექსთა წყობას ნა-
ციონალური კილო არა აქვს, ქართული სული არ უდგას.—
უმეტესი ნაწილი ლექსებისა ფერმკრთალი და სუსტი მიბაძვა
არის სპარსული ლექსებისა, როგორც სიმღერის კილოთი,
აგრეთვე ლექსთ-წყობის შნოთი და საგნებითაც, რომლებზე-
დაც ლექსები არიან გამოთქმულნი“.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ წერილში პროფ. ა.
ცაგარელი ვერ ანვითარებს სწორ თვალსაზრისს არა თუ XIX
საუკუნის პირველი ნახევრის, არამედ მთელი ძველი ქართუ-
ლი ლიტერატურის მიმართაც. პროფ. ა. ცაგარლის თვალ-
საზრისით გამოდის, რომ ქართულ ლიტერატურას არასოდეს
არ ჰქონია ორიგინალური, ნაციონალური სახე და იგი ყო-
ველთვის სხვათა ნასუფრალით იკვებებოდა. „საზოგადოდ...
ჩვენ ძველ ეკლესიურ ლიტერატურასა ჰქონდა დედნათა
ბერძნულ-ბიზანტიის საეკლესიო ლიტერატურა, ძველ საერო
ანუ სამხედროსა ამ საუკუნემდის სპარსული და არაბული;
ამ საუკუნეში დაიწყეს ჩვენმა მწერლებმა რუსისა და სხვა
ევროპის ხალხების მიბაძვა, მაგრამ სპარსული კილო ლექსე-
ბისა მაინც დარჩა პოეზიაში“. პროფ. ა. ცაგარლის ამ შე-
ხედულებას თანამედროვე ფილოლოგია არ იზიარებს. მართა-
ლია, საქართველოს კარჩაკეტილად არასოდეს არ უცხოვრია,
იგი ყოველთვის იმყოფებოდა შორეულ თუ მახლობელ ქვეყ-
ნებთან გარკვეულ კავშირში, რაც თავის მხრივ იწვევდა

ურთიერთობას კულტურულ-ლიტერატურულ სფეროშიც, მაგრამ ეს ურთიერთობა არასოდეს არ ყოფილა ცალმხრივი. თუ ერთის მხრით ქართული ლიტერატურა ითვისებდა შორეულ თუ მახლობელ ხალხთა მოწინავე ლიტერატურულ ტრადიციებს, იგი კი არ ჰკარგავდა ორიგინალურ, ნაციონალურ სახეს, არამედ უფრო ივსებოდა, ძარღვმაგარი ხდებოდა და სამაგიეროდ მეორე მხრით თავისი წვლილიც შეჰქონდა საქართველოსთან ურთიერთობაში მყოფ ხალხთა ლიტერატურის განვითარებაში. ამ მხრივ საკმარისია რამდენიმე მაგალითზე მითითება. აღრინდელი ფეოდალიზმის ხანაში მკვეთრად შეიმჩნევა სომეხ-ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა. ღირსმნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლები ქართველების მიერ ითარგმნება სომხურიდან, სომხების მიერ—ქართულიდან. შეიმჩნევა აგრეთვე ქართული წმერთობის ურთიერთობა ბერძნულთან. VIII საუკუნის ნახევრიდან შექმნილი ძეგლები განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოხატავენ ჩვენი ლიტერატურის ეროვნულ ხასიათს. „ეს ხანა არის ეროვნული ხანა ჩვენი მწერლობისა. ამ ხანაში დამუშავებული ლიტერატურული ძეგლები იმდენად არიან გამსჭვალული ეროვნული სულითა და ხასიათით, რომ შემდეგი დროის, XI—XII საუკუნეთა, მწერლები მათ აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ ტექნიკურ ტერმინს—ქართული, მაგალითად—ქართული სახარება, ქართული დავითნი, ქართული კანონი და სხვა“¹.

ქართული ეროვნული სულისკვეთების და თვითშეგნების ზრდა, აღნიშნულ პერიოდში, იმაშიც გამოიხატა, რომ „ქართველებმა ეკლესიურ-კულტურულად და თან ეროვნულადაც კატეგორიულად დაუპირისპირეს თავისი თავი ბერძნულ-ბიზანტიურ მსოფლიოსაც“². კულტურულ-ლიტერატურულმა შემოქმედებითმა აღმავლობამ უფრო მკიდრო გახადა ქართველების ურთიერთობა სხვა ხალხების კულტურასა და ლიტე-

¹ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძვ. ქართული ლიტერატურა, I, გვ. 18.

² იქვე.

რატურასთან, მათ შორის ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურასთანაც.

პატრონყმური ფეოდალიზმის ხანაში საბოლოოდ ყალიბდება საერო მიმართულების ლიტერატურა, იქმნება მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ლიტერატურული ძეგლები, რომლებშიც მკვეთრად შელანდება ნაციონალური სულისკვეთება. მყარდება მკიდრო კავშირი ბერძნულ კულტურასა და ლიტერატურასთან, კერძოდ ბიზანტიურთან. ქართველობას შემოქმედებითად აუთვისებია ბიზანტიური კულტურის საუკეთესო მონაპოვარი, ხოლო თავის მხრივ „ქართულ მწერლობას ბევრი რამ საყურადღებო მიუცია ბიზანტიური მწერლობისათვის და თავისი წვლილი შეუტანია ამ მწერლობის ისტორიაში“¹. ამ დროის ქართულ ლიტერატურაში ჩვენ ვხედავთ არაბულისა და ახალი სპარსული მწერლობის გამოძახილსაც, მაგრამ იგი საერო ლიტერატურის „დედნად“ ვერ მიიჩნევა. პატრონყმური ფეოდალიზმის ხანის ქართული კულტურა და ლიტერატურა მძლავრი ნაციონალური აღმავლობით აღინიშნა.

მიუხედავად საქართველოს უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული პირობებისა, პატრონყმური ფეოდალიზმის დაკნინების ხანაში, ქართული ლიტერატურა არც ერთი ქვეყნის მწერლობის გავლენის ქვეშ არ მოპყვლია. ამ პერიოდში ახალიც თითქმის არაფერი შექმნილა, რასაც შეიძლებოდა რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიქოს. ამ პერიოდის ლიტერატურული საქმიანობა, არსებითად, წინათ შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვაში, ძველ თხზულებათა გადაწერაში გამოიხატებოდა.

სამაგიეროდ ბატონყმური ფეოდალიზმის ხანაში ქართული მწერლობა კვლავ აღორძინების გზით წარიმართა. „აღნიშნული პერიოდის ლიტერატურაში მგზნებარე პატრიოტიზმის გვერდით, რომელიც დამახასიათებელია მთელი ჩვენი ძველი

¹ კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა, 1 გვ. 29.

მწერლობისა, გვაქვს ისეთი ახალი მოვლენები, რომელთაც წინა პერიოდის ლიტერატურაში ვერ ვპოულობთ¹. ეს სიახლე გამოიხატა თემატიკის გაფართოებაში, ახალი სტილების და ჟანრების გაჩენაში, ეროვნული მოტივის და ორიგინალური შემოქმედების გაძლიერებაში; „ეროვნული სული ჩანს, არაიშვიათად, თვით უცხო ენიდან ნათარგმნს თუ გადმოკეთებულს თხზულებებში, რომლებშიაც, არის შემთხვევა, საკუთარი სახელები ქართულ სახეს ღებულობს, ქართულ ენაზე ლაპარაკობენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი ამა თუ იმ თხზულებისა“².

ამ პერიოდში მნიშვნელოვნად ფართოვდება ქართველების კულტურული ურთიერთობის წრე, მყარდება კავშირი რუსულ მწერლობასთან და კათოლიკე მისიონერების საშუალებით დასავლეთ ევროპასთან.

სპარსეთისა და თურქეთის აგრესიულმა დამოკიდებულებამ საქართველოს მიმართ უარყოფითად იმოქმედა ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებაზე. „დამპყრობლები, კერძოდ, სპარსელები გვაძალებდნენ თავიანთ ენას და მწერლობას, თავიანთ იდეოლოგიას. უკულტურო ოსმალეთს თავისი არაფერი ჰქონია და სხვას რას მისცემდა, „კულტურული“ შემოქმედების მხრით საშიში იყო სპარსეთი. თავადაზნაურული საზოგადოების ერთ ნაწილში და საკარო წრეებში შეინიშნებოდა სპარსული ენითა და სპარსული პოეზიით გატაცება“³, თუმცა ეს იყო მხოლოდ გატაცება ზღაპრული, სპარსული პოეზიით და ისიც მეტად ვიწრო წრეში, მაგრამ მაინც უდავოდ სახიფათო მოვლენა. იგი ჩანასახშივე ემუქრებოდა მრავალსაუკუნოვან ქართულ ეროვნულ კულტურას. სწორედ ამიტომ გამოუცხადეს ამ მახინჯ მოვლენას სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა ქართველი ლიტერატურის მოწინავე წარმომადგენლებმა. „ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლა სპარსელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ სა-

¹ კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა 1. გვ. 34.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 315.

ბოლოოდ ქართველების სასარგებლოდ გადაწყდა, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროში, ისე ენისა და ლიტერატურის სფეროშიც... ეროვნული მიმდინარეობის უცხოურზე გამარჯვება უცილობელი ფაქტია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მაინც, თუმცა ამ საუკუნის გასულისა და მომდევნო XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ პოეზიაში საკმაოდ იგრძნობოდა სპარსული კილოს გამოძახილი, მაგრამ ეს კილო თანდათანობით დასუსტდა და ბოლოს სრულიად მიწყდა¹.

ამრიგად, ქართული ლიტერატურის განვითარების არც ერთ პერიოდში არ დასტურდება ქართულ როგორც საექლესიო, ასევე საერო მწერლობაზე ბერძნულ-ბიზანტიური ან სპარსულ-არაბული მწერლობის გავლენა, როგორც ამას პროფ. ა. ცაგარელი ფიქრობდა.

მართალია, სპარსული კილოს გამოძახილი იგრძნობა XVIII საუკუნის და XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ პოეზიაში, აზიურ-აღმოსავლური პოეზიის ელფერი გადაჰკრავს ალ. ჭავჭავაძის ზოგიერთ ლექსსაც, რაც აღორძინების ხანის მწერლობიდან მომდინარეობს და არა სპარსულიდან, მაგრამ საერთოდ მისი შემოქმედება უაღრესად ნაციონალური, უაღრესად ეროვნული სულისკვეთების გამოძახებელია. ამიტომ არ არის მართებული პროფ. ა. ცაგარელის მოსაზრება, თითქოს ალ. ჭავჭავაძის „უმეტესი ნაწილი ლექსებისა ფერმკრთალი და სუსტი მიბადვა არის სპარსული ლექსებისა, როგორც სიმღერის კილოთი, აგრეთვე ლექსთ-წყობის შნოთი და საგნებითაც, რომლებზედაც ლექსები არიან გამოთქმული“.

მართალია, ზოგიერთი ლექსის სათაური აღმოსავლური წარმოშობისაა (მუხამბაზი, მუსტაზადი, თეჯლისი, გაფი და სხვ.), ზოგი ნაწარმოებისთვის პოეტის ან გადამწერის მიერ შერჩეულია რომელიმე აღმოსავლური ლექსის საგალობელი კილო, ხმა („მანჰა, განჯალუ დეგულამის ხმა“, „გეთმასამ

¹ კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა, I გვ. 317.

ოლიდურურ თარაბანის ხმა“, „დუგაის გუშა, ხარიბა ქაფაშის ხმა“ და სხვ.), პოეტს უშუალოდ სპარსულიდანაც უთარგმნია ერთი პატარა ლექსი, მანვე პირველმა შემოიტანა სპარსული სალექსო ფორმა ყაზალი ანუ გაზელი (ყაზელი), მაგრამ ყოველივე ეს მაინც ვერ ადასტურებს ალ. ქავჭავაძის ნაწარმოებთა სპარსულ წარმოშობას. პირიქით, ალ. ქავჭავაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებს შორის, რომელმაც გაბედული ნაბიჯი გადადგა, რათა ქართული ლიტერატურა რუსული და ევროპული ლიტერატურისათვის დაეახლოვებინა. დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ ალ. ქავჭავაძის ფორმით „სპარსული“ ნაწარმოებნი შინაარსობლივად შორს დგანან სპარსული პოეზიის თემათა ბუნებისაგან.

შესძლო თუ არა ალ. ქავჭავაძემ თავისი შემოქმედებით გამოეცა იმ ეპოქის მაჯისცემა, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, შესძლო თუ არა პოეტმა ხალხის მისწრაფებებისა და მიზნების გამოხატვა? ამ კითხვაზე პროფ. ა. ცაგარელი უარყოფითად უპასუხებს. მისი აზრით, არა თუ ალ. ქავჭავაძის შემოქმედება, არამედ, საერთოდ, მთელი ამ პერიოდის ლექსები „სალხინო“ შესაქცევარი და სამღერნი არიან, ცოტაც არ შეეხებიან და არ გამოხატავენ იმ ხალხის ბედ იღბალს, სადაც დაბადებულნი არიან. ალ. ქავჭავაძე მამულის ბედზე ყურმოყრუებულია, არცერთი მისი ლექსი არ მოაგონებს ადამიანს სამშობლოს, მის მდგომარეობას“.

პროფ. ალ. ცაგარლის ეს მოსაზრებაც არ არის სწორი. დღეს, როდესაც თითქმის სრულად გვაქვს ხელთ ალ. ქავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა, საშუალება გვეძლევა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ პოეტის მიერ დასმულ და გადაჭრილ ყველა საკითხზე.

ალ. ქავჭავაძის მთელი შემოქმედება და განსაკუთრებით კი შემოქმედების პირველ პერიოდში შექმნილი ნაწარმოებნი მკვეთრად გამოხატავენ პოეტის ზიზღსა და სიძულვილს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისადმი.

მხატვრულ შემოქმედებაში ალ. ქავჭავაძე პირდაპირ არც მეფის მოხელეთა შესახებ გველაპარაკება. ამ შემთხვევაში იგი ალეგორიულ ხერხს მიმართავს და მეფის ბიუროკრატ მოხელეებს ასეთი ეპითეტებით „ამკობს“: „გულით მრულენი“, „პირბნელნი სათნი“, „ლიზლნი“, „ავნი“, „ქაჯები“, „მგლები“, „ეშმაკთ სადგურნი“ და სხვ.

ალ. ქავჭავაძის შემოქმედებიდან ნათლად გამოსკვივის აგრეთვე ის გარემოება, რომ პოეტს საქართველოს ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების იმედი აქვს. პატიმრობის პერიოდშიც კი „გლახბედისაგან ესრეთ დასჯილი იმედოვნებას უწოდებს ფარად“ და ღრმად არის დარწმუნებული, რომ „უამი გულთმაამი კვლავცა იქნების“.

მაგრამ რა გზით მიაჩნდა შესაძლებლად ალ. ქავჭავაძეს საქართველოს განთავისუფლება ნაციონალური ჩაგვრისაგან?

ჩვენს მიერ გამოკვეყნებული ალ. ქავჭავაძის ერთი ლექსი: „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“¹, აშკარად მიუთითებს გამოსავალი გზისაკენ. ლექსიდან ნათლად ირკვევა ალ. ქავჭავაძის პოლიტიკური ორიენტაცია, იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ სამშობლოს დახსნა ეროვნული ჩაგვრისაგან შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში მოვლინებულ თავგასულ მეფის მოხელეთა ალაგმვით, რადგან „ვინც ჰხვდა მათ მახეს, ქირთა სახეს, არა აქვს შვება, მათზე კეთილი, ვითა შლილი დაიცარება“. ამიტომ არის, რომ პოეტი მოწოდების სახით გაიძახის:

„მზაკვარს ხმლით გაუსწორდებით, ვჭყუავ ჩვენს ხმალთა კვეთასა,
მნათი აღმოჰხდეს კავკასსა, ქართლი მიეცეს ლხენასა!“

ასეთი აზრი კი ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის ნაწილში მეფის რუსეთის მოხელეთა აღვირახსნილობის და ცხოვრებაში საკუთარი პოლიტიკური როლის დაკარგვის გა-
მომქლავების პირველ დღიდანვე დაიბადა. ბიუროკრატ მეფის მოხელეთა ალაგმვას ისახავდა მიზნად 1804 წლის ქართლის მთიანეთის ამბოხება და 1832 წლის შეთქმულებაც, რომელ-
თა მონაწილე და თანამგრძნობი ალ. ქავჭავაძე იყო.

¹ სოხუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. V, 1949 წ., გვ. 229—237.

აღ. ქავჭავაძის შემოქმედების საკმაოდ დიდი ნაწილი, კერძოდ კი ნაწარმოებნი: „ისმინეთ მსმენნო“, „ვაჰ, დრონი, დრონი“, „ოჰ, წარმავალნო“, „ვისაც გსურთ“, „ვაჰ, სუსტსა სენით“, „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“, „პურობილისაგან თანპურობილთა მიმართ“ და სხვ. ნათლად გამოხატავენ პოეტის ეროვნულ გრძნობას, მის მოქალაქეობრივ გულისტკივილს, ხშირ შემთხვევაში პოეტის რადიკალურ, ოპოზიციურ განწყობილებასაც ახლად დამყარებული მმართველობის მიმართ, მაგრამ ისინი ამავე დროს გამოხატავენ ხალხის უსაზღვრო გულისწყრომას ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, აღ. ქავჭავაძის შემოქმედება არ იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ პოეტმა ააღლო ვერ აულო შექმნილ ისტორიულ ვითარებას და თითქოს ვერ გაითვალისწინა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა.

პოეტის მსოფლმხედველობაში საფუძველიან გარდატეხაზე მიუთითებს ჯერ კიდევ 1813 წელს დაწერილი ლექსი „პეტრე ბაგრატიონისათვის“, ნიკოლოზ პირველისადმი წარდგენილი მოხსენება: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“ და ლექსი „ქავკასია“, რომელშიც ყველაზე მკვეთრად იგრძნობა პოეტის კულტურულ-პოლიტიკური შეხედულებების ევოლუცია. XIX საუკუნის 30-იან წლებში პოეტისათვის ცხადი იყო ყველა ის დადებითი შედეგი, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა. აღ. ქავჭავაძისთვის ნათელი გახდა, რომ შეერთების შემდეგ საქართველო ეზიარა რუსეთის მოწინავე კულტურას, რომ „გაიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება, რომე მუხით შევიდეს მათ შორის განათლება...“ მაგრამ ზოგიერთ ნაწარმოებში, რომელშიც პოეტი ღრმა რწმენით ლაპარაკობდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებით მნიშვნელობაზე, იძლეოდა აგრეთვე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მძაფრ კრიტიკას.

თუ ყოველივე ზემოთქმულის გარდა იმ გარემოებასაც გაითვალისწინებთ, რომ აღ. ქავჭავაძის შემოქმედებაში მნიშვნე-

ნელოვანი ადგილი უქირავს ისეთ ნაწარმოებებს, რომელნიც მიმართულნი არიან სოციალურ-კლასობრივი ჩაგვრისა და უსამართლო ომებისა და ხალხთა რბევა-აწიოკების წინააღმდეგ, მაშინ შეუძლებელი ხდება გავიზიაროთ პროფ. ალ. ცაგარლის მოსაზრება თითქოს ალ. ჭავჭავაძის მამულის ბედზე ყური მოიყრუებინოს და არ გამოეხატოს ხალხის გულისტკივილი.

პროფ. ალ. ცაგარელი შეეხო ალ. ჭავჭავაძის ენა'ს'ა'ც. მკვლევარის შენიშვნით, ალ. ჭავჭავაძის ენა დაშორებულია ხალხის ჩვეულებრივ სალაპარაკო ენას, იგი მწიგნობრულია, „მაგრამ მაინც თავის გვარად, როგორც მწიგნობრული, საკვირველად არის დახელოვნებული... საკვირველი ცოდნით და ხელოვნებით არიან სიტყვები შერჩეულნი, შეწონილნი გრძნობის სხვადასხვა მდგომარეობასთან,—საკვირველის ძალითა ხატავენ ისინი ხან მგზნებარე გრძნობათა და მხურვალე გულის თქმათა, ხან ვნებათა ღელვასა; ზოგჯერ ლექსი მოლულუნებს ტკბილად, როგორც მიჯნურები, რომლებზედაც ის არის ნაწერი, ხან გასაოცარი და გულის მიმტაცველი სიკეკლუტით, სინაზითა და სიტურფით, ხან ყვედრებისა, შენდობისა ან მავედრებელის და შებრალების კილოთი, ზოგჯერ მრისხანე, კერპი და შეუპოვარი შემტუქსველი მშვენიერი ქართული სიტყვებითა“.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ენის ამგვარი დახასიათება სრული არ არის. მართალია, პოეტის ენა დაშორებულია ჩვეულებრივ ხალხურ სალაპარაკო ენას, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ მასში არ დაგვენახა „მაღალი სტილის“ გასადავების ტენდენციები. ასევე არ იქნებოდა სწორი, რომ ალ. ჭავჭავაძის მეტყველებაში არ დაგვენახა ის ჩრდილოვანი მხარეები, რაც ალორძინების ხანის სამწერლო ენის და კერძოდ ანტონ კათოლიკოსის ე. წ. „მაღალი სტილის“ უშუალო გავლენით უნდა აიხსნას, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

* * *

პროფ. ა. ცაგარლის წერილმა ქართველ საზოგადოებაში ერთგვარი ინტერესი გამოიწვია. დაიწყო ზრუნვა პოეტის შემოქმედების შეგროვებისა და გამოცემისათვის- XIX საუ-

კუნის 70-იან წლებში ამ საქმით დაინტერესებულა არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრები მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, არამედ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველობაც. მაგალითად, გაზ. „დროების“ ერთ-ერთი კორესპონდენტი პარიზიდან იუწყებოდა, რომ მას ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მიუხვია ორიენტალისტ ვიქტორ ლეტელიეს მიერ 1833 წელს შეწირულ „ალზირას“ ქართული ხელნაწერისთვის, რომელსაც „ზედ აწერიაო, რომ ის კავკავადის თარგმანია“. „დროება“ სთხოვდა კორესპონდენტს ამ ხელნაწერის ასლის გადმოგზავნას, „რადგან „ქართული მწერლობის“ გამომცემელი წრე ამ მოკლე ხანში თ. ალ. კავკავადის თხზულებათა დაბეჭდვას აპირებს“-ო¹.

1876 წელს ალ. კავკავადის თხზულებანი არ გამოცემულა. როგორც ჩანს, გამომცემლებმა ვერ შესძლეს პოეტის შემოქმედების თავმოყრა, მაგრამ ინტერესი წამოწყებული საქმისადმი მაინც არ შენელებულა.

1877 წელს „ივერია“ აქვეყნებს განცხადებას, რომელშიაც აღნიშნულია: „ჩვენ შევიტყეთ, რომ თბილისში აპირებენ ამ მოკლე ხანში დაბეჭდვას თ. ალ. კავკავადის ლექსებისა და სხვა მის თხზულებისას...“

დამბეჭდავთ სურვილი აქვთ ჩაურთონ პირველ წიგნს თ. ალ. კავკავადის სახე-სურათი და ბიოგრაფია, თუ ამ უკანასკნელისათვის საჭირო ცნობების შეკრება შესაძლო იქნება. დამბეჭდავნი ჰსთხოვენ საზოგადოებას, რომ თუ ვისმეს, შინ ანუ გარეთ ეგულება თ. ალ. კავკავადის ლექსი, თხზულება, ან რაიმე ცნობა მისის ცხოვრების შესახებ აცნობოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ყოველს ამას მადლობით მიიღებს და გადაჰსცემს დამბეჭდავებს“².

მიუხედავად იმასა, რომ „დროება“ და „ივერია“ აქტიურად ერეოდენ ალ. კავკავადის თხზულებათა შეკრების საქმე-

¹ გაზ. „დროება“, 1876 წ., № 34. არ არის სწორი პოეტ ი. გრიშაშვილის ცნობა, თითქოს ალ. კავკავადის ნაწარმოებთა „ცალკე წიგნად გამოცემის იდეა პირველად 1878 წელს დაირხა“ (ალ. კავკავადე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. LXXV).

² „ივერია“, 1877 წ., № 41, გვ. 3.

ში და ჰპირდებოდნენ საზოგადოებას პოეტის ნაწარმოებთა-
მოკლე ხანში დაბეჭდვას, საქმე მაინც კუს ნაბიჯით მიდიოდა.

ერთი წლის შემდეგ, 1878 წელს, ჟურნალი „ალმანახი“ იუ-
წყებოდა, რომ „ჩქარა დაბეჭდება და გამოვა სრული კრება-
ალექსანდრე ქავკავაძის ლექსებისა“-ო¹.

1879 წელს გრ. ორბელიანის ლექსთა კრებულის გამომ-
ცემელნი ბოლოსიტყვაობაში კვლავ ჰპირდებოდნენ საზოგა-
დოებას ალ. ქავკავაძის ნაწარმოებთა გამოცემას, მაგრამ და-
პირება კვლავ დაპირებად რჩებოდა.

მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1881 წელს, შესაძლებელი
გახდა ალ. ქავკავაძის ლექსების პირველი კრებულის გამო-
ცემა. გამომცემელნი ძირითადად ემყარებოდნენ დავით რექ-
ტორის და სხვადასხვა პირთა მიერ გადაწერილ ტექსტებს,
ჩვენს პერიოდულ პრესაში და აგრეთვე დავით ჩუბინაშვილის
ქრესტომათიაში დაბეჭდილ ალ. ქავკავაძის ნაწარმოებებს.
„სამწუხაროდ, — აცხადებდნენ გამომცემელნი, — ნამდვილი
ხელთნაწერი პოეტისა ვერ ვიშოვეთ და იძულებული შევიქე-
ნით დავჯერებოდით დავით რექტორის და სხვათა გადაწე-
რილსა ანუ ნაბეჭდსა“-ო.

ქართული პერიოდული პრესა უდიდესი აღფრთოვანებით
შეეგება ამ მეტად თვალსაჩინო მოვლენას და მას ლიტერა-
ტურული კრიტიკაც გამოეხმაურა. ალ. ქავკავაძის ლექსთა
კრებულის 1881 წლის გამოცემა კარგა ხანს წარმოადგენდა
ქართული ლიტერატურული კრიტიკისათვის ერთადერთ და-
საყრდენ წყაროს.

1881 წ. „ივერიის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდა დ. ბაქ-
რაძის მოკლე კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წე-
რილი, რომელშიც ავტორი „ალ. ქავკავაძის სრულის ღირსე-
ბისა და მნიშვნელობის დაფასებას“ კი არ ისახავდა მიზნად,
არამედ პოეტის ნაწარმოებთა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვით
კმაყოფილდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ბაქრაძეს ხელთ ჰქონდა ალ-
ქავკავაძის ლექსების ასოც გვერდიანი კრებული, რომელშიც

¹ „ალმანახი“, 1878 წ., № 1.

შევიდა პოეტის თითქმის ყველა ძირითადი ნაწარმოები, რაც საკმარისი იყო სწორი თვალსაზრისის შესამუშავებლად, დ. ბაქრაძემ მაინც ვერ შესძლო ღრმად ჩასწვდომოდა მის განკარგულებაში მყოფ მასალას და გამოეტანა სწორი, მართებული დასკვნები.

კრიტიკოსის აზრით, ალ. ჭავჭავაძის ლექსების დიდი უმრავლესობა განკუთვნილი იყო სასიმღეროდ და არა საკითხავად, „ბევრს ლექსებს ალ. ჭავჭავაძისას აკლიათ ძლიერება, შთაბეჭდილებასაც ვერაფერს ვერ სახავენ მკითხველის გულში და გრძნობაც მხოლოდ მაშინ დაეტყობათ ხოლმე, როდესაც გამომთქმელად ჰყავთ ტკბილ-ხმოვანი საზანდარი და ბანის მომცემად ჩონგურის ელერა“¹.

დ. ბაქრაძე ძირითადად იმეორებს პროფ. ა. ცაგარლის დებულებას, როცა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების დიდ ნაწილს მხოლოდ სასიმღერო ნაწარმოებებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში, ცხადია, ორივე ცდება, მაგრამ თუ პროფ. ალ. ცაგარელს დაშვებული შეცდომა შეიძლება ნაწილობრივ მაინც იმით შევეუმსუბუქოთ, რომ მას ხელთ არ ჰქონია პოეტის ნაწარმოებთა კრებული და თავისი დასკვნები ძირითადად სწორედ ხალხში სასიმღეროდ გავრცელებულ ნაწარმოებთა ანალიზის შედეგად გამოჰქონდა, ამას ვერ ვიტყვით დ. ბაქრაძის მიმართ.

მართალია, პროფ. ა. ცაგარელმა ალ. ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ძირითადად სატრფიალო და „სალხინო შესაქცევარი და სასიმღერო“ ნაწარმოებნი დაინახა, მაგრამ მკვლევარმა შენიშნა ამ ნაწარმოებთა დიდი ემოციური ძალა, რომელიც მკითხველს ალელვებდა და გრძნობას უთრთოლებდა. დ. ბაქრაძემ კი ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში ვერ დაინახა ვერც ძლიერი გრძნობა, რომელიც საზანდარისა და ჩონგურის აკომპანიმენტის გარეშეც მნიშვნელოვნად მოქმედებდა მკითხველზე და ვერც ის ძირითადი მოტივი, მკვეთრი ნაციონალური სულისკვეთება, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს პოეტის მთელ შემოქმედებას.

¹ „ივერია“, 1881 წ., № 8, გვ. 119.

დ. ბაქრაძეც პროფ. ა. ცაგარლის მსგავსად ფიქრობს, რომ ალ. ქავჭავაძის შემოქმედების მთავარი და ერთადერთი მოტივი სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ნაწარმოებებით განისაზღვრება. მკვლევარი დაინტერესებულია ამ გარემოებით და სურს გაარკვიოს როგორ მოხდა, რომ „იმისთანა ნიჟიერი პოეტი დაემორჩილა ჟამთა სელას და თითქმის იგივე დარჩა „მარად და მარად“, იმავე კილოზედ და იმავე გრძნობით ამბობდა ხანში შესული პოეტი სააშიკო ლექსებს, როგორც ოც-და-ერთის და ოც-და-ორის წლის ყმაწვილი კაცი“¹.

ამის მიზეზს დ. ბაქრაძე იმ საზოგადოებრივ გარემოცვაში ხედავს, რომელშიაც პოეტს ცხოვრება უხდებოდა. „ეს მოხდა იმისგან, რომ ალ. ქავჭავაძეს გარშემო განსხვავებული ხალხი და განსხვავებული საზოგადოება ეხვია, იმისთანა საზოგადოება და ხალხი, რომელიც თანაუგრძნობდა და აქეზებდა მხოლოდ ამ გვარ ლექსების მთქმელთ“².

ალ. ქავჭავაძეს მართლაც განსხვავებულ საზოგადოებაში უხდებოდა ტრიალი. მისთვის ცნობილი იყო ეკატერინე მეორის ბრწყინვალე სასახლის ცხოვრებაც და საპატიმროს ჯურღმულების სურათიც. პოეტისათვის უცხო არ იყო პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენციის სულიერი განწყობილება, დეკაბრისტთა მიზნები და ამოცანები, ცარიზმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ქართველი თავად-აზნაურობისა და გლეხობის გულის წუხილი, ალ. ქავჭავაძე ხედავდა იმ წინააღმდეგობებსაც, რომელნიც საკმაოდ მკვეთრად გამოვლინდნენ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად შევიწროვებულ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. რუსი დეკაბრისტების და ქართველი ინტელიგენციის ურთიერთ კავშირის შესახებ მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის ოფიცერი ტორნაუ. მისი სიტყვით, ალ. ქავჭავაძის სალონი წარმოადგენდა ერთ-ერთ შესაკრებ პუნქტს, სადაც ეყრებოდა მტკი-

¹ „ივერია“, 1881 წ., № 8, გვ. 119.

² იქვე. დაყოფა ჩვენია.

ცე საფუძველი რუსი და ქართველი მოწინავე ინტელიგენციის გულწრფელ მეგობრობას. ალ. ჭავჭავაძის სალონში,—იგონებს ტორნაუ, „ყოველ დღე დილიდან ვიკრიბებოდით... ქართველი ნათესავეები, შემდეგ ერთმანეთს მოჰყვებოდნენ რუსები, როგორც კი თავისუფლდებოდნენ სამსახურიდან... ისეთ პირთა რიცხვს, რომლებმაც გამოიწვიეს ჩვენი წრის ინტერესი, უდავოდ შეადგენდა ბევრი ისეთი დეკაბრისტი, რომლებიც შეწყნარებული იყვნენ და უკანასკნელ წლებს თავის სამშობლოდან მოშორებით კავკასიაში ატარებდნენ. ეს იყო ხალხი, რომლის უმეტესობასაც მიღებული ჰქონდა კარგი აღზრდა, ზოგიერთი მათგანი კი საუცხოო სულიერი თვისებებით გამოირჩეოდა“¹. ესენი იყვნენ: ნარიშკინი, კონონვიცინი, ა. ოდოევსკი, ვალერიან გოლიცინი, ა. გრიბოედოვი, ალ. ჭავჭავაძე, ს. დოდაშვილი, ზ. ჩოლოყაშვილი, გრ. ორბელიანი და სხვანი მრავალნი. მათი მიზანი იყო ბრძოლა ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, მოწინავე კულტურისა და „თავისუფალი ცხოვრებისათვის“.

ალ. ჭავჭავაძის სალონში ჩქეფდა მძლავრი ლიტერატურული ცხოვრება. აქ ხდებოდა როგორც ორიგინალურ, ასევე ნათარგმნ ნაწარმოებთა აპრობირება. ალ. ჭავჭავაძის ოჯახში იქნა წაკითხული ნიკ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, არ არის საფუძველს მოკლებული მოსაზრება, რომ აქვე გაეცნო ხელნაწერში ქართველი მოწინავე საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ა. გრიბოედოვის უკვდავ კომედიას „ვაი კჳისაგან“. ქართველ ინტელიგენციას იტაცებდა და ხიბლავდა ის ნაწარმოებნი, რომელნიც ეროვნულ სულისკვეთებას და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინს უღვიძებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის გატაცება ისეთი ღრმა პატრიოტული ნაწარმოებით, როგორიცაა, მაგალითად, გრ. ორბელიანის „იარალის“.

¹ Торнау, воспоминания о Кавказе и Грузии. „Русский вестник“, апрель, 1869 г., т. 80, стр. 698—701. აგრეთვე ლ. ბარამია, დეკაბრისტები საქართველოში, 1955 წ., გვ. 142.

აღ. ქავჭავაძის ირგვლივ მყოფი ქართველი საზოგადოება, რომელიც თანაუგრძნობდა ან მონაწილეობდა 1804 წლის ქართლის მთიანეთის და 1812 წლის კახეთის ამბოხებაში, რომელიც აწყობდა 1832 წლის რომანტიკულ შეთქმულებას, საზოგადოება, რომელიც ხარბად ეწაფებოდა პირველი რუსი რევოლუციონერების, „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანების“ (გერცენი), დეკაბრისტების მოწინავე იდეებს, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატებს აქეზებდა და თანაუგრძნობდა არა მხოლოდ სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოებთა შექმნისათვის, როგორც დ. ბაქრაძე ფიქრობს, არამედ ძირითადად იმ მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებებისათვის, როგორც იყო აღ. ქავჭავაძის „ვაჰ, დრონი, დრონი“, „ისმინეთ მსმენნო“, გრ. ორბელიანის „იარალის“ და „ნალივიაკო“, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, „მერანი“ და სხვა მრავალი. რა თქმა უნდა, ქართველ საზოგადოებას ყურადღების გარეშე არ რჩებოდა უაღრესად მგრძნობიარე სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოებნი. სიყვარულის გრძნობით გამთბარი მაღალმხატვრული ფორმის ლექსები ყოველთვის იმსახურებდნენ მკითხველის მოწონებას, ამ ეპოქის თითოეულ ძლიერ ნაწარმოებს ქართველი საზოგადოება თვლიდა როგორც ძვირფას შენაძენს ლიტერატურულ საგანძურში. მაგრამ იმ „უდროობის ხანაში“, როდესაც ცარიზმის მიერ იდევნებოდა ყოველივე ნაციონალური, ქართველი საზოგადოებისთვის ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაციონალური სულისკვეთების აღმძვრელი ლირიკა იყო და არა მხოლოდ სატრფიალო-სამიჯნურო პოეზია.

აღ. ქავჭავაძის შემოქმედება განსაზღვრა იმ პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დონემ. საზოგადოების მოქალაქეობრივმა შეგნებამ განაპირობა აღ. ქავჭავაძის პოეზია. მართალია, ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ნიადაგგამოცლილი თავდაზნაურობა, რომელმაც ალლო ვერ აულო ახალ ვითარებას და რომელიც უწყალოდ ისრისებოდა მძლავრი ეკონომიური ფაქტორის, — კაპიტალიზმის მარწუხებში, ცხოვრების ერთადერთ მიზანს ტრფიალებასა და დროსტარებაში ხედავდა, იგი

აღტაცებით ეგებებოდა ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო-სალალობო ნაწარმოებებს და ხშირად თავის გემოვნების მიხედვითაც კი ახდენდა მათ გადაკეთებას, მაგრამ ალ. ჭავჭავაძეს არაფერი ჰქონდა საერთო ქართველი თავადაზნაურობის ამ გზაბნეულ ფენასთან, რადგან მშვენიერად გრძნობდა, რომ მას არ შესწევდა უნარი მცირელი წვლილი მაინც შეეტანა საქართველოს საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების წინსვლა-განვითარების საქმეში. ქართველი თავადაზნაურობის იმ ნაწილის თანაგრძნობას და წაქეზებას, რომელსაც „წყლის ყლაპვა ცოდვილთ წესად“ მიაჩნდა და რომელიც თრობასა და ძილში ჰკლავდა დროს, ალ. ჭავჭავაძისთვის არავითარი ფასი არ ჰქონდა.

დ. ბაქრაძე შეეხო ალ. ჭავჭავაძის ლექსის ფორმასაც. მკვლევარის აზრით, ალ. ჭავჭავაძის ლექსები და ამ ლექსებისთვის გამოყენებული რითმები მეტად მძიმეა, რაც მკითხველისთვის ნაწარმოებს ძნელად გასაგებს ხდის, მაგრამ განსაკუთრებით ძნელად გასაგებია ის ნაწარმოებნი, რომლებშიაც პოეტი ომონიმურ რითმას—მაჯამას იყენებს. დ. ბაქრაძის აზრით, მაჯამურ ნაწარმოებებში, რაც დამახასიათებელია პოეტისათვის, ალ. ჭავჭავაძე თავისუფალ შემოქმედადე კი არ გვევლინება, არამედ პოეტიკის მშრალ კანონებში ჩაქედილ პოეტად, რომელსაც „გულში ჩაუსახავს, რომ ამა და ამდენი ლექსი ერთისა და იმავე სიტყვით უნდა დავაბოლოო, მაგრამ ისე კი, რომ ყოველს მათგანს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდესო; რაღა გრძნობა გამოითქმება თავისუფლად, რაღა სიტყვებზე და ძლიერება მიეცემა ლექსსა? ან მკითხველმა რა დააშავე, რომ უნდა თავი იმტვიროს ამგვარ პოეტურ გამოცანაზედ?“¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ომონიმური რითმები ალ. ჭავჭავაძისთვის არ წარმოადგენს დამახასიათებელ მოვლენას, როგორც ეს დ. ბაქრაძეს ჰგონია. მაჯამური რითმით ალ. ჭავჭავაძეს მხოლოდ რამდენიმე ლექსი უწერია, როგორიცაა მაგ. „სახე შენი“, „არვის ჰმართებს“, „ვიწყო წერა

¹ „ივერია“, 1881 წ., № 8, გვ. 120.

მაჯამით“, „ამად მემდურვ“, „სვემ მაწვიმა მანანა“, „გული წამართვი“, „მიველ წალკოტს სანუგეშოთ“ და რამდენიმე სხვა. თითქმის ყოველ მათგანში ძლიერად იგრძნობა პოეტის სულიერი განწყობილების ცხოვლად და თავისუფლად გამოხატვის უნარი. შეიძლება საშუალო მკითხველისათვის ზოგიერთი სტროფი ძნელად გასაგები იყოს, მაგრამ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მაჯამურ ლექსწყობაში, არამედ არქაიზმების ქარბად გამოყენებაში, რაც ალ. ქავქავაძეს ახასიათებდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მართალია, დ. ბაქრაძეს ღრმად სწამს, რომ ალ. ქავქავაძე მექანიკურად არის ჩაქედლილი პოეტის კანონებში, „შეზოქილია სხვადასხვა აკროსტიხებით და ანბანთ-ქებით“, მაგრამ პოეტი მაინც ხანდახან ახერხებს ამ ზღუდეების გარღვევას, ჰქმნის „ზოგიერთ გრძნობით სავსე ლექსებს“, რომელნიც ანცივიტრებენ მკითხველს „ნამდვილ გრძნობათა გამოთქმით, კაცის გულის სხვადასხვაობის გამოხატვით, ლექსის ტკბილზმოვანებით, თუ ენის მოქნილობითა და ძლიერებით“. მართალია, ეს ნაწარმოებნი მალალზხატურული ღირსებისანი არიან, მაგრამ თემატიურად მეტად ერთფეროვანია. „ალ. ქავქავაძის წუნი ეს არის, რომ ყველა თავის ორიგინალურს ლექსებში ერთსა და იმავე საგანზედ მღერის და ერთი და იგივე კილო გვიბუჟის ყურებში“¹. ცხადია, აქ ერთგვარ გაუგებრობასთან და წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. თუ ალ. ქავქავაძემ შესძლო „კაცის გულის სხვადასხვაობის გამოხატვა“, ეს უკვე აღარ მიუთითებს ერთ და იმავე კილოზე პოეტის შემოქმედებაში, რაც მკვლევარს თავმომბეზრებლად უბუჟის ყურში. ალ. ქავქავაძის ღირიკა საერთოდ მრავალფეროვანია, მასში ძლიერად შეიმჩნევა სხვადასხვა თემები და სხვადასხვა მოტივები. პოეტს შეწევს უნარი, რომ ერთი და იგივე თემა მრავალფეროვნად, სხვადასხვა კუთხით წარმოგვიდგინოს. სატრფიალო ხასიათის ნაწარმოებებშიც, მიუხედავად მათი თემატიკური განსაზღვრულობისა, მკითხველისათვის ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეიმჩნევა პოეტის

¹ „იველია“, 1881 წ., № 8, გვ. 122.

მიერ სიყვარულის გრძნობის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გამოხატვა.

აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში მკაფიოდ იგრძნობა სიყვარულის გრძნობის როგორც სენტიმენტალისტური, ასევე რომანტიკული გაგება. პოეტი უგალობს როგორც სატრფოს გარეგნულ სილამაზეს, მის ხორციელ მშვენებებს, ასევე, განსაკუთრებით,—სატრფოს სულიერ სიდიადეს. პოეტის გაგებით, სიყვარულის ძლიერი გრძნობა სევდისა და მწუხარების მომცემიც არის და უტკბილესი ნეტარების, სიამოვნებისა და სიხარულის მომნიჭებელიც, ადამიანის სულიერად ამბალღებელი და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღ. ჭავჭავაძის სატრფიალო ხასიათის ნაწარმოებთა გარკვეული ნაწილი მხოლოდ სიყვარულის გრძნობის მრავალფეროვანი ასახვით კი არ ისაზღვრება, არამედ პოეტის მიერ მათში მკვეთრად არის წამოყენებული სოციალურ-საზოგადოებრივი ხასიათის საკითხებიც, რაც მის სატრფიალო ლირიკას უფრო ფართო ხასიათს აძლევს. ყოველივე ეს კი საფუძველს აცლის დ. ბაქრაძის დებულებას აღ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის ერთფეროვნების შესახებ.

მიუხედავად არსებითი ხასიათის რიგი მცდარი დებულებებისა, აღ. ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასებაში დ. ბაქრაძე საბოლოოდ მაინც სწორ დასკვნამდე მივიდა, თუმცა ეს დასკვნა არ გამომდინარეობს მისი წერილის შინაარსიდან. მკვლევარი ეყრდნობა რა მხოლოდ „ზოგიერთ გრძნობით სავსე ლექსებს ამ ავტორისას“¹, რომელნიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ, ასკენის, რომ აღ. ჭავჭავაძე წარჩინებული პოეტიცა და რომ მას „დიდი ხანია, რაც... ჩვენს პოეტებს შორის პირველი ადგილთაგანი უჭირავს“². აღ. ჭავჭავაძე მართლაც ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტური ფიგურაა, მაგრამ იგი თვალსაჩინოა არა მხოლოდ იმ „ზოგიერთი გრძნობით სავსე ლექსებით“, რომელთა რაოდენობაც, დ. ბაქრაძის აზრით, მის შემოქმედებაში მეტად მცირეა, არამედ—მთელი თავისი ლიტე-

¹ „ივერია“, 1881 წ., № 8, გვ. 120; დაყოფა ჩვენი. ი. ბ.

² იქვე, გვ. 122.

რატურული მემკვიდრეობით, რომელიც ერთ-ერთი პირველი ახალი სიტყვათაგანი იყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში როგორც თავისი ღრმა შინაარსის, ასევე, ხშირ შემთხვევაში, ფორმის სიახლის თვალსაზრისითაც.

* * *

აღ. ქავჭავაძის ლექსთა კრებულის გამოცემას ზ ა ქ ა რ ი ა კიკინაძეც გამოეხმაურა და 1881 წელს გაზ. „ღროებაში“ საკმაოდ ვრცელი წერილი მოათავსა.

ზ. კიკინაძე შეეხო 1881 წლის გამოცემაში მოთავსებულ ზოგიერთ ლექსს („სიყვარულო, ძალსა შენსა“, „მაისის ვარდ-მან ფურჩხნილმან“, „ჟამნი ჰრბიან, შენცა მეღტვი“, „მანსურის გაფი“, „ჰოი, გაბადრული მთვარე“, „მშვენიერთა ხელ-მწიფავ“ და „უგვანთა ტრფობა, უგრძნოდ ტკობა ვისა გსმენია“) და ისინი ალექსანდრე ქავჭავაძისეულად არ მიიჩნია.

მაგალითად, „სიყვარულო, ძალსა შენსა“, ზ. კიკინაძის აზრით, ეკუთვნის დავით ჩოლოყაშვილს. ამ შემთხვევაში მკვლევარი ეყრდნობა პლ. იოსელიანს, რომელიც ზ. კიკინაძის სიტყვით, „ჰმოწმობს „ღუშეთის აღწერაში“, რომ ეს ლექსი დავით ჩოლოყაშვილს ეკუთვნისო“¹, და—„ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის XIII—XIV გვერდზე მოთავსებულ ბროსეს შენიშვნას, რომლის მიხედვითაც „აგრეთვე ეპიცო არის, რომ ეს. დავით ჩოლოყაშვილმა სთქვაო“.

ამ შემთხვევაში ჩვენ რამდენიმე შეცდომასთან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, პ. იოსელიანს თავის შრომაში: „Описание города Душета Тифлисской губернии“ არსად არ მიუთითებია, რომ „სიყვარულო, ძალსა შენსა“ დ. ჩოლოყაშვილს ეკუთვნოდეს. არც მ. ბროსე აცხადებს ამ ლექსს დ. ჩოლოყაშვილის კუთვნილებად. „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში იგი წერს: „მეფის ირაკლის მეორის, გინა გიორგის მეთერთმეტის დროს იყო ჩოლოყაშვილი ჯიმშერ ერისთვის ძე დავით მდივანბეგი, მეფეთაგან პატივცემული, დიად მეცნიერი

¹ „ღროება“, 1881 წ., № 225.

და უცხო პიიტიკოსი, რომელიც ჰგონებდა ასე უნდა ეთქვაო
ტარიელს ნესტან დარეჯანისათვის: სადა ჰსწერია: „აწ რასაცა
მე მალირსებ... (მუხლი ულა), მის მაგიერად:

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს.
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხვრას ზარკად არა გცემდეს.
შენგან მეფე მონად ეყმოს, შენგან ბრძენი ველად რბოდეს,
და მამ ბუღბუღს რად ეხრაზვის რომ შენ გამო ვარდს შეჰყვდეს.

„ნეტარ მას ვინმცა შენს ახლოს შენ მხოლოსათვის ოხრედეს,
მისა შენისა სმენითა ყურსა ატკობდეს, აღხენდეს.
ზოგჯერ ბადანშთა თვისდამი საამოდ მლიმრად ჰხედვიდეს,
და ხან ვარდთა ყნოსვით ჰსთერებოდეს, ხან ეკლით განიფხილებდეს“¹.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, ბროსე ლაპარაკობს
არა იმის შესახებ, რომ ზემოთ მოტანილი ორი სტროფი
დ. ჩოლოყაშვილის ეკუთვნისო, არამედ ბროსეს მოაქვს დ.
ჩოლოყაშვილის აზრი, რომელიც „ჰგონებდა ასე უნდა ეთქვაო
ტარიელს ნესტან-დარეჯანისათვის“. საფიქრებელია, რომ ალ.
კავკავაძის ორივე ლექსი („სიყვარულო, ძალსა შენსა“ და
„ეჰა, ესე ვარდ-ზამბახნი“), საიდანაც თითო სტროფია მო-
ტანილი, უკვე საკმაოდ ყოფილა გავრცელებული და ბევრს
ზეპირადაც სცოდნია, იგი ზეპირად სცოდნია დ. ჩოლოყა-
შვილსაც და, ალბათ, სტროფების მაღალმა მხატვრულობამ,
მათი სალექსო სტრიქონების ნათესაობამ და რითმის სიახ-
ლოვემ რუსთველის თექვსმეტმარცვლოვან შაირთან დ. ჩო-
ლოყაშვილი შეცდომაში შეიყვანა.

რომ ლექსი „სიყვარულო, ძალსა შენსა“ და „ეჰა, ესე
ვარდ-ზამბახნი“ ნამდვილად ალ. კავკავაძის ეკუთვნილებათ,
ამას ადასტურებს პლ. იოსელიანის წერილი მარი ბროსესადმი
1841 წლის 21 ნოემბრის თარიღით, რომელშიც ლაპარაკია
„ვეფხისტყაოსნისათვის“ დართულ მ. ბროსეს წინასიტყვაო-
ბის შესახებაც: „ვეფხისტყაოსნისა დაბეჭდვა კარგად მოჰხდა

¹ „ვეფხისტყაოსანი“, 1841 წ. გამოცემა, გვ. XIII—XIV. მკითხველისა-
თვის ნათელია, რომ აქ ერთგვარ კომბინირებასთან გვაქვს საქმე. მოტა-
ნილი პირველი სტროფი ამოღებულია ა. კავკავაძის ლექსიდან „სიყვარულო,
ძალსა შენსა“, ხოლო მეორე—ლექსიდან: „ეჰა, ესე ვარდ-ზამბახნი“.

და იყიდებაცა კარგად. წინასიტყვაობაში მოღებულნი ორი კუპ-
ლეთი დავით მდივანბეგის სახელით¹, არის ქმნილი ალექსანდ-
რე ქავკავაძისაგან. ჩვენ ესრეთ ვიცნობდით და ამისა დასამტკი-
ცებლად ესეცა არის რომ მეორე ხ ან ა მისი არის ფრანციზუ-
ლიდამ თარგმნილი. ფრანციზულად დაწერილი ლექსი თვით
ალექსანდრემ მიჩვენა. სადაც სწერია: ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო , ი ქ უ ნ და
ი ყ ო ს : ს ი ყ ვ ა რ უ ლ ო , ნ ა ც ვ ლ ა დ შ ე ნ გ ა ნ მ ე ფ ე მ ო ნ ა დ
ე ყ მ ო ს , უ ნ და ი ყ ო ს შ ე ნ გ ა ნ მ ე ფ ე მ ო ნ ა ს ე ყ მ ო ს . ნ ა ც ვ -
ლ ა დ გ ა ნ ი ფ ხ ი ლ ე ბ დ ე ს , უ ნ და ი ყ ო ს : გ ა ნ ი ფ ხ ი ზ ლ ე ბ -
დ ე ს “². მოტანილი წერილი საკმაოდ დამაჯერებელ საბუთს
წარმოადგენს, რომელიც ნიადაგს აცლის ზ. კიკინაძის მოსაზ-
რებას.

აღ. ქავკავაძის ლექსთა კრებულში შესული ზოგიერთი
ნაწარმოების ავტორის ვინაობის დასადგენად ზ. კიკინაძე
ეყრდნობა არა მეცნიერული ღირებულების მქონე საბუთებს,
არამედ აქა-იქ ყურმოკრულ ამბებს, ან სხვადასხვა პირთა
დაუსაბუთებელ ნათქვამს.

¹ პლ. იოსელიანსაც არა აქვს სწორად გაგებული მ. ბროსეს წინასიტყ-
ვაობის ეს ადგილი. ისიც ფიქრობს თითქოს მ. ბროსე აცხადებდეს, რომ ეს
სადავო სტროფები დ. ჩოლოყაშვილს ეკუთვნოდეს.

² აღ. ქავკავაძე, „თხზულებანი“, 1940 წ., გვ. 273.

ამ წერილის შემდეგ გოცებას იწვევს პლ. იოსელიანის შენიშვნა, რო-
მელიც მან გააკეთა 1866 წელს თავის ნაშრომში: „Род князей Чолакаевых
и мученик св. Вidadна Чолакаев“. ახასიათებს რა დ. ჩოლოყაშვილს,
იგი წერს: „...Давид (скопчавшийся около 1810 года), в легких
стихах, лучшим языком, воспевал любовь, вино и подвиги военные
своего народа, в монограммах своим царям, лицам царственным и
честным, характеризовал их положение к царству, народу и к себе
самим. Он есть замечательное лицо в истории грузинской литера-
туры XIX века... Один куплет его сочинения о л ю б и и, помещен в
предисловии первого издания Броссета „Барсовой книги“. აღაბთ, ამ
შენიშვნას ემყარებოდა ზ. კიკინაძე, როდესაც „სიყვარულო, ძალსა შენსა“-ს
დ. ჩოლოყაშვილისეულად აცხადებდა, მაგრამ ამ შენიშვნაში პლ. იოსელი-
ანი კონკრეტულად არ მიუთითებს, თუ რომელ სტროფს მიიჩნევს დ. ჩო-
ლოყაშვილისეულად. გარდა ამისა, ამ შემთხვევაშიც ჩვენ საქმე გვაქვს არა
მეცნიერულ დასაბუთებასთან, არამედ დეკლარატიულ განცხადებასთან, რაც
ხემოთ მოტანილი წერილის შემდეგ მეტად საეჭვოა.

მაგალითად, ზ. კიკინაძის აზრით, ლექსი „მაისის ვარდ-
მან ფურჩენილმან, ბეზეკმან მწვანით მოსილმან“ ეკუთვნის
ბესარიონ გაბაშვილს და არა ალ. ქავჭავაძეს, რადგან „ძვე-
ლადვე ნათქვამია, რომ სადაც კი ლექსში სიტყვა „ბესიკი“
ხმარებული იყოს, ის ლექსი ანტონ კათალიკოსის და ერის
მოქიშპის ბესარიონ გაბაშვილისა არისო, რომელსაც მეტ სა-
ხელად „ბეზიკს“ უწოდებდნენო. თ. რაფ. ერისთავმა მითხრა,
რომ სწორედ ეგრე გამიგია მეცაო. მეორეც თვითონ ეს ლექსი
მე მინახავს ბესარიონ გაბაშვილისაგან დაწერილ ლექსებში“¹.

ცხადია, რომ ამგვარი „საბუთი“ ლექსის ავტორობის და-
სადგენად არ გამოდგება. ნაწარმოებში ნახმარი სიტყვა „ბე-
ზეკმან“ სრულებითაც არ გულისხმობს ბესარიონ გაბაშვილს.
ლექსში ვკითხულობთ:

„მაისის ვარდმან ფურჩენილმან,
ბეზეკმან მწვანით მკობილმან
ბულბული ათრო სუნითა“.

„ბეზეკი“ ამ შემთხვევაში ელვარეს მნიშვნელობით იხმა-
რება, რაც სტროფს სავსებით გარკვეულ შინაარსს აძლევს:
მაისის გაფურჩქნულმა ელვარე ვარდმა, რომელიც მწვანე
ფოთლებით იყო შემკული, თავისი სურნელებით დაათრო
ბულბული. ერთი წუთითაც რომ დაეუშვათ და „ბეზეკში“
ბესიკი ვიგულისხმოთ, მაშინ სრულ უაზრობას მივიღებდით,
სახელდობრ: მაისის გაფურჩქნულმა ვარდმა და მწვანით შე-
მკულმა ბესიკმა ბულბული თავისი სურნელებით დაათვრეს.
ცხადია, რომ აქ არც აზრია და არც პოეტური სახე.

რაც შეეხება ზ. კიკინაძის ცნობას იმის შესახებ, რომ
თითქოს მას ეს ლექსი უნახავს „ბეს. გაბაშვილისაგან დაწე-
რილ ლექსებში“, ეს მეტად საეჭვოა. ამ ლექსის ბეს. გაბა-
შვილისეული ავტოგრაფი დღემდის უცნობია. შეიძლება
ზ. კიკინაძემ ნახა ეს ლექსი შეტანილი რომელიმე გადამწე-
რის მიერ შესრულებულ ბეს. გაბაშვილის ლექსების კრებულ-
ში, მაგრამ ეს კიდევ არ მიუთითებს ბესიკის ავტორობაზე,

¹ გაზ. „დროება“, 1881 წ., № 225.

რადგან ლიტერატურის ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის, როდესაც გადამწერი ერთი რომელიმე პოეტის ნაწარმოებს თავის გადაწერილ კრებულში მეორე პოეტს მიაკუთვნებდა. ამგვარ მდგომარეობას ადგილი აქვს არა მხოლოდ ხელნაწერებში, არამედ ბეჭდურ გამოცემებშიც. მაგ. ბესიკს მიაწერეს იოსებ მელიქიშვილის ლექსი „ბუნდოვან გულს“ (იხ. ბესიკის თხზულებანი 1932 წ. გამოც.), ალ. ქავკავაძის ორიგინალურ ლექსად მიიჩნიეს პუშკინის „იმპერატრიცა ელისაბედის მიმართ“, რომელიც პოეტს უთარგმნია (იხ. ალ. ქავკავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ 119).

გარდა თემატიკური, ენობრივი და სტილისტური თავისებურებებისა, რაც ალ. ქავკავაძის ნაწარმოებთათვის არის დამახასიათებელი, ამ ლექსის ქავკავაძისეულობას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ იგი შესულია დავით რექტორის დაეთარში (№ 1512—S) სათაურით: „თ. ალ. ქავკავაძისაგან თქმული მანჰა განჯალუ დეგულამის ხმა. თათრულია: „მე განჯელი არა ვარ“; დავით რექტორის დაეთარი კი საკმაოდ სარწმუნო წყაროს წარმოადგენს.

ასევე უსაფუძვლოა განცხადება, თითქოს ლექსი „ბალახშ ბეზეკის ბაგით“, რომელიც სარეცენზიო კრებულშია შესული „მანსურის გაფის“ სათაურით, ბეს. გაბაშვილს ეკუთვნოდეს, რადგან, ზ. ქიქინაძის აზრით, აქაც ბესიკია მოხსენიებული. ამ შემთხვევაშიც რომ ბეზეკის მაგიერ ბესიკი ვიგულისხმობთ, ისეთივე უაზრობას მივიღებდით, რასაც წინა შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. მაშინ ლექსის პირველი სტრიქონი ასე გაიშიფრებოდა: „ლალისფერი ბესიკის ბაგით სიტყვა წარმონაშობი“ და სხვ.

ზ. ქიქინაძემ ზარპყო აგრეთვე ალ. ქავკავაძის ავტორობა ლექსისა „უამნი ჰრბიან“ და იგი გიორგი თუმანიშვილს მიაკუთვნა, რადგან ეს ნაწარმოები შესული ყოფილა იმ ძველი ლექსების კრებულში, რომელიც გ. თუმანიშვილის ხელით არის ნაწერი და ეწოდება „წალკოტი მრავალ ყვავილოვანი“; გარდა ამისა, ეს ლექსი ზ. ქიქინაძეს უნახავს „სამს ძველს წიგნებში და ყველგან გიორგი თუმანიშვილის ხელითა“. სამწუხაროდ, ზ. ქიქინაძე კონკრეტულად არ ასახელებს, თუ

რომელი „სამი ძველი წიგნი“ აქვს მხედველობაში. ამიტომ მათი მიგნება მეტად ძნელია. რაც შეეხება „წალკოტ მრავალ ყვავილოვანს“, აქ თავისებურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ასეთი კრებული მართლაც არსებულა, მაგრამ იგი წარმოადგენდა არა გ. თუმანიშვილის ორიგინალურ ან ნათარგმნ ლექსთა კრებულს, არამედ ერთგვარ ანთოლოგიას, რომელშიც გ. თუმანიშვილს შეუტანია სხვადასხვა მწერალთა ნაწარმოებნი და მათ შორის, ალბათ, ალ. ჭავჭავაძის ლექსიც „ეამნი ჰრბიან“. ასეთი კრებულის არსებობას ადასტურებს პლ. იოსელიანიც: „გიორგი თუმანიშვილი, ძე ეგნატი მდივნისა, მოყვარე მწიგნობრობისა და მწერლობისა, ამან შეკრიბა ერთ წიგნად ლექსნი ძველად თქმულნი და უწოდა ქართველთა მწერლობისა ამის საუნჯესა „მრავალ-ყვავილოვანი“. დღესაცა აქვს იგი შვილსა მისსა ლენერალ-მაიორსა ალექსანდრეს“¹. ის გარემოება, რომ ლექსი „ეამნი ჰრბიან“ გ. თუმანიშვილის მიერ შედგენილ ანთოლოგიაში შევიდა, სრულებითაც არ ადასტურებს მის ავტორობას ამ ნაწარმოებზე. ალ. ჭავჭავაძის ავტორობას კი ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „ერთ ხელნაწერში: № 2130, რომელიც გრ. ბატონიშვილს ეკუთვნის, ამ ლექსს ასეთი სათაური აქვს: „ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული სიმღერა ბაჩი დანი გულმიროვის ხმაზე“².

ასევე მცდარია ზ. კიკინაძის აზრი, თითქოს ლექსი „უგვანთა ტრფობა“ ეკუთვნოდეს რახიელ ციციშვილისას. მართალია, ერთი ხელნაწერი (№ 101—H) იუწყება, რომ ლექსი „თქმულია კენინა რახიელისაგან“-ო, მაგრამ სამი ხელნაწერი ავტორად ალ. ჭავჭავაძეს აღიარებს. „ეს ლექსი მოთავსებულია საქ. ცენტრ. არქივის ხელნაწერში შემდეგი სათაურით: „ალ. ჭავჭავაძისაგან მუსტაზადის ხმა“ (ხელთ. № 355), და აგრეთვე—ხელნაწერებში № 4907—S და 4730—H, სადაც ამ ლექსს ასეთი სათაური აქვს: „ალექსანდრე ჭავჭავაძის თქმული გულდამწვარზე“³.

¹ პლ. იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936 წ., გვ. 264.

² ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 278.

³ იქვე, გვ. 305.

თუ ზ. კიკინაძე ცდებოდა ზემოხსენებულ ნაწარმოებთა ავტორობის საკითხში, სამაგიეროდ, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს მის მოსაზრებას ამავე საკითხში ორიოდ ნაწარმოების მიმართ.

ზ. კიკინაძე ლექსს „ჰოი გაბადრულო მთვარე“ იოსებ მელიქიშვილს აკუთვნებს. მართალია, მკვლევარი ვერ ახერხებს წამოყენებული დებულების დასაბუთებას, მაგრამ რამდენიმე ხელნაწერი ზ. კიკინაძის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ერთი ხელნაწერი ამ ლექსს იოსებ მუშრიბიშვილს აკუთვნებს („Описание“, ტ. 11, გვ. 463), ხოლო მეორე ხელნაწერი, რომელიც ი. გრიშაშვილს 1934 წ. „ელხში“ უნახავს, ლექსის ავტორად „იოსებ ნაცვალს“ აცხადებს. იოსებ მუშრიბიშვილი და იოსებ ნაცვალი კი ერთი და იგივე პიროვნება — იოსებ მელიქიშვილია¹.

თუმცა ი. გრიშაშვილი ამ ლექსს ალ. ქავჭავაძეს აკუთვნებს, რადგან „ჯერ ერთი, ამ ლექსის აღნაგობა და შინაგანი რიტმი ძალიან გვაგონებს ალ. ქავჭავაძის სხვა ლექსებს და მეორეც — ალ. ქავჭავაძის ლექსების პირველ გამომცემლებს ალბათ უფრო მეტი დამაჯერებელი მასალები ჰქონდათ, რომ ეს ლექსი ძირითად ტექსტში მოათავსეს“², მაგრამ, ვფიქრობთ, მხოლოდ ეს მოსაზრებანი არ კმარა ალ. ქავჭავაძის ავტორობის დასაბუთებლად. მართალია, ალ. ქავჭავაძის ლექსების პირველ გამომცემელთ უდავოდ ხელთ ჰქონდათ რიგი საყურადღებო მასალა, როდესაც ამა თუ იმ ლექსს პოეტის უცილო კუთვნილებად აცხადებდნენ, მაგრამ ზოგიერთი ლექსის მიმართ ისინი მაინც იქვე გამოთქვამდნენ. „რაც შეეხება სინამდვილეს, რომ ამ წიგნში შემოსული ლექსები უეკველად ალ. ქავჭავაძისაა, — წერდნენ გამომცემლნი, — ამაზედ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ პირველი ორმოცდათორმეტი ლექსი და აგრეთვე, სულ უკანასკნელი³ — პოეტის თანამედროვე კაცს, ქართულს მწერლობაში განვითარებულს, დავით რეკ-

¹ იხ. ტ. ო. რუხაძე — „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“, 1954 წ., გვ. 238.

² ალ. ქავჭავაძე — თხზულებანი, გვ. 304.

³ იგულისხმება ლექსი „შენ გეტრფის, ვარდო, გლახ გული“.

ტორს გადაწერილი აქვს 1823 წელს. დანარჩენნი, სხვა სანდო მწერალთა და მწერლობის მკოდნეთა ჰქონდათ, — ამიტომ საექვოდ არა რჩება რომ, თვინიერ ორის-სამისა, ნამდვილად პოეტს ეკუთვნიან¹. ლექსს „ოპ გაბადრულო მთვარე“ კრებულში 92-ე ადგილი უკავია, მოთავსებულია მის ბოლო ნაწილში, რაც გვაფიქრებინებს, რომ, ალბათ, გამომცემელთაც საექვოდ მიაჩნდათ, რომ იგი ალ. ჰავკავაძეს ეკუთვნოდა.

იგივე ითქმის ლექსზე „მშვენიერთა ხელმწიფავ“. ზ. ჰიჭინაძეს უნახავს ხელნაწერი, რომელსაც ასეთი მინაწერი ჰქონია: „ეს ლექსი შაჰ-ნაზარ გუბად წოდებულია, რომელიც მეკუთვნის მე თამაზ ქობულოვსა“-ო. ი. გრიშაშვილსაც უნახავს ერთი ხელნაწერი, რომელიც ლექსის ავტორად თამაზის ნაცვლად ოთარ ქობულოვს აცხადებს: „ოთარ ქობულოვისაგან თქმული, ფადიშას ხუბანის ცალად“². შეიძლება „მშვენიერთა ხელმწიფავ“ მართლაც ალ. ჰავკავაძის კუთვნილება იყოს, მაგრამ ჯერჯერობით, ვიდრე სხვა სარწმუნო წყარო არ აღმოჩნდება, იგი სადავო ლექსებში უნდა იქნას მოქცეული.

1886 წელს ზ. ჰიჭინაძე ბესიკ გაბაშვილისა და გრ. ორბელიანის შემოქმედებასთან ერთად კვლავ შეეხო ალ. ჰავკავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას (ზ. მთაწმინდელი, „ბესიკი, თ. ალ. ჰავკავაძე და გრ. ორბელიანი“, 1886 წ., თბილისი).

თუ 1881 წ. ზ. ჰიჭინაძე უსაყვედურებდა ალ. ჰავკავაძის ლექსთა კრებულის გამომცემელთ, რომ მათ კრებულში შეიტანეს ისეთი ლექსები, რომელნიც პოეტს არ ეკუთვნოდნენ, ახლა ერთ-ერთ ნაკლად ის გარემოება მიიჩნია, რომ გამომცემელთ გამორჩათ პოეტის ზოგიერთი ნაწარმოები. ამ ხარვეზის შეესების მიზნით მან უსათაუროდ გამოაქვეყნა ერთი ლექსი, რომელიც, მკვლევარის აზრით, ალ. ჰავკავაძეს კაზარმობის დროს დაუწერია. ეს ლექსია „მუხთალმან ამა სოფელმან“. იგი ალ. ჰავკავაძისეულად მიაჩნია პოეტ ი. გრიშა-

¹ ალ. ჰავკავაძე, ლექსები, 1881 წ., წინასიტყვაობა.

² ალ. ჰავკავაძე—თხზულებანი, 1940 წ., გვ. 305.

შეილსა¹, მაგრამ სინამდვილეში ეს ლექსი „დუბეთის“ სა-
თაურით, როგორც ხელნაწერშია აღნიშნული, ეკუთვნის გი-
ორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილს². ამგვარი შეცდომები და-
არა სიზუსტე ყოველთვის არის მოსალოდნელი, როცა არ-
მოგვეძვეება პოეტის ამა თუ იმ ნაწარმოების დედანი და
როცა არა გვაქვს სრულად დამუშავებული და გამოქვეყნე-
ბული ჩვენს სიძველეთა საცავებში დაცული მდიდარი საგან-
ძური. ასეთ შემთხვევაში გამომცემელი არ არის დაზღვეული,
რომ ან გამოარჩეს ზოგი რამ, ანდა, პირიქით, კრებულში
შეიტანოს ისეთი ნაწარმოები, რომლის ადგილიც იქ არ არის.
თანამედროვე ფილოლოგია, შეძლებისამებრ, გზადაგზა ას-
წორებს ასეთ შეცდომებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ზ. კიკი-
ნაძის ნაშრომში მთავარი შეცდომა ეს კი არ არის, არამედ
ის, რომ ავტორმა ნაშრომში განავითარა მეტისმეტად ყალ-
ბი, ნიჰილისტური შეხედულება საერთოდ ქართულ მწერლობა-
ზე და კერძოდ ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაზე.

ზ. კიკინაძის აზრით, აღორძინების ხანის ქართულ მწერ-
ლობას არავითარი როლი არ უთამაშია ქართული ლიტერა-
ტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქ-
მეში. ამ ეპოქის პოეზია მხოლოდ ეროტიკულ და წმინდა-
ბიოლოგიურ გრძნობათა გამოსახვას ემსახურებოდა. მწერ-
ლებს არ ახასიათებდათ არც მხურვალე პატრიოტული გრძნო-
ბა და არც ფხიზელი აზროვნება. „ბესიკი და მისი თანამედ-
როვე მელექსეები, — აღნიშნავს ზ. კიკინაძე, — ერთნაირის
მკედარი ჰაზრებით იყვნენ გატაცებულნი და აღზნებული,
მთელი ეს დასი შესდგებოდა მხოლოდ ისეთი გვარის შეილება-
თაგან, რომელთაც თავიანთი მამულისა და ქვეყნის სიყვა-
რული მხოლოდ თავის ტუჩების ტლაშატლუშ[ში] ჰქონდათ
გამონასკული და თავის ღიპიანი მუცლის გემოვნებაში“³.

ზ. კიკინაძის ამგვარი მსჯელობიდან საკმაოდ ნათლად
ჩანს, რომ მას ან არ შეუესწავლია ზემოხსენებული პერიოდის

¹ ალ. ქავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 275.

² იხ. ტ. თ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 191.

³ ზ. კიკინაძე, ბესიკი, თ. ალ. ქავჭავაძე, თ. გრ. ორბელიანი, 1886 წ.,

ლიტერატურული მემკვიდრეობა, ანდა ცდილობს ტენდენ-
ციურად მიჩქმალოს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების არ-
სებითი დადებითი მხარე და ცალკეული, არაარსებითი, მა-
გალითების განზოგადოებით მრუდე სარკეში დაგვანახოს
XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლი-
ტერატურული ცხოვრება.

ზ. კიკინაძის აზრით, ალ. ჭავჭავაძემ კარგად დაიწყო ლი-
ტერატურული მოღვაწეობა, პატიმრობის პერიოდში დაწე-
რა ლექსი „ოპ წარმავალნო“. რომელშიც გამოხატა პატიმ-
რის გულის მწუხარებანი, შემდეგ ფრანგულიდან თარგმნა
ლექსი „ვაი სოფელსა“, „მაგრამ მცირე ხნის შემდეგ-კი ამ
ლტოლვილებას განშორდა იგი, თავის მამა-პაპურ გზას და-
ადგა და ბესიკისებურად მუხამბაზებს დაუწყო მღერა“¹.

ბესიკისებურად მღერა, ბესიკის „სრული მემკვიდრეობა“
კი იმაში გამოიხატა, რომ ალ. ჭავჭავაძემ არ ისურვა აესახა
ეპოქის ტკივილები, გაემახვილებინა ყურადღება ამ პერიოდის
საქიობოროტო საკითხებზე. მაგრამ ასე იქცეოდა არა მხო-
ლოდ ალ. ჭავჭავაძე, არამედ—ყველა მისი თანამედროვე
მწერალი. „მთელ საქართველოში ერთი სახალხო სკოლა არ
იყო, ერთი გაზეთი, ერთი წიგნი, ერთი რამ საზოგადო და-
წესებულებანი და იმის გარდა მთელს მხარეში გლებთა ყმა-
თაგან გოდების ხმის მეტი სხვა არა გამოისმოდა რა, მაგრამ
ამ დროის მწერლები კი ყველა ამაებზე ხმასაც არ იღებდენ“².

ზ. კიკინაძის აზრით, ალ. ჭავჭავაძეს და მის თანამედროვე
მწერლებს მშვენივრად ესმოდათ შექმნილი ვითარება, მაგრამ
„ყოველისფერი საკეთილო საქმეები მათ ფეხებზე ეკიდათ“.
ამიტომ ალ. ჭავჭავაძემ „ვერ აღბეჭდა თავის ნაწალი, მან
თითქმის ისე განატარა თავისი სიცოცხლე და ცხოვრება,
რომ მარტო სიმკვდრით სავსე ნაწარმოებთ ლექსებს გარდა
ჩვენ სხვა არა დაგვიტოვა-რა, სადაც იოტის ოდენი ღირსე-
ბანი არაფერია და საიღამაც ვერც ჩვენ ესარგებლობთ და
გამოგვაქვს რამე ქართულის ლიტერატურისათვის და რომე-

¹ ზ. კიკინაძე, ბესიკი. თ. ალ. ჭავჭავაძე, თ. გრ. ორბელიანი, 1886 წ.,
33. 29.

² იქვე, გვ. 28.

ლიც ვერავითარს ჰაზრს და მიმართულებას ვერ მისცემს ქართველი ახალგაზრდობის გონებით და ჰაზროვნებით ლტოლვილებების აღორძინებას¹. ეს სტრიქონები სხვა არა არის რა, თუ არა მეტისმეტად უხამსი პასკვილი, მიმართული ალ. ჭავჭავაძისა და მთელი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცარიზმი უმაგალითოდ ავიწროებდა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენასა და კლასს, „მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება“², მოწინავე ქართველი იდეოლოგები, ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი და სხვანი, დიდი რუსი ხალხის მოწინავე მოაზროვნეთა მხარდაჭერით, ყოველმხრივ ცდილობდნენ შეწეოდნენ „მამეულ ენას“, დაეცვათ ნაციონალური კულტურა გადაგვარებისა და მოსპობისაგან. ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე ნაწილის ნაციონალური თვითშეგნების ზრდის ნათელი მაჩვენებელია მრავალი აჯანყება და შეთქმულება, მიმართული ცარიზმისა და ადგილობრივ მემამულეთა წინააღმდეგ და აგრეთვე 1832 წლის შეთქმულება, რომლის „მოწინავე იდეოლოგები, შეთქმულების ხელმძღვანელი პროგრესული ნაწილი, ასე ვთქვათ, „მემარცხენე ფრთა“ 1832 წლის მოძრაობისა, რომელსაც ეკუთვნოდნენ სოლომონ დოდაშვილი და სხვები, არ ისახავდა მიზნად ძველი საქართველოს უბრალო რესტავრაციას ძველი, მამა-პაპური, საშუალო-საუკუნეობრივი წყობით; ისინი განახლებულ საქართველოზე ჰფიქრობდნენ. მათთვის არ იყო უცხო თანამედროვე ევროპის ლიბერალური იდეები, რომელთაც კერძოდ ამ ხანაში თვით რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაშიც კპოვეს გამოძახილი, დეკაბრისტების შეთქმულებაში 1825 წელს, და აგრეთვე პოლონეთის აჯანყებაში 1830—1831

¹ ხ. ჭიჭინაძე, ბესიკი. თ. ალ. ჭავჭავაძე, თ. გრ. ორბელიანი, 1886 წ., გვ. 31.

² ს. კ. პ. (ბ) ისტორია, 1949 წ., გვ. 7.

წელს¹. ამ პროგრესულ „მემარცხენე ფრთას“ ეკუთვნოდა ალ. ჭავჭავაძეც თავისი ნათელი იდეებითა და პროგრესული შეხედულებებით.

როგორც მასალებიდან ირკვევა, ქართველი ინტელიგენციის ეურადღების ცენტრში იდგა არა მხოლოდ სამშობლოს ნაციონალური განთავისუფლების საკითხი ცარიზმის ბასრი ბრძკალებისაგან, არამედ მათ უფიქრიათ და უმსჯელიათ ხალხის თავისუფლებაზე საერთოდ, გლახთა აუტანელ მდგომარეობაზე კერძოდ. მათ შორის „იმართებოდა მსჯელობა საქართველოზე, შეუძლია თუ არა მას იყოს დამოუკიდებელი, ხალხის უფლებაზე, ბატონების მიერ გლახთა შევიწროებაზე, და იმ საშუალებებზე, რომლითაც საქართველოს განთავისუფლება იქნებოდა შესაძლებელი“². მართალია, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურულ ძეგლებში თითქმის არ მოიპოვება ნაწარმოები, რომელიც მუქ ფერებში გადმოსცემდეს გლახობის უმაგალითო ტანჯვა-წამებას ცარიზმის მოხელეთა და ადგილობრივ მემამულეთა მიერ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი მოწინავე ინტელიგენცია, და მათ შორის ალ. ჭავჭავაძე, არ ყოფილიყო დაინტერესებული ამ საკითხით და არ გამოეთქვა თავისი გულისწყრომა. ალ. ჭავჭავაძის მოხსენება, წარდგენილი იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი, საკმაოდ მკვეთრად გადმოსცემს ამ დიდი მოქალაქის უკმაყოფილებას, გამოწვეულს სოციალური და ნაციონალური ჩაგვრით. სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგაა მიმართული ალ. ჭავჭავაძის მიერ 1804 წ. გადმოთარგმნილი უცნობი ფრანგი ავტორის ნაწარმოები „ახლოთ განჩხრეკილი კაცი“, რომელმაც თავის დროისათვის უდავოდ დიდი როლი ითამაშა სოციალური ბრძოლის გაღვივების საქმეში. სოციალური და აგრეთვე ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ არის მიმართული ალ. ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი „ვაჰ სოფელსა ამას“, რომლითაც ავტორი გამოდის ყველა

¹ კ. ინგოროყვა, — ნიკოლოზ ბარათაშვილი — ბიოგრაფიული ნარკვევი, ნ. ბარათაშვილის ლექსები, პოემა, წერილები, 1939 წ., გვ. XIX.

² იქვე, გვ. XXI.

ჯურის მტაცებლის, ექსპლოატატორის, მჩაგვრელისა და დამ-
მონებლის წინააღმდეგ; იცავს დაჩაგრულთა, ღარიბთა და
ექსპლოატირებულთა ინტერესებს და ღრმად არის დარწმუნ-
ებული, რომ მომავალი წაშლის უთანასწორობის ზღუდეებს
და ბოლო მოედება ცხოვრების უზრუნველ შეილთა უდარდელ
პარპაშს. XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში პოეტის
მხრივ დიდ გამბედაობად უნდა ჩაითვალოს მოურიდებელი
მიმართვა გაბატონებული ძალის მიმართ:

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოულოდნეთ მათთან თანასწორობას.
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხევეკით!“

პოეტის ეს გენიალური წინასწარმეტყველება მაჩვენებელია
მისი ნათელი აზროვნებისა, ცხოვრების ღრმა ცოდნისა, ეპო-
ქის საკირბოროტო საკითხებით დაინტერესებისა და მომავლის
ნათლად გათვალისწინებისა. ჩვენ აღარაფერს ვიტყვით პოე-
ტის სხვა ნაწარმოებებზე, საიდანაც საზოგადოებრივ-პოლიტი-
კური ცხოვრების მოუწყობლობით გამოწვეული სევდა-ნაღვე-
ლი და უკმაყოფილების ძლიერი გრძნობა გამოსკვივის.

გარდა პოეტური მოღვაწეობისა, ალ. ჭავჭავაძის პრაქ-
ტიკული საქმიანობაც ნათელი მაჩვენებელია იმ გარემოებისა,
რომ პოეტა ინდიფერენტულად კი არ იყო განწყობილი თა-
ვისი ქვეყნისა და ეროვნული კულტურის მდგომარეობისადმი,
არამედ, ქართველ მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად, იგი
თავდადებით იღწვოდა ნაციონალური კულტურის აღორძი-
ნებისათვის.

პერიოდული პრესა ქართველ მოწინავე მოაზროვნე საზო-
გადოებას ყოველთვის მიაჩნდა ერის წინსვლისა და განვითარ-
ების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად. ამიტომ იყო, რომ
„1828—1832 წლებში ქართული გაზეთის არსებობით დაინ-
ტერესებული იყვნენ ს. დოდაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ალ. ორ-

ბელიანი, ს. რაზმაძე, გ. დ. ერისთავი და სხვები. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, თუ გაზეთმა („ტფილისის უწყებანი“ — ი. ბ.) ასე ხანგრძლივად მაინც შესძლო არსებობა, ეს მხოლოდ მათი წყალობით. ს. დოდაშვილი, ალ. ქავჭავაძე და სხვები „ტფილისის უწყებანის“ სასარგებლოდ ბევრს მუშაობდნენ და გაზეთის ყოველი შეწყვეტის შემდეგ მის განახლებაზე ისევ და ისევ ისინი ზრუნავდნენ. გაზეთის გამოცემის შენარჩუნებისა და მისი მტკიცე საფუძველზე დაფუძნების ინიციატივა სწორედ მათ და არა სხვას ვინმეს ეკუთვნოდა¹.

მაგრამ ქართველი მოწინავე საზოგადოება და მათ შორის ალ. ქავჭავაძე ზრუნავდა არა მხოლოდ ქართული გაზეთისათვის, არამედ მათ დღის წესრიგში დააყენეს ქართული ჟურნალის დაარსების აუცილებლობის საკითხიც. ჩვენს სიძველეთა საცავებში დაცული საბუთები არა ერთგზის მიუთითებენ, რომ ალ. ქავჭავაძე იყო ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებანის“ — ს დაარსებისა, გამოცემისა და ჟურნალისათვის ხელისმომწერთა რიცხვის გამრავლებისა².

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ღრმა ეროვნულ და კულტურულ ინტერესებზე მეტყველებს 1840 წ. დ. ყიფიანის მიერ თბილისში, საკუთარ ბინაზე, პატარა სახალხო ბიბლიოთეკის დაარსება, ხოლო 1842 წელს დ. ყიფიანის, გ. ერისთავის, ზ. ფალავანდიშვილის, ალ. ქავჭავაძის, გრ. ორბელიანის, დ. ჯორჯაძის, კ. დადიანის და სხვათა მიერ თბილისში საქალაქო ბიბლიოთეკის გახსნა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ამ პერიოდში ქართველი ინტელიგენციის „მუშაობა პროფესიული თეატრის აღდგენისათვის, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა ორიგინალურ და ნათარგმნ დრამატიულ ნაწარმოებთა შე-

¹ მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1, გვ. 91.

² იხ. ცხსა, ფონდი 1457, რე. V ფ. 781, რე. VI ფ. 978, გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935 წ., ტ. I გვ. 295, მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, I, გვ. 172, 174.

ქმნაში, და თეატრის პროპაგანდაში¹. ალ. ქავკავაძისა და ვ. ორბელიანის სალონებში გაცხოველებული სამზადისი სპექტაკლების დასადგმელად, პიესების კითხვა, როლების განაწილება, რეპეტიციები და ალბათ ზოგიერთი სპექტაკლის წარმოდგენაც, ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის მზარდ ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებაზე მიუთითებს.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ინტელიგენცია დაინტერესებულია არა მხოლოდ თავისი ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობით და იბრძვის ყოველგვარი უკულმართობის გამოვლინების წინააღმდეგ, არამედ იგი უდიდესი ინტერესით ეკიდება მისი ისტორიული წარსულის შესწავლის საქმესაც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კონსტანტინე მამაკაშვილის მემუარები, რომელშიაც ავტორი სხვათა შორის აღნიშნავს: „ხშირად გვექონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ. ერთს საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგანაც არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მე-5 საუკუნიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს, და შეადგინოს ისტორია ამ საუკუნისა. პლ. იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველის საუკუნეების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ 5 საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მათიანეები დაფანტული იყო, არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკლესიო გუჯრები, არც ბევრი საინტერესო გრამატები თავადების და აზნაურების სახლებში, მარტო მათიანედ იყო „ქართლის ცხოვრება“².

ამ ფრიად მნიშვნელოვან წამოწყებას XIX საუკუნის პირველ ნახევარში უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც თავისთავად მრავალმეტყველი ფაქტია.

ქართველი საზოგადოებისა და განსაკუთრებით მისი პროგრესული ნაწილის გონებრივ-კულტურულ გამოფხიზლებაზე მეტყველებს მათი ლიტერატურული საქმიანობა და პრაქტიკუ-

¹ ს. გერსამია, გ. ერისთავის თეატრი, გვ. 35.

² გაზ. „დროება“, 1881 წ., № 206.

ლი მოღვაწეობა. მათ ერთ-ერთ მთავარ მიზანს სამშობლოს ეროვნულ-კულტურული აღორძინება წარმოადგენდა. ამასვე ადასტურებს იმ ეპოქის დიდი მესიტყვე ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანისადმი მიწერილ წერილში:

„ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალ-თა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცილილნი სამსახურითგან მყუდროობაში და მარტოობაში, შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ეს საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ ჰსძინავთ გონებით!“¹.

ყოველივე ეს სრულიად აქარწყლებს ზ. ჭიჭინაძის მცდარ შეხედულებას XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ხასიათზე და კერძოდ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე.

ასევე მცდარია ზ. ჭიჭინაძის კამათი აკ. წერეთელთან მისი ლექსის გამო „აღლექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“. როგორც ჩანს, ზ. ჭიჭინაძეს ვერ გაუგია აკაკის ლექსის ლაიტ-მოტივი და ასეთ დასკვნამდე მისულა: „აკაკიმ ტყუილად დახარჯა და დააფრქვია ცრემლები ჭავჭავაძის საფლავზე, რომ შენ, პოეტო, ვარდებსა და ბულბულებს იმიტომ უმღერდიო, რომ შენი დრო სხვა დრო იყო“². პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ ლექსში აკ. წერეთელს სიტყვა არ დაუძრავს ალ. ჭავჭავაძის ვარდ-ბულბულიანობის შესახებ³. აკაკიმ ალ. ჭავჭავაძის შეფასების დროს ხაზი გაუსვა პოეტის მამულიშვილობას, დაინახა საერთო თავის თავსა და „ტკბილ პოეტს“ შორის ეროვნული გრძნობის გაგებაში, მაგრამ განასხვავა თავის თავი და თავის თანამედროვენი ალ. ჭავჭავაძისაგან ამ გრძნობის გაშლის თვალსაზრისით. პოეტმა ასე მიმართა ალ. ჭავჭავაძეს:

¹ ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 1937 წ., გვ. 81.

² ზ. ჭიჭინაძე—ბესიკა, თ. ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, გვ. 27—28.

³ თუმცა კაბუჯობის წლებში დაწერილ ერთ-ერთ საეურნალო სტატიაში აკაკიმ ალ. ჭავჭავაძე უსაზღოდ მაგალობელი ჩიტების რიცხვს მიაკუთვნა, მაგრამ შემდეგ სრულიად უარპყო ეს თვალსაზრისი.

«ტკბილო პოეტო,
 ნათლისა სვეტო!
 შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული,
 რომ ჩვენი ერი,
 დღეს სხვის ფეხთ ბტვერი
 შენ არ გინახავს ასე ჩაგრული!
 თორემ სხვაგვარად,
 მწარედ და მარად
 ეგ შენი გულიც იწყებდა ძგერას...
 და შენც ჩვენსავით
 სიტყვებით ავით
 გესლით და ნალვლით იწყებდი მღერას»¹.

როგორ უნდა გავიგოთ ეს სტრიქონები? ყოველ შემთხვევაში არა ისე, როგორც იგი ესმის ზ. კიკინაძეს. აკ. წერეთელი ამ შემთხვევაში იმას კი არ აღნიშნავს, თითქოს ალ. ქავკავაძის ეპოქა უზრუნველობით და უდარდებლობით ხასიათდებოდა, ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ რად დასკირდებოდა ალ. ქავკავაძეს წარსულის ქება? აკ. წერეთელი ზემოხსენებულ ლექსში იმ აზრს ატარებს, რომ მისი დრო „ეს არ-სანატრო, უკულმართი დრო“ უფრო თვალბედითი იყო, უფრო „გულის მოსაკლავი“, ვიდრე ის ეპოქა, როდესაც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა ალ. ქავკავაძეს. შეიძლება ამ შემთხვევაში არც აკ. წერეთელს დავეთანხმოთ, მაგრამ მას მაინც ჰქონდა ერთგვარი საფუძველი ზემოხსენებული აზრის გამოსათქმელად. XIX საუკუნის 80-იანი წლები, როდესაც აკაკის ლექსი დაიწერა (1882 წ. 14. VIII), როგორც რუსეთში, ასევე ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში, წარმოადგენდა სუსხიანი რეაქციის მძვინვარების პერიოდს: 1881 წლის 1 მარტს, პეტერბურგში რევოლუციონერების მიერ იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ მასიურად აღიმართნენ სახრჩობელები, ციხის კედლები ველარ იტევდნენ რევოლუციონერ პატიმრებს, პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმის არტახებში სული ხდებოდა მშრომელ მოსახლეობას, თავისუფალი აზრი ცენზურის მარწუხებში უმოწყალოდ მახინჯდებო-

¹ აკ. წერეთელი, ლექსები, ტ. I, 1940 წ., გვ. 310.

და. აკ. წერეთელმა თვითონვე გამოსცადა 80-იანი წლების სუსხი, ამიტომ იგი უფრო ხელშესახები იყო პოეტისათვის, ალ. ქავჭავაძის ეპოქისაგან კი ის მნიშვნელოვანი ისტორიული მანძილით იყო დაშორებული.

ლექსში „ალექსანდრე ქავჭავაძის საფლავზედ“, როგორც მკვლევარი ლ. ასათიანი აღნიშნავს, „ეროვნულ-რევოლუციური იდეურობის თვალსაზრისით არის გააზრებული ამ „ტკბილი პოეტის“ შემოქმედება“¹.

ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში აკ. წერეთელს რომ არ შეემჩნია ეროვნული მოტივის არსებობა, მაშინ იგი არ მიუძღენიდა პოეტს მგზნებარე სტრიქონებს:

„მმღერალო ტკბილო,
მამულის შვილო,
ამაღლებულო სულით ზეცამდე!
იყავ კურთხეულ,
არ-დავიწყებულ
ამიერიდან უკუნისამდე!..“

მიუხედავად იმისა, რომ ზ. ჭიკინაძემ ალ. ქავჭავაძის შემოქმედება სრულ არარაობად მიიჩნია, რომელიც „ვერაფითარს ჰაზრს და მიმართულებას ვერ მისცემს ქართველი ახალგაზრდობის გონებით და ჰაზროვნებით ლტოლვილებების აღორძინებასა“, მან მაინც ვერ შესძლო „ქავჭავაძის მელექსეობის ნიქის“ უარყოფა და თუმცა გაკვირით, მაგრამ მაინც მიუთითა პოეტის შემოქმედებაში მუსიკალური რითმების არსებობაზე და მის ნაწარმოებთა ესთეტიკურ მხარეზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც მან მხოლოდ ცარიელი ესთეტიკა დაინახა, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ ნათელ, სასარგებლო აზრს.

ეს ნიჰილისტური შეხედულებანი ქართულ მწერლობაზე საერთოდ და ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაზე კერძოდ, ზ. ჭიკინაძემ უკიდურესობამდე განავითარა 1888 წელს გამოცემულ ბროშურაში „წერილები ქართულ მწერლობაზე“, რომელიც სანდალას ფსევდონიმით დაიბეჭდა.

¹ ლ. ასათიანი, „უბოვრება აკ. წერეთლისა“, 1940 წ., გვ. 335—336.

XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულში, როდესაც ცოცხლები იყვნენ და შემოქმედებითი ოსტატობის ზენიტში იმყოფებოდნენ ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ., ზ. კიკინაძეს ეყო გამბედაობა განეცხადებინა, რომ „ყველა ჩვენი ძველი მწერლები ერთ უვარგის, უნამუსო და წამხდარ პირებად მიგვაჩნია. მათში ყოველი პატიოსანი და კეთილშობილური გრძნობანი სრულიად დამბობილი იყო“¹. ალ. ქავჭავაძეს „ჩვენის ერის გონებითი განვითარების აღორძინებისათვის ერთი ჩალის ან იოტის ოდენი რამეც არ გაუკეთებია“², ნ. ბარათაშვილი, „როგორც მკვდარი და ცრუ იდეალისტი, ისე დაძრწის თავ გადაგლეჯილი, გულ მწუხარი და თვალ ცრემლიანი თავის ლექსებში“³, გრ. ორბელიანმა „თავის მკვდარის და უსაგნო ლექსების ტიტინით მთელი ქართველობის თავად-აზნაურობა, ბაზაზებ მოქალაქენი და თვით კინტუებიც უკიდურეს გარყვნილებაში ჩააგდო“⁴, გიორგი ერისთავის „პიესების სურათები იქამდის უღირსი, წერილმანია, მურტალი და საზიზღარი, რომ მისი პიესების თამაშობით ის ზნეობითი მხარეები არ გავრცელდა ქართველ ხალხში, როგორც გარყვნილება და ზნეობითი სიწამხდრე“⁵ და ა. შ. ყოველივე ამის შემდეგ ზ. კიკინაძემ მთელი ქართული მწერლობა, კერძოდ „ჩვენი ეამპაპა მწერლები ერთის თქმით და გარდაწყვეტით“ დაჰგმო და მიწასთან გაასწორა. მაგრამ მოწინავე საზოგადოებრივმა აზრმა ზ. კიკინაძის ზემოხსენებული წიგნაკის გამოსვლის შემდეგ დაჰგმო და გაჰკიცხა მისი ავტორი, რაც მკვეთრად აისახა „ივერიის“ ფურცლებზე, განსაკუთრებით კი ილია ქავჭავაძის წერილში: „სანდალას წიგნის გამო“. „ასე გაუპატიურებულნი, ასე შეგინებულნი, ასე უშვერად და ურცხვად ავად ხსენებული ჯერ არავეისგან არ ყოფილან ჩვენნი წინაპარნი, ჩვენი წარსული,

¹ ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტ. IV—V, სანდალა: „წერილები ქართულ მწერლობაზე“, გვ. 20.

² იქვე, გვ. 39.

³ იქვე, გვ. 24.

⁴ იქვე, გვ. 33.

⁵ იქვე, გვ. 16.

ჩვენი „წმიდათა-წმიდა“, — წერდა სანდალას წიგნით აღმ-
ფოთებული ილია. — ამ სახით, შეგვაგინა მთელი ერი, მთელი
ქვეყანა და ნეტავი ერთი იოტის ოდენა მაინც ლოლიკა,
ცოდნა, გაგება ჰქონდეს ან მისი, რასაც ლანძღავს და ათ-
რევს, ან მისი, რასაც უწმინდურის ხელით საქებრად ეპოტი-
ნება. მთელი წიგნი ერთი თავმოდგმული ქუქყია, ერთი რალაც
მურტალი ტალახია, ყოვლად უმეცრების, ყოვლად უვიცობის
და უქუთობის ფურთხით ურცხვად აზელილი“¹. ამ შემთხვე-
ვაში ილ. ჭავჭავაძე მართალი იყო.

1910 წელს ზ. ქიქინაძემ ჟურნალში „თეატრი და ცხოვ-
რება“ მოათავსა რამდენიმე წერილი სათაურით: „დრამატიუ-
ლი მოღვაწეობის ასპარეზზე“. ერთ-ერთ წერილში იგი აღ-
ქვეყნაძეს შეეხო. აქ უკვე აღარ ისმის ის მკაცრი, მიწასთან
გამანსწორებელი ტონი, რაც მისი წინა წერილებისათვის იყო
დამახასიათებელი. წერილში აღნიშნულია, რომ „აღ. ჭავჭა-
ვაძე თავის განათლების გარეშეც ბუნებით ნიქიერი იყო,
კარგი მგოსანი და მცოდნე მთარგმნელი... კარგი მცოდნე
იყო დრამატიულის მწერლობისა, შეგნებული ჰქონდა თეატ-
რის მნიშვნელობა“-ო² და სხვ.

ზემოხსენებული წერილი ბარტო ამ მხრივ არ არის საყუ-
რადღებო; იგი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ავტორი
ასახელებს სხვადასხვა დრამატულ ნაწარმოებებს, რომელ-
თა თარგმანიც აღ. ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ეს არის „ცინა“,
„მუჰამედი“ და „ერაკლე“. ზ. ქიქინაძე ამ სამ ნაწარმოებთა-
გან განსაკუთრებულ ყურადღებას „მუჰამედზე“ ამახვილებს,
რადგან „მუჰამედის“ თარგმანი გვაძლევს უფლებას ვთქვათ,
რომ აღ. ჭავჭავაძე თავის დროის კვალად ღრმად განათლე-
ბული და სრულიად მოქალაქურის მიმართულების კაცი ყო-
ფილა, რადგან „მუჰამედ“-ში მაჰმადი გამოყვანილია, როგორც
ხალხის ოსტატურად მომტყუებელი, რომელსაც ხელში უბრა-
ლო ხალხის მოსატყუებელი კვერთხი უკავია, მის საშუალებით

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. II, 1941 წ., გვ. 499.

² „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 14, გვ. 12.

უბრალო ხალხს სიბრიყვისაკენ ამგზავრებს და ფანატიზმს უნერგავს¹.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი ნაწარმოების თარგმნით ძნელია მწერლის შემოქმედებაში „მოქალაქურის მიმართულე-ბის“ დადგენა ან მისი უარყოფა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ეს საკითხი არ გვაინტერესებს. უფრო საინტერესოა გაირკვეს: სწორია თუ არა ზ. კიკინაძე, როდესაც „ცინა“, „მუჰამედი“ და „ერაკლე“ ალ. ჭავჭავაძის თარგმანებად მიაჩნია.

რომ პიერ კორნელის ტრაგედია „სინნა“ უდავოდ ალ. ჭავ-ჭავაძეს უთარგმნია, და ისიც ფრანგული ენიდან, ეს არავი-თარ იქვს არ იწვევს, ხელნაწერი № 1409-S ამ დებულების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს.

რაც შეეხება „ერაკლეს“ (ქართულ თარგმანს), მას საფუძე-ლად უდევს პიერ კორნელის ისტორიული ტრაგედია: „ჰერაკ-ლე, იმპერატორი აღმოსავლეთისა“ (Héraclius, empereur d'o-rient). ვის უნდა ეკუთვნოდეს „ჰერაკლეს“ ქართული თარგ-მანი? დოც. ტრ. რუხაძეს ეჭვი ეპარება, რომ იგი ალ. ჭავ-ჭავაძეს ეთარგმნოს. მკვლევარის აზრით, პოეტს „ხელში უქი-რავს სხვის მიერ თარგმნილი „პადსტროჩნიკი“ და ასწორებს მას“².

მართლაც, ის სარედაქციო ხასიათის სამუშაო, რომელიც ალ. ჭავჭავაძეს ჩაუტარებია ტექსტზე, აშკარად მიუთითებს, რომ პოეტს ხელნაწერი (S-2480) საგულდაგულოდ უსწორებია, მაგრამ ასევე საგულდაგულოდა აქვს მას ნასწორები „სინნას“ ხელნაწერიც, რომლის თარგმანიც მას ეკუთვნის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ჰერაკლეს“ თარგმანი ალ. ჭავჭავა-ძეს უნდა ეკუთვნოდეს შემდეგ მოსაზრებათა გამო: ალ. ჭავ-ჭავაძე იცნობდა პიერ კორნელის შემოქმედებას და მას უკვე ჰქონდა ნათარგმნი „სინნა“; გარდა ამისა საფიქრებელია, რომ ალ. ჭავჭავაძე არავითარ შემთხვევაში უყურადღებოდ არ დასტოვებდა ისტორიული ხასიათის ტრაგედია „ჰერაკ-ლეს“, რადგან შინაარსობლივ-თემატიკური თვალსაზრისით,

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 14, გვ. 12.

² ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 286.

ეს ნაწარმოები ბევრის მთქმელი იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მკითხველისათვის. ვფიქრობთ, საეჭვოა ის მოსაზრება, რომ გახურებული მთარგმნელობითი მუშაობის პერიოდში ალ. ჭავჭავაძე სხვის მიერ ნათარგმნი „პალსტროჩნიკის“ სწორებას შედგომოდეს; თუნდ ასეც რომ ყოფილიყო, ალ. ჭავჭავაძის მიერ „პერაკლეს“ ნასწორები ტექსტი „პალსტროჩნიკად“ ვერ ჩაითვლება, ისე როგორც „პალსტროჩნიკად“ ვერ ზივიჩნევთ ალ. ჭავჭავაძის მიერ ნასწორებ „სინნას“ ხელნაწერს.

რაც შეეხება ვოლტერის ტრაგედიას „ფანტაზმა ანუ მაჰმად წინასწარმეტყველი“, ზ. ჭიჭინაძე ამ ნაწარმოების მთარგმნელადაც ალ. ჭავჭავაძეს მიიჩნევს, ხოლო დოც. ტრ. რუხაძე—ვინმე ზუბალაშვილს, რომელსაც ვოლტერის ეს ნაწარმოები პროზად უთარგმნია პავლე პოტიომკინის რუსული თარგმანიდან¹. ასეთი თარგმანი მართლაც არსებობს, მაგრამ ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ალ. ჭავჭავაძესაც არ ეთარგმნოს იგი. ამ მხრივ ჯერ ისევ ძიებაა საჭირო.

* * *

ინტერესს მოკლებული არ არის იონა მეუნარგიას ნარკვევი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, რომელიც მიზნად ისახავს პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას.

ნარკვევი ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ავტორი გადმოგვცემს პოეტის ბიოგრაფიულ ცნობებს, რამდენიმე მნიშვნელოვან შტრიხს ალ. ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობიდან, ხოლო მეორე ნაწილში მიზნად ისახავს გაარჩიოს პოეტის შემოქმედება.

სამწუხაროდ, ნარკვევი დამთავრებული არ არის. მასში არ არის წარმოდგენილი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების სრული მიმოხილვა, თუნდაც იმ კრებულის მიხედვით, „რომელშიაც ოთხმოცდათერთამეტი ლექსია დაბეჭდილი“. ი. მეუნარგია, ძირითადად, ყურადღებას ალ. ჭავჭავაძის შემოქმედე-

¹ ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გვ. 283.

ბის ენობრივ მხარეზე ამახვილებს, ხოლო რაც შეეხება იდეურ შინაარსობლივ მხარეს, ამ შემთხვევაში იგი ზოგადი გამონათქვამებით კმაყოფილდება. სავარაუდოა, რომ ი. მეუნარგია ალბათ სპეციალურად ფიქრობდა საკითხის ამ მხარეზე ყურადღების გამახვილებას, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მან ნარკვევის დამთავრება ვერ მოახერხა.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებისა, ი. მეუნარგიას ნარკვევი საყურადღებო ნაშრომია ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის საერთოდ და ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესასწავლად, კერძოდ.

ი. მეუნარგიას მართებული შენიშვნით, „ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთი ის შესანიშნავი კაცი იყო, რომლის ხსონა ჩვენს მწერლობას ესაპიროება, მწერლობას მარტო კი არა, ცოტა ჩვენს თანამედროვე ისტორიასაც. მისი ხანგრძლივი სიცოცხლე ნიმუშია, რომლითაც შეიძლება ჩვენს შემდეგ მომავალ თაობათა წარმოიდგინონ, თუ რა იყო მისი დროება“¹.

ი. მეუნარგია გრძნობს ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის უდიდეს მნიშვნელობას ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის, მაგრამ გრძნობს იმ უხერხულობასაც, რომელიც გამოწვეულია მწერლის დასახასიათებლად საკირო მასალების სიმცირით. უსაფუძვლო არ იყო ი. მეუნარგიას ჩივილი 80-იანი წლების მიწურულში: „ძნელია ლაპარაკი იმ კაცზე, რომელზედაც ნამდვილი ცნობა არა გაქვს. ამ შემთხვევაში ანაკლებ ამ კაცს მის ღირსებას, ან ისეთ ღირსებას აწერ, რომელიც მას არ ეკუთვნის. ალექსანდრე ჭავჭავაძეზე საბოლოო აზრის შედგენა ლიტერატურაში, სანამ მისი ნაწერი ყველა არ დაბეჭდილა და მკითხველ საზოგადოებას არ გაუცვნია, უცნობ კაცზე ლაპარაკსა ჰგავს“². ამ შემთხვევაში ი. მეუნარგია ძირითადად მართალი იყო. სწორედ ეს გარემოება იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ი. მეუნარგიამ ვერ მოახერხა.

¹ ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1, 1941 წ., გვ. 17.

² იქვე, გვ. 26

თანმიმდევრული ყოფილიყო თავის ნარკვევში და თავიდან აეცილებინა ის წინააღმდეგობანი, რაც შეიმჩნევა ავტორის მიერ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასების დროს.

ი. მეუნარგია მართებულად არ იზიარებს იმ პერიოდში არსებულ შეხედულებას, თითქოს „ალექსანდრე ჭავჭავაძის-თანა პოეტი ამ საუკუნეში არ ყოფილიყო“, რომ „საქართველოში ერთი რუსთაველია და მეორე ალექსანდრე ჭავჭავაძეო“. იგი „სასტიკ კრიტიკულ მოთხოვნილებებს უყენებს მწერალს, იფიწყებს „ყოველგვარ“ ადგილობრივ გარემოებას“, რამაც წარმოქმნა პოეტის ნაწარმოებნი, რომელთა გათვალისწინებითაც შეიძლება შემოქმედს რაიმე შეღავათი მიეცეს, და საჭიროდ თვლის ყველა ნაწარმოების განხილვასა და დაფასებას, როგორც პოეტური ქმნილებისას.

ამ თვალსაზრისით კი „ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები ჩვენი დროის საუკეთესო პოეტთა ლექსებზე მალლა ვერ დადგება“¹.

რაში გამოიხატება, ი. მეუნარგიას აზრით, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების მთავარი ნაკლი? „მისი თხზულების პირველ ნაწილში, რომელშიც ოთხმოცდათვრამეტი ლექსია დაბეჭდილი, ჩვენ ვერც კი მიგვიგნია პოეტის დედა გრძნობისათვის. ამ ლექსებში არც ბარათაშვილის კაეშანია, არც ორბელიანის ცაღ-აღმაფრენი ენა და გრძნობა და წმინდა, ნამდვილი ქართული ხმა, არც აკაკის მამულის სიყვარული, არც ილიას ქნარი“².

შეიძლება თუ არა ი. მეუნარგიას ამ დებულების გაზიარება? ცხადია, თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკა მას მთლიანად ვერ გაიზიარებს. მართალია, ალ. ჭავჭავაძე ერთგვარად ჩამორჩა მის თანამედროვე მწერლებს—ნ. ბარათაშვილსა და გრ. ორბელიანს, რომ აღარაფერი ვთქვათ ილიასა და აკაკიზე, ჩამორჩა მათ როგორც ლექსის მხატვრული

¹ ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, 1941 წ., გვ. 27. ი. მეუნარგიას მხედველობაში აქვს 1881 წელს გამოცემულ კრებულში შესული ალ. ჭავჭავაძის ლექსები.

² ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, 1941 წ., გვ. 27.

მხარის, ასევე, ნაწილობრივ, თემების გაგება-გაშუქების თვალსაზრისითაც, მაგრამ ის მნიშვნელოვანი, რაც ალ. ქავ-ქავაძის შემოქმედებაში ჩანასახ ფორმაში იყო მოცემული, ან ნაკლებად დამუშავებულ მხატვრულ სახეს წარმოადგენდა, განავითარეს და უფრო მაღალ საფეხურზედ აიყვანეს როგორც ალ. ქავქავაძის თანამედროვე, ასევე მისმა მომდევნო პოეტებმა. მაგალითად, მართალია, სევდა და კაეშანი არ არის დამახასიათებელი ალ. ქავქავაძისათვის, ისე როგორც ეს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში შეიმჩნევა, მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ მკიდრო ურთიერთობა ალ. ქავქავაძისა და ნ. ბარათაშვილის სევდასა და კაეშანს შორის, მით უმეტეს, რომ ამ სევდა-კაეშნისათვის მათ ერთნაირი საფუძველი ჰქონდათ. მართალია, ბარათაშვილის სევდა-კაეშანი უფრო ღრმა ფილოსოფიური ხასიათის მატარებელია, მაგრამ მოვლენათა ფილოსოფიურ გააზრებას არც ალ. ქავქავაძეა მოკლებული. ნიმუშისათვის საკმარისია გავიხსენოთ მისი „გოგჩა“, „სხვა და სხვისა დროისათვის კაცისა“ და სხვ.

ასევე მკიდრო ურთიერთობა შეინიშნება ალ. ქავქავაძისა და ნ. ბარათაშვილის პოეზიის მებრძოლ მოტივებს შორის. პესიმიზმის რკალში მოქცეული პოეტები ახერხებენ მისი საზღვრების გადალახვას და მკვეთრად ამჟღავნებენ მებრძოლ სულისკვეთებას. მათთვის უცხოა შიში სიკვდილის წინაშე, უცხოა „შავი ბედისადმი“ მორჩილების გრძნობა და აღქურვილნი უკეთესი მომავლის რწმენით, თავდავიწყებით მისწრაფიან მისკენ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ალ. ქავქავაძის „კვლავ მარად ამ ჩემ სურვილსა“, „ვაჰ, დრონი, დრონი“, „რაა სიკვდილი“ და სხვ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ნ. ბარათაშვილის მებრძოლი სულისკვეთება და სწრაფვა უკეთესი მომავლისაკენ უფრო მკვეთრი და ძლიერია. ნ. ბარათაშვილი, სოფლის ზრუნვით გატაცებული, ბოროტ სულთან შეუპოვარ გმირულ ბრძოლაში ხედავს თავისი ეპოქის მოქალაქის უმაღლეს იდეალს. მისი „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სულო ბოროტო“ და განსაკუთრებით „მერანი“ ამ დებულების სამაგალითო ილუსტრაციაა. „ყოველი თაობა „მერანში“ ჰპოვებს

დიდ სულიერ ძალას და უმაღლეს, უკეთილშობილეს, ნამდვი-
ლად საკაცობრიო იდეალებისადმი ჭეშმარიტად უანგარო
სამსახურის მსოფლიო სიმღერას!¹

ი. მეუნარგია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ვერ ხედავს
ვერც აკაკისებურ მამულის სიყვარულს. მართალია, სამშობ-
ლოს სიყვარულის მოტივი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში
ისე ძლიერად არ არის წარმოდგენილი, როგორც ეს დამახა-
სიათებელი იყო აკ. წერეთლის ლირიკისათვის, მაგრამ ამ
მოტივის მაინც საკმაოდ დიდი ადგილი უკავია მის პოეზიაში.
ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ლექსე-
ბი: „მსურდა ოხერა“, „მწამებ ხსოვნისა“, „კვლავ მარად ამ
ჩემ სურვილსა“, „ოჰ, წარმავალნო გზასა ქალნო“, „პყრობი-
ლისაგან“, „მიველ წალკოტს“ და სხვ. ამ ნაწარმოებებიდან
შკაფიოდ იგრძნობა ერთის მხრივ ზიზღი ცარიზმის კოლო-
ნიური პოლიტიკისადმი და მტკიცე პროტესტი მეფის მოხე-
ლეთა აღვირახსნილობის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ
გულწრფელი სიყვარული სამშობლოსი, რომელიც პოეტს
უფლებბააყრილი პატიმრის სახით წარმოუდგებოდა:

„მას ვკვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული
მისთვის გლახ განწირული;
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული.
მარად მეახლვის წყლული“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამშობლოს პატიმრის
მდგომარეობაში წარმოდგენა, როგორც გარკვეული პოეტუ-
რი სახე, XIX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის, პირვე-
ლად ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გვხვდება, რომელიც
შემდგომ განვითარებას პოულობს მომდევნო ხანის პოეტთა
და განსაკუთრებით აკ. წერეთლის შემოქმედებაში.

სწორედ სამშობლოს სიყვარულის მოტივის საფუძველზე
მონახა შემხვედრი ხაზები აკ. წერეთელმა ალ. ჭავჭავაძის შე-
მოქმედებასთან, როდესაც თავის ლექსში ხაზი გაუსვა მის
მამულიშვილობას და აღნიშნა:

¹ გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, გვ. 74.

„თვალცრემლიანსა,
გულსვედიანსა
ენა მებმება, ვერრის ვარ მთქმელი,
და ან კი რა ვსთქვა?
გული ზე მადევს ქვა
მეცა შენსავით, გულის დამწველი!“

გარდა ამისა, ი. მეუნარგია შეეხო ალ. ქავკავაძის შემოქმედების ენასაც და ამ საკითხის გადაწყვეტის დროს განავითარა ერთი მეორის სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება.

ი. მეუნარგიას გაგებით, ალ. ქავკავაძის შემოქმედებას არ აქვს ის „ცად-აღმაფრენი ენა“ და „ნამდვილი ქართული ხმა“, რაც გრ. ორბელიანის პოეზიისათვის იყო დამახასიათებელი. მართალია, ალ. ქავკავაძემ „ლექსების ზომაც იცოდა, იცოდა რა გვარად უნდოდა კაცის გულთან მუსაიფი და არ უნდა გასკირებოდა ეს ლაპარაკი, მაგრამ, ჩვენის აზრით, იმან თავისი ცოდნა არ მოიხმარა საქმეზე და ისე ილაპარაკა, რომ გული უგრძნობი დარჩა“¹. მისი ენა გადატვირთულია „მაღალი ფრაზებით“, აკლია უბრალოება და სიტყბოება, „თითქო ვინმე ოთხმოცი წლის სენატორის სიტყვა გესმის; კალამი ყოველთვის შეკავებულია და განცხრომით სავესე, თითქო მთელი თავის სიცოცხლე პოეტს წითელ მაუდიტ გადაფარებულ მაგიდაზე ეწეროს“².

ცდილობს რა ერთგვარი ახსნა მოუძებნოს ყოველივე ამას, ი. მეუნარგია წერს: „ალექსანდრე ქავკავაძე ისეთ დროში ცხოვრობდა, რომელშიაც სხვანაირად წერა შეუძლებელი იყო.

პოლიტიკურად და სამოქალაქოდ დასუსტებულ საქართველოში ალექსანდრეს ყმაწვილობის დროს სუფევდა ანტონ კათალიკოსის ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური სწავლა და კაცთაგან გაუგონარი და მიუხეხებელი ქართული ენა. „ვეფხისტყაოსანი“ განიდევნა ოჯახებიდან; ქართულ გრამატიკას ლათინური სახე მიეცა და გამოგონილი იქნა მაღალი

¹ ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, გვ. 27.

² იქვე, გვ. 28.

სამწერლო ენა, რომელიც ხალხისათვის მიუწვდომელი შეიქნა. ამგვარ მდგომარეობას კიდევ ერთი ახალი, რუსული ენა მიემატა და მწერლობა სულ აირდაირია... ალექსანდრესაც უნდოდა თუ არ უნდოდა, ამგვარი „მაღალი ფრაზებით“ უნდა ელაპარაკნა ამ საუკუნის დასაწყისში“¹.

ალ. ჭავჭავაძის პოეტურ ენას მართლაც მნიშვნელოვნად ამჩნევია ანტონ კათალიკოსის „მაღალი სტილის“ გავლენა, არქაული პოეტური ლექსიკის გამოყენება (ბარბაროზმები, განყენებული ეპითეტები, დრომოკმული მეტაფორები და ალევორიები, არქაული პრევერბები და სხვ.), რაც დამახასიათებელი იყო „მაღალი სტილის“ წარმომადგენელ მწერალთათვის, ალ. ჭავჭავაძისათვის ეპიზოდურ მოვლენას არ წარმოადგენს, არის შემთხვევები, როდესაც გვხვდება სპარსული სიტყვები და გამოთქმებიც, ეს კი მეტად ამძიმებს სალექსო სტრიქონებს და ხშირ შემთხვევაში აზრსაც აბუნდოვანებს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ილ. ჭავჭავაძეს, როდესაც ეხებოდა რა გრ. ორბელიანის ლვაწლს ქართული ენის განვითარების საქმეში, აღნიშნავდა: გრ. ორბელიანმა „სრულად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიური სახელებით აკრელება სიტყვიერებისა, რომელშიაც, ცოტა არ იყოს, წილი უდევს თ. ალექ. ჭავჭავაძეს“-ო². ასე რომ, ამ მხრივ ი. მეუნარგია ნაწილობრივ მართალი იყო, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი ცდებოდა, როდესაც ალ. ჭავჭავაძის ენის სიმძიმეს მხოლოდ იმ გარემოებით ხსნიდა, რომ „ალექსანდრეს ყმაწვილობის დროს სუფევდა ანტონ კათალიკოსის... კაცთაგან გაუგონარი და მიუგნებელი ქართული ენა“ და პოეტიც იძულებული იყო ამ ენით ეწერა. საქმე ის არის, რომ ე. წ. „მაღალი სტილის“ ენა სუფევდა არა მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის „ყმაწვილობის დროს“, არამედ იგი მოქალაქობრივ უფლებას უნარჩუნებდა მას შემდგეც, როდესაც პოეტი უკვე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ამ „მაღალი სტილის“ ენის პარალელურად მწერლობაში გზას იკაფავდა ცოცხალი

¹ ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I. 1941 წ., გვ. 27—28.

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ., გვ. 81.

ხალხური სალაპარაკო ენა. თვით ალ. ქავჭავაძის თანამედროვე უმცროსი თაობა—გრ. ორბელიანი და განსაკუთრებით ნ. ბარათაშვილი თითქმის სრულიად განთავისუფლდნენ „მაღალი სტილის“ შემბოჰველი გავლენისაგან. ამ მხრივ ალ. ქავჭავაძე მნიშვნელოვნად ჩამორჩა მათ. მას ჰქონდა საშუალება უფრო აქტიური ნაბიჯი გადაედგა ქართული სალიტერატურო ენის გასადავებისათვის, „მაგრამ ადამიანები, ცალკეული სოციალური ჯგუფები, კლასები სრულიადაც არ არიან განურჩევლნი ენისადმი. ისინი ცდილობენ გამოიყენონ ენა თავისი ინტერესებისათვის, თავს მოახვიონ მას თავისი განსაკუთრებული ლექსიკონი, თავისი განსაკუთრებული გამოთქმები“¹ და სწორედ გაბატონებული, შეძლებული თავდაზნაურობის ზედაფენების იდეალებმა, მათმა მისწრაფებამ ანტონ კათალიკოსის ენისადმი, პოეტი ერთგვარად შეზღუდეს.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში არ შეინიშნებოდეს სალიტერატურო ენის გასადავების საგრძნობი ტენდენცია.

ალ. ქავჭავაძეს აქვს ნაწარმოებნი, რომელნიც, მართალია, არ არიან თავისუფალნი არქაიზმებისაგან, მაგრამ მაინც ნათლად მიუთითებენ ენობრივი სიახლისაკენ პოეტის მისწრაფებაზე. არიან ისეთი ნაწარმოებნიც, რომლებშიც პოეტი სუფთა ხალხური სალაპარაკო ენით გესაუბრებათ („მუხამბაზი ლათაიური“, „გუთნის დედა“, „ჟამნი რბიანი“, „რაა სიკვდილი“ და სხვ.).

აღბათ ეს და სხვა მათი მსგავსი ნაწარმოებნი ჰქონდა მხედველობაში ი. მეუნარგიას, როდესაც იმავე წერილში ზემოთ წამოყენებული შეხედულების სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებდა: „ალექსანდრე ქავჭავაძე დიდად შესანიშნავია როგორც ხელოვანი. ისეთი სიმდიდრე ლექსებისა, ისეთი ძლიერი გამოთქმა, ისეთი მოღბილება ქართული ენისა, როგორც აქვს ქავჭავაძეს, არც ერთ ჩვენს თანამედროვე

¹ ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1954 წ. 83-11.

პოეტს არა აქვს. ენაზე ხომ ლაპარაკიც არ არის საჭირო. ინაზე უკეთესი მოქართულე არ უნახავს ჩვენს საუკუნეს“¹.

ფეიქრობთ, მტკიცებას არ საჭიროებს, რომ ი. მეუნარგიას ეს უკანასკნელი შეხედულებაც ისევე გადაქარბებულა, როგორც მისი საპირისპირო მოსაზრება, განვითარებული ამავე წერილში.

* * *

ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ილ ია ქავქავაძის „წერილებს მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“. გარდა იმისა, რომ ეს წერილები წარმოადგენენ მნიშვნელოვან საფეხურს ქართული კრიტიკული აზროვნების თვალსაზრისით, ამავე დროს საშუალებას გვაძლევენ გავარკვიოთ ი. ქავქავაძის ესთეტიკურ-ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი. ამ წერილების მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ გვაწვდიან ფრიად საყურადღებო ცნობებსა და დებულებებს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების მაგისტრალური გზების შესახებ².

ი. ქავქავაძის „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“ ეხებიან ალ. ქავქავაძის შემოქმედებასაც. მაგრამ ჩვენ აქ არა გვაქვს პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრული მიმოხილვა. მართალია, ავტორი ცდილობს უჩვენოს მკითხველს „უმთავრესი ძარღვი ალ. ქავქავაძის პოეზიისა“, გაარკვიოს, თუ რა როლი ითამაშა ალ. ქავქავაძემ ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, მაგრამ ყოველივე ის, რაც წერილშია წარმოდგენილი, ვერ ამოწურავს პოეტის მიერ განვლილი ლიტერატურული ცხოვრების სახელოვან გზას.

ვიდრე უშუალოდ ალ. ქავქავაძის შემოქმედებას შეეხებოდეს, ილია მოკლედ, მაგრამ საკმაო სიმკვეთრით იძლევა

¹ ი. მეუნარგია, ქართული მწერლები, I, 1941 წ., გვ. 27.

² სამწუხაროდ, ილიას ეს „წერილები“ დამთავრებული არ არის.

XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართული ლიტერატურის ზოგად დახასიათებას: „მწერლობა ჩვენი,—წერს იგი,—ოცდაათიან წლებში ხელახლად ფეხადგმული, პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით მკვლევარი. შინაურს ვამბობ, რადგანაც შინაურობაში იბადებოდა და ისევ შინაურობის მოკლე წრეში ჰტრიალებდა, იმიტომ, რომ მაშინ არც ქურნალ-გაზეთობა იყო, არც ჩვეულება ცალკე წიგნად ბეჭდვისა“¹.

ი. ქავკავაძემ სწორად შენიშნა მწერლობის მოქმედების არის შეზღუდულობა ზემოხსენებულ პერიოდში. მართლაც, ეს შეზღუდულობა დამახასიათებელია ქართული ლიტერატურისათვის არა მხოლოდ 30-იან წლებში, არამედ მეცხრამეტე საუკუნის მთელი პირველი ნახევრისათვის. თავადაზნაურულ სალონებში ჩაკეტილი მწერლობა ვერ სცილდებოდა მის ზღუდეებს, რაც ერთგვარ უარყოფით გავლენას ახდენდა მის განვითარებაზე, „არ არსებობდა მწერალსა და ფართო მკითხველ წრეს შორის ურთიერთობა. პოეტი გავლენას მკითხველთა მხოლოდ მცირე რიცხვზე ახდენდა, აგრეთვე პირუკულმა, პოეტზე გავლენას მეტად ვიწრო, ნხოლოდ ნახლობელთა წრე ახდენდა... ეს-კი ჰფარგლავდა როგორც პოეტის გავლენას მკითხველზე, ისე პოეტის შემოქმედებით ინტელუციას, შემოქმედების დიაპაზონს“ (მ. ზანდუკელი). 30-იანი წლების სწორედ ეს მდგომარეობა ჰქონდა მხედველობაში ილია ქავკავაძეს, როდესაც შენიშნავდა, რომ „საყოველთაო საგანი ახლად ახილებული მწერლობის თვალისათვის მიუწვდენელი იყო, თუნდ რომ თვით ცხოვრებაში ყოფილიყო მაგისტანა საგანი“². ილიას აზრით, ეს გარემოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანი იყო, რომელმაც განაპირობა ქართული მწერლობის განვითარების თავისებური ხასიათი, მაგრამ ილია მიუთითებს სხვა მიზეზებზეც: საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ-

¹ ი. ქავკავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ., გვ. 79.

² იქვე.

მა თავადაზნაურობამ დაჰკარგა პრივილეგიური როლი ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში; კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ფეოდალური ბუდეების თანდათანობით რღვევა და „რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდან გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-თავილა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი თავის საკუთარ გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ქუა-გონების ხედვისა“¹. ამ გარემოებამ ქართული მწერლობა თავისებურ ფარგლებში მოაქცია, „იმ ფარგალში, რომელსაც „ლირიკას“ ეძახიან და რომელიც უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ქირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სელასა და წარმატებას“².

მართლაც, XIX საუკუნის პირველი ათეული წლების ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ბევრი რამ არის ლირიკული, რაც უშუალოდ პოეტების შინაგან, სუბიექტურ განცდებსა და განწყობილებაზე მიუთითებს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა მის პარალელურად არ დაგვენახა ის სურვილები და მისწრაფებანი, ის განცდები და განწყობილებანი, რომლებშიაც მკვეთრად იხატებოდა ნაციონალური სულისკვეთება, მთელი ქართველი ერის ფიქრი და იმედი. მიუხედავად თავისი შეზღუდულობისა, XIX საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული მწერლობა სცილდებოდა წოდებრივ ჩარჩოებს და გამოხატავდა არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების ზრდას, არამედ ზოგად-საკაცობრიო პროგრესულ იდეებსაც. ამიტომ არ შეიძლება მთლიანად გავიზიაროთ ი. ჭავჭავაძის მოსაზრება, თითქოს „მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების თითქმის მეორე ნახევრამდე“ ქართველმა მწერლებმა ვერ იჩინეს თავი „მოსაქმე ცხოვრებაში“ და მათთვის მწერლობა უფრო „შესაქცევარი“ საქმე იყო „ვიდრე გარჯით მკვლევარი“. არ შეიძლება დროის მოკვლისა და შექცევის მიზნით

¹ ი. ჭავჭავაძე. „თხზულებანი“ ტ. II, 1941 წ. გვ. 79.

² იქვე.

დაწერილად ჩაითვალოს ალ. ჭავჭავაძის „ვაჰ, დრონი, დრონი“, „კვლავ მარად ამ ჩემს სურვილსა“, „უწყალო სენმან“, „ოჰ, ვით გვემტყუენა“, „ისმინეთ მსმენო“ და სხვ. გრ. ორბელიანის „ლეკი, ოსმალი და სპარსი“, „მისი სახელი კიცხვითა“, „ჰე, ივერიაჲ!“ „იარალის“, „ნალივიაკოს აღსარების“ ვადმოქართულება და სხვ. ყველა ეს ნაწარმოებნი XIX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრამდეა შექმნილი. მათში ძლიერად იგრძნობა არა მხოლოდ პოეტის სუბიექტური განწყობილებანი, არამედ მთელი ნაციონალური სულისკვეთება. ამ ნაწარმოებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართველი ხალხის თვითშეგნების გამოფხიზლების საქმეში. მათ შორის ბევრი ლექსი პროკლამაციური ხასიათის მატარებელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რითაც ხელი ეწყობოდა „მოსაქმე ცხოვრების“ წინსვლასა და განვითარებას. მართალია, 40-იან, ხოლო შემდეგ 60-იან წლებთან შედარებით, ეს მკირე მასშტაბი იყო, მაგრამ მაინც შეინიშნებოდა XIX საუკუნის 30-იან წლებში.

ი. ჭავჭავაძის აზრით, „უმთავრესი ძარღვი“ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებისა ეს არის „სიყვარულისა და ტრფიალების პირი და ლხინი, და მაშასადამე, სიყვარულისა და ტრფიალების პოეზია“¹. როგორც ვხედავთ, ვერც ილია ჭავჭავაძემ შესძლო გასცილებოდა ტრადიციულ შეხედულებას და მანაც ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების მთავარ მოტივად სიყვარული და ტრფიალება აღიარა. მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძემ მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯი წადგა წინ მასზე ადრე გამოსულ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შემფასებელთან შედარებით პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის გაგება-შეფასების საქმეში. ი. ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში შენიშნა „მოქალაქური გულის-ტკივილი“. ილიამ დაინახა, რომ „ამ ტკბილს მთქმელსაც საყოველთაო უნუგეშყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა ერთგან თავისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთ-წოდებული „მოქალაქური გულის-ტკივილი“ მის გამო,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ., გვ. 82.

რასაც გულში იმაღავდა მაშინდელი ცხოვრება“¹. ი. ჯავახიშვილი მხედველობაში აქვს პოეტის ლექსი „ვაჰ, სოფელსა ამასა“. მან უდავოდ სწორად შენიშნა ლექსში გატარებული მებრძოლი სულისკვეთება როგორც ნაციონალური, ასევე სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, რაც „ნათელი სურათი იყო მაშინდელი ყოფა-ცხოვრებისა“. აქვე ილიამ მიუთითა იმ მგზნებარე ოპტიმიზმზე, უკეთესი მერმისის ღრმა რწმენაზე, რაც მკაფიოდ გამოსკვივის პოეტის შემოქმედებიდან. რა თქმა უნდა, ი. ჯავახიშვილმა ამ შემთხვევაში უდავოდ მართალი იყო, მაგრამ იგი ცდებოდა, როდესაც „ცალკეულ მაგალითებს მამულის-შვილური გულისტკივილისას“ ალ. ჯავახიშვილის მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოებში ხედავდა და არ მიიჩნევდა მას პოეტის შემოქმედების „უმთავრეს ძარღვად“. XIX საუკუნეში „მამულის-შვილურს გულისტკივილს“ მტკიცე საფუძველი სწორედ ალ. ჯავახიშვილის პოეზიაში ჩაეყარა და მან განსაზღვრა პოეტის შემოქმედების მაგისტრალური ხაზი, ხოლო მეორეს მხრივ განაპირობა მისი თანამედროვე და მომდევნო მწერალთა შემოქმედების განვითარება.

* * *

1898 წელს ქურნალ „მოამბის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნდა კიტა აბაშიძის ვრცელი კრიტიკული ეტიუდი, რომელიც ალ. ჯავახიშვილის შემოქმედებას შეეხებოდა. ეს ეტიუდი შემდეგ მან ოდნავ გაერკობილი² სახით შეიტანა თავისი „ეტიუდების“ პირველ ტომში XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ.

¹ ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ., გვ. 79—80.

² კ. აბაშიძემ „ეტიუდებში“ ალ. ჯავახიშვილის შემოქმედების განხილვას ხუთი თავი მიუძღვნა, „მოამბეში“ კი იგივე საკითხი ოთხ თავად განიხილა. „ეტიუდებსა“ და „მოამბეში“ გამოქვეყნებულ ტექსტებს შორის ძირითადი სხვაობა ის არის, რომ „ეტიუდებში“ დაბეჭდილი წერილის IV თავში წარმოებული მსჯელობა „მოამბის“ ტექსტში არ გვხვდება. იგი შემდეგაა დამატებული.

იდეალისტურმა მსოფლმხედველობამ და ბრიუნეტიერის ლიტერატურის კვლევის მცდარმა ევოლუციურმა მეთოდმა კ. აბაშიძეს საშუალება არ მისცა მოეხდინა ალ. ქავჭავაძის შემოქმედების სწორი შეფასება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც შესძლო რამდენიმე საყურადღებო დებულების განვითარება.

კ. აბაშიძე წინააღმდეგია იმ კრიტიკოსებისა, რომელთა „ერთი ნაწილი... მეტად სასტიკად ეპყრობოდა თ-დ ალ. ქავ-ქავაძეს, ვარდ-ბულბულის პოეტს ეძახოდა, უაზროსა და უში-ნაარსო ლექსების მომღერლად მიაჩნდა“¹. კრიტიკოსთა ამ უდავოდ მცდარ მოსაზრებას კ. აბაშიძე უპირისპირებს ი. ქავჭავაძისა და აკ. წერეთლის შეხედულებას ალ. ქავჭავაძეზე, რომელნიც „ამ პოეტს სთვლიდნენ „ტკბილ პოეტად, ნათლის სვეტად, ტკბილ მღერალად, ამალღებულად სულით ზეცამდე“, რომლის ლექსი „შეპყეფს სატრფოს გულ-საკლავად, ტრფობის ისრით განაწონი, ხან დაჰყურებს ღრუბლიანი დაფიქრებით გოგჩის ტბასა და ემღურის მწვავის მოთქმით დაუდგრომელ ღროთ ბრუნვასა“².

საფიქრებელი იყო, რომ ი. ქავჭავაძისა და აკ. წერეთლის ამ მეტად საყურადღებო შეხედულებათა გაზიარების შემდეგ კ. აბაშიძე შეძლებდა მათ შემდგომ განვითარებას და ალ. ქავჭავაძის შემოქმედების სწორ შეფასებას, მაგრამ კრიტიკოსმა ეს ვერ მოახერხა და იგი გამოუვალ წინააღმდეგობაში მოექცა.

მთავარი შეცდომა, რომელიც კ. აბაშიძემ დაუშვა, იმაში მდგომარეობს, რომ, მისი გაგებით, „ალ. ქავჭავაძე არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარდისა და ვარაძის გამო-მხატველი“³.

რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? კ. აბაშიძეს ამის მიზე-ზად მიაჩნია ის საზოგადოებრივი ატმოსფერო და წრე, რომელშიაც ალ. ქავჭავაძეს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეო-

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ., გვ. 6.

² იქვე.

³ იქვე.

ბა. იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის და მაღალი არისტოკრატიული წრიდან გამოსული ადამიანებისათვის დამახასიათებელი იყო დილექტანტობა, ინდიფერენტობა, წამგლეჯობა და სხვ. ყოველივე ამან კი მკვეთრი ბეჭედი დაასვა ალ. ქავჭავაძის შემოქმედებას.

შეიმუშავა რა არასწორი შეხედულება XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, კ. აბაშიძე ბუნებრივად მივიდა მცდარ შეხედულებამდე ალ. ქავჭავაძის შემოქმედების შეფასების საქმეში და განაცხადა: „ჩვენ ვერა ვნახავთ მის ლექსთა კრებაში იმ გარკვეულს ვაებასა და მწუხარებას, იმ ტანჯვასა და ოხვრას საზოგადო ინტერესების გამო, რომელიც ამშვენებს შემდეგის მწერლების ნაწარმოებთ. ჩვენ არ შეგვიძლიან დანამდილებითა ვსთქვათ, რა მიმართულებისა და აზრისა იყო ჩვენის ერის ბედის შესახებ, რა გვარს სევდასა და დარდებს ჰგარძნობდა საერო ბედის გამო“¹.

ალ. ქავჭავაძის შემოქმედების ამგვარი შეფასება ნათლად მოწმობს, რომ კ. აბაშიძე სწორად ვერ გაერკვა ვერც XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების თავისებურებაში და ვერც ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში.

ეპოქა, საზოგადოება, რომელშიაც მწერალს უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა, მკვეთრ ბეჭედს ასვამს მის შემოქმედებას. ამ საერთო კანონს ვერც ალ. ქავჭავაძე ასცდა. მის შემოქმედებაზე უდავოდ იქონია გავლენა იმ წრემ, რომელშიც პოეტს უხდებოდა ტრიალი, მაგრამ ეს წრე შედგებოდა არა მხოლოდ დილექტანტებისა და „არისტოკრატიული ინდიფერენტული“ განწყობილების მქონე ადამიანებისაგან, არამედ ბრწყინვალე და ნათელი გონების ადამიანთაგან, რომელთა; სახელებიც ამშვენებენ როგორც რუსული, ასევე ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიას. ესენი არიან: დიდი რუსი მწერალი ა. ს. გრიბოედოვი, დეკაბრისტების ფარული ორგანიზაციის წევრები: მ. მ. ნარიშკინი,

¹ კ. აბაშიძე, „ეტიუდები“, ტ. 1, 1911 წ., გვ. 7.

პ. პ. კონოვნიცინი, ა. ოდოევსკი, ა. ბესტუჟევი-მარლინსკი, ღრმა მოაზროვნე და თავისი დროისათვის უგანათლებულესი ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატები ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და არისტოკრატიული წრის მრავალი სხვა წარმომადგენელი. ისინი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იბრძოდნენ ცარიზმის უხეში ბიუროკრატიული, კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და აღვივებდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ცეცხლს. მათ რიგებში იდგა ალ. ჭავჭავაძეც, რომელმაც ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი პროგრესული სული, მიზნები და ამოცანები მხატვრული სიტყვით გადმოსცა. მნიშვნელოვანი იყო ამ წრის გავლენა ალ. ჭავჭავაძეზე და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი თვით ალ. ჭავჭავაძის გავლენა თავის თანამემამულეებზე.

ამავე პერიოდში, უდავოა, შეინიშნება „არისტოკრატიული ინდიფერენტისმიისა“ და „დილექტანტური განწყობილების“ მატარებელი ქართველი თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილიც. მისი წარმომადგენლები „მარტო იმაზე ფიქრობდნენ, ახალის წესწყობილებისაგან თავის გამოსარჩენი ეშოვათ რამე“ და ამ „თავის გამორჩენის“ მიზნით არ ერიდებოდნენ ცხოვრების უკუღმართი გზით სიარულს, მტაცებლობას, ხელქვეითთა უწყალო ექსპლოატაციას, მაგრამ მწარე ისტორიული სინამდვილისაგან განწირულნი გამოსავალს მაინც ვერ პოულობდნენ და ნაღველგასივებულნი დროსტარებასა და ლოთობაში ჰკლავდნენ დროს.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ქართველი თავად-აზნაურობის ცხოვრების ამ მხარემაც თავისებური ასახვა ჰპოვა. მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს არა ინდიფერენტულ, დილექტანტურ, ექსპლოატატორულ ან ლოთურ განწყობილებათა გავლენასთან ალ. ჭავჭავაძეზე, არამედ, პირიქით, პოეტის მიერ მკვეთრად არის მოცემული ყველა ამ მახინჯ განწყობილებათა ულმობელი კრიტიკა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ალ. ჭავჭავაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მძაფრად გაილაშქრა სოცია-

ღური უკუღმართობის წინააღმდეგ და უღმობელი განაჩენი განოუტანა სოფლის უღირს მდგმურთ:

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდდეთ მათთან თანასწორობას.

არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით!“

ალ. ჭავჭავაძისათვის ასევე მოუთმენელი იყო არისტო-
კრატული ინდიფერენტისმი ღრმად მნიშვნელოვან საზოგადო-
ებრივ მოვლენათა მიმართ. ამ შემთხვევაშიც ალ. ჭავჭავაძე
ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დაჰკმო ინდიფე-
რენტული განწყობილება. იმ დროს, როდესაც ქართველი
თავადაზნაურობის ერთი ნაწილი გულხელდაკრეფილი შეს-
ცქეროდა ცარიზმის თარეშს და ნაცვლად სამშობლოს კე-
თილდღეობისათვის ერთგული სამსახურისა მამა-პაპურ ძილს
მისცემოდა, ალ. ჭავჭავაძე გამომაფხიზლებელი ტონით მი-
მართავდა მათ:

„ხედავ, თქვენ შორის სულ გამქრალა
ერთგულობის ნახერწყალა!

ჰსცანთ, რომ გყოფენ დღეს თუ ხვალა

თქვენც ჩემებრ მთმენად

მოუსვენრად!“

ალ. ჭავჭავაძე მკვეთრად ილაშქრებს და თავისი მახვილი
სატირის ობიექტად ხდის ქართველი თავად-აზნაურობის იმ
ნაწილს, რომელიც „ლხინთ მორევეში დაფლული“ ერთადერთ
იდელს ღვინის სმაში ხედავდა:

„თქვენ, რომელნი ლხინთ მორევეში დაფლულნი და
უძღურ კმნილნი,

უგონობას სიამეთ. რაცხთ განუფხიზლად დათრობილნი,
სიამოვნე, თუცა გწადისთ ჯერარს გქონდესთ მისი ცნობა,
იგი მუნით გარდევების სად იხმარვის უხომობა“.

რა თქმა უნდა, ალ. ჭავჭავაძე არ არის განცხრომისა და
ლხინის უარყოფელი, ზომიერების ფარგლებში, მაგრამ გან-
ცხრომა და ლხინი მხოლოდ მას განაცდევინებს ნეტარებას

და სიამოვნებას, ვინც შრომობს, ვინც არ არის „უქმობით
დღე ღამეთა წოლით მთვლელი“.

„სიმხნე არის სიამეთა განმაახლი, მაგრძნობელი,
ვაი მისდა, ვინ უქმობით დღე ღამეთა წოლით მთვლელი
იწვევს ლხინსა და ვერ იგებს, ვით ბრმა მდელით ფერთა
მზირე,

სოფელს შინა უსყიდველი არა-რა არს არცა მცირე.
განცხრომაცა სავაქროთა ბუნებისგან განაჩენი,
მას აქვს ფასად გარჯა... მოდით, ვინც ხართ შრომის
გამომჩენი“.

ყოველივე ამის შემდეგ უაზრობა იქნებოდა გაგვეზიარე-
ბინა კ. აბაშიძის დებულება, რომ „უიმედობითა და უსასოე-
ბით მოცულ პოეტს ერთ დროს უნდოდა თავისდამვიწყებელ
ქეიფს გაჰყოლოდა, რადგან ყოვლის მკურნალ წამლად
მიიჩნია...“¹ და ამ დებულების დასადასტურებლად „მუხამ-
ბაზი ლათაიური“ მოგვეტანა, მიგვეჩნია იგი პოეტის მორა-
ლურ კრედოდ, როგორც ეს კ. აბაშიძეს ჰგონია.

„მუხამბაზი ლათაიურის“ შინაარსი, მისი ღრმა ანალიზი
და შედარება ალ. ქავჭავაძის სხვა ნაწარმოებებთან, არ იძ-
ლევიან არავითარ საფუძველს ეს ლექსი ალ. ქავჭავაძის მო-
რალურ კრედოდ გამოვაცხადოთ. არც ალ. ქავჭავაძე თვლი-
და მას თავისი სულიერი კრედოს გამოხატულებად. ფილა-
დელფოს კიკნაძისადმი მიწერილ წერილში პოეტი, სხვათა-
შორის, შენიშნავდა: „...ლვინო მოგართვი, საუკეთესო, მაგრამ
სიმცირისათვის ნუ დამგმობ. ღვინის თვისებისათვის ასე
იტყვიან:

„ღვინო თვისებას არ ჰსცვალებს,
არამედ უმატებს ძალებს,
კეთილთ თვისებათ მქონემან
ჯერ არს სვას, კეთილს უმრავლებს“.

ეს ლოთური ლექსია, ნუ გამიწყრები დიდმარხვაში მო-
წერისათვის“. საყურადღებოა აგრეთვე ლექსის სათაურის და-
ვით რექტორისეული განმარტება. დავით რექტორს, რომელსაც,

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1911 წ., გვ. 31.

„მუხამბაზი ლათაიური“ გადაუწერია, თან ასეთი განმარტება დაურთავს: „ლათაია თათრულია: გარდმოვლით გიობა, გინა კრიტიკა“.

ყოველივე ეს კი ნათლად მიუთითებს ლექსის სატირულ ხასიათზე. ამიტომ ამ ნაწარმოების ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოტანილ იქნას მხოლოდ ერთადერთი დასკვნა: „აღ. ჭავჭავაძე ეპიკურეისტულ პოეზიიდან გამოდის, როგორც ლიტერატურული წყაროდან, წრესგადასულ ეპიკურეისტულ დროს ტარებას ასახავს, მაგრამ ფაქტიურად თვით პოეტის კრედოს კი არ გამოხატავს,—თითქოს ცოდნის გმობის ხარჯზე ღვინოს აქებდეს („დავებხნათ ცოდნის ძებნასა, ღვინო სჯობს ყოველს მცნებასა“ და მისთ.), არამედ თითქმის პირველ ქართულ „ლათაიას“, „გინა კრიტიკას“ წერს,—გადაკრით გმობს ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის მცონარა-ლოთურ ცხოვრებას“¹.

წინააღმდეგობანი კ. აბაშიძის აზროვნებაში განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ეტიუდის მეორე თავში.

თუ კ. აბაშიძეს აღ. ჭავჭავაძის, როგორც მწერლის არსებითი ხასიათის ნაკლოვანებად ის გაჭემოება მიაჩნდა, რომ პოეტი „არ იყო საეროვნო მწერალი, საერო დარდისა და ვარამის გამომხატველი“, ცოტა ქვემოთ შეეცადა ამ აზრის შერბილებას და წამოაყენა ახალი დებულება, რომ არ შეიძლებოდა „ავტორს „გოგჩის ტბისას“ არ ეგრძნო თავის სამშობლოს უბედურება“.ო. კ. აბაშიძე ვერ უარპყოფს იმ ფაქტს, რომ აღ. ჭავჭავაძემ უდავოდ იგრძნო „თავის სამშობლოს უბედურება,“ რამაც პოეტზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, „იმ დიდს ცვლილებებს, რომელიც საქართველოს ისტორიაში მოხდა, არ შეეძლო თავისებური დაღი არ დაემჩნია ამ გრძნობიერ არსებისათვის. შეუძლებელი იყო, რომ ან ფანჯრიდან, ან ოთახის ჭუჭრუტანიდან ან საიდანმე არ შემოსულიყო საზოგადო უკმაყოფილების ხმა, რომლითაც მოცული იყო ქართველი ერი... შე-

¹ ა. კენჭოშვილი, აღ. ჭავჭავაძე, გვ. 57.

საძლებელი არ იყო, ადამიანთა ცრემლისა და დაღვრემილობისათვის თვალი არ მოეკრა. ყოველივე ამას ღრმა გავლენა უნდა ჰქონოდა მგოსნის შემოქმედებაზე და კიდევაც ჰქონდა ეს გავლენა¹.

ამ შემთხვევაში კ. აბაშიძე ნაწილობრივ მართალი იყო. ალ. ქავკავაძისთვის სავსებით ცნობილი იყო არა მხოლოდ თავისი წოდების, არამედ ფართო მშრომელი მასების დრტინვა და უქმყოფილება, მაგრამ ამ საზოგადო უქმყოფილების ხმები პოეტის ყურთასმენამდე აღწევდნენ არა ფანჯრიდან, ან ოთახის კუქრუტნებიდან, არამედ უშუალოდ ცხოვრების გულიდან, რომელშიც პოეტი ტრიალებდა.

ღეიბგვარდიის ჰუსართა პოლკის პორუჩიკი, პირველი სამამულო ომის მონაწილე ალ. ქავკავაძე, რომელმაც გენერალ-მაიორობამდე მიაღწია და რომელმაც არაერთხელ დაჰყო პატიმრობასა და გადასახლებაში, კარგად იცნობდა გლეხთა და ჯარისკაცთა, გადასახლებულთა და პატიმართა სულისკვეთებას, მათ აზრს საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვან მხარეებზე. ზედმიწევნით იცნობდა საზოგადოებრივ ცხოვრებას. ფართო მასების კმუნვამ და სევდამ მკვეთრი ბეჭედი დაასვა ალ. ქავკავაძის შემოქმედებას და ამ ფაქტის უარყოფა კ. აბაშიძემაც ვერ შესძლო. „მთელს მის ნაწარმოებებს,— წერდა კ. აბაშიძე,— დაღვრემილობისა და სევდის კილო ანჩინეია, კმუნვარების კოლორიტით შემოსილია... ეს სამგლოვიარო კილო მისი ლექსებისა შექმნილი იყო საზოგადოდ მთელი ერის გლოვისა და ოხერის ზედ-გავლენითა, ამ სევდიანი კილოს მიზეზი საქართველოს ბედში იმალებოდა“².

მაგრამ ჩასწვდა თუ არა ალ. ქავკავაძე იმ მიზეზებს, რომლის შედეგიც იყო „გმინვა ხალხისა“? ამ კითხვაზე კ. აბაშიძე უარყოფით პასუხს იძლევა. კრიტიკოსის აზრით, პოეტმა „ვერ გაიგო, რის შედეგი იყო ეს გმინვა ხალხისა, რის მომასწავებელი იყო მისი გლოვა და ტირილი, მისი ტანჯვა და სევდიანი ოხვრა“³.

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. I, 1911 წ., გვ. 8.

² იქვე, გვ. 8, 11.

³ იქვე, გვ. 8.

კ. აბაშიძე არც ამ შემთხვევაში იყო მართალი. ალ. ქავ-
ჭავაძისათვის, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა საქართვე-
ლოს ყველა კლასისა და ფენის ცხოვრებას, ადამიანი, რომელიც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში იდგა, ნათლად ერკვეოდა ფეოდალური სისტემის შიგნით ჩამარხულ წინააღმდეგობებში, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის არსში, კლასობრივი ექსპლოატაციის ბუნებაში და ძირითადად სწორედ ეს ფაქტორები მიაჩნდა მიზეზად „ხალხის გმინვისა“. ამ ფაქტს ადასტურებს არა მხოლოდ ალ. ქავჭავაძის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა, არამედ იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი მისი ოფიციალური მოხსენებაც, შედგენილი 1836—37 წწ., რომელშიც ყოველგვარი მხატვრული საღებავების გარეშე წარმოდგენილია ძირითადი მიზეზები ფართო მასების უკმაყოფილებისა.

ალ. ქავჭავაძის რწმენით, „საქართველოს დამხობის თესლი“ ჩამარხული იყო შორეულ წარსულში, იმ წინააღმდეგობებში, რაც დამახასიათებელი იყო ფეოდალური სისტემისათვის და რომელიც მძიმე უღლად აწვა საქართველოს ფართო მოსახლეობას. „უფლისწულთა და ერისთავთა ურთიერთ შორის ბრძოლა, თვით მეფეთა შორის უთანხმოება... მეფის სახლობის მრავალრიცხოვან წევრთა ქიშპობა ტახტისა და საუფლისწულო მამულების გამო“, ანგრეედა საქართველოს ეროვნულ ორგანიზმს, უკიდურესობამდე მიჰყავდა ფართო მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა. ამას ზედ ერთვოდა გარეშე მტერთა დაუსრულებელი თარეში, რაც დამწვარზედ მდულარეს ასხამდა. რუსეთთან საქართველოს შეერთებამ დადებითი როლი ითამაშა საქართველოს კულტურულ-ეკონომიური განვითარების საქმეში, მაგრამ მას ჰქონდა თავისი უარყოფითი მხარეებიც, რამაც მშრომელი მოსახლეობის უკმაყოფილება და გმინვა გამოიწვია. ეს იყო ბიუროკრატ მოხელეთა მიერ არნახული შევიწროება მშრომელი მოსახლეობისა, ეროვნულ ჩაგვრისა და შეურაცხყოფის აშკარა გამოვლინება. „ზოგიერთი პოლკების მოურიდებელი თვითნებობა აპარტახებდა არა მარტო იმ სოფლების მცხოვრებთ, სადაც ისინი იდგნენ, არამედ მომიჯნავეებსაც, რომელ-

თათვისაც, ამის გამო, უკვე აღარავითარი საკუთრება აღარ არსებობდა. შინაური ფრინველი, ლეინო, ბოსტნები, ცხენები, ურმები, მთელი მათი ქონება ჯარისკაცთა განკარგულებაში იყო; ვენახების ღობეებსა და სარებს ჩვეულებრივად ყაზარმების გასათბობად ხმარობდნენ; და ყველაფერი ეს ხდებოდა აშკარად, ყოველ წინააღმდეგობის გარეშე, უფასოდ და პატრონები ვერ ჩიოდნენ, ვინაიდან პასუხად მუქარისა და დასჯის გარდა ვერას მიიღებდნენ¹. „საკუთარი სარფიანობით“ დაინტერესებული მოხელენი ხელს ითბობდნენ ყოველ მომენტში და „მაშინაც კი, როდესაც საქმე ხალხის კეთილდღეობას“ ეხებოდა. ყოველივე ამას ემატებოდა ქართველი თავადაზნაურობის მიერ გლეხობის აუტანელი ექსპლოატაცია, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდებოდა აღვირახსნილ მოხელეთა ავზნიანობისაგან. „ქართველი თავადაზნაურობა გაყოფილი ორ უმთავრეს პარტიად, იმავე გზას ადგა“, როგორსაც ცარიზმის ბიუროკრატია. ეკონომიურად გალატაკებული მასების უკმაყოფილება გააღრმავა ნაციონალური ჩაგვრისა და შეურაცხყოფის აშკარა გამოვლინებამ, რაც არც თუ ისე იშვიათი შემთხვევა იყო ცარიზმის ბატონობის პერიოდში, განსაკუთრებით საქართველოში მისი დამკვიდრების პირველ ათეულ წლებში. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა აჯანყებანი, ამბოხებანი და შეთქმულებანი, რომელნიც სისხლში იქნენ ჩახრჩობილნი, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ხალხის გოდება და გმინვა,—„მისი მიზეზი ხალხის ერთადერთი უმაგალითო შეწუხება იყო“.

ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ალ. ქავკავაძემ სამაგალითოდ გაიგო, თუ „რისი შედეგი იყო ეს გმინვა ხალხისა, რის მომასწავებელი იყო მისი გლოვა და ტირილი, მისი ტანჯვა და სევდიანი ოხვრა“. ამასვე ადასტურებს ალ. ქავკავაძის პოეტური შემკვიდრეობა.

კ. აბაშიძემ, სავსებით სამართლიანად, უსაფუძვლოდ და უსამართლოდ მიიჩნია „ჩვენში გავრცელებული უცნაური აზრი, ვითომ თ-დი ალექსანდრე ქავკავაძე „ვარდ ბულბულის“

¹ ალ. ქავკავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 248—249.

მომღერალი პოეტი იყოს, ეპიკურის მიმდევარი და ვითომ პირადის არა უმაღლესის გრძნობების დაკმაყოფილების მეტი არა ახსოვდეს-რა¹.

ამ მოსაზრების უარსაყოფად კ. აბაშიძე საინტერესო მსჯელობას ავითარებს, მაგრამ საბოლოოდ სწორ დასკვნამდე მაინც ვერ მიდის.

დაუშვათ ერთი წუთით,—ფიქრობს კ. აბაშიძე,—რომ ალ. ქავჭავაძე ქეიფისა, „აშიკობისა და ლაღობის“ გადაქარბებული მიმდევარი ყოფილიყო, საკიროა მოეძებნოს მიზეზი „ეგრეთს ცალმხრივობას გრძნობათა გამოთქმაში, ეგრეთს გატაცებას ერთსა და იმავე გრძნობით“ და სწორედ ამ მიზეზის ძიებამ მიიყვანა კრიტიკოსი აშკარა შეცდომამდე.

კ. აბაშიძის აზრით, მოქეიფეთა პლეადა ორი გუნდისაგან შედგება: ერთი, რომელიც გასართობად და დარღების განსაქარებლად ლხინს, ქეიფს, არშიყობას და დარღიმანდობას მიჰყოფს ხელს. თუ ამ მეთოდმა გასქრა, ე. ი. თუ „პირველსავე ლამაზი თვალების დანახვით და გინდ პირველისავე ყანწის გადაკვრით“ სეედა და კაეშანი დავიწყებას მიეცა, ეს იმას ნიშნავს, რომ „მისი კენესა გამოწვეული იყო უთუოდ არა პატივსადების მიზეზისაგან, რომელიც ადვილი მოსასპობი იყო. მისი ნაღველი, სჩანს, არა ყოფილა სულის სიღრმიდან ამონაკენესი, ძირითადი, მთელი მისი ტანჯულის ცხოვრების შედეგი ფილოსოფია“.² ალ. ქავჭავაძე მოქეიფეთა ამ გუნდს არ მიეკუთვნება.

მაგრამ არსებობს მეორე გუნდიც მოქეიფეთა. იგი აერთიანებს ადამიანებს, რომელთა გლოვა, ოხვრა და ვაება უმნიშვნელო მიზეზისაგან გამოწვეული წუთიერი განცდა კი არ არის, არამედ გაპირობებულია უფრო ღრმა მიზეზებით, კერძოდ „მსოფლიო, კაცობრიობისა და გინდ თავისი ერის მდგომარეობით“. ასეთი ადამიანიც ეძლევა თავდავიწყებას, ლხინსა და ქეიფს, ტრფიალებას და ვნებათა ღელვას, როგორც, თითქოს ერთადერთ გამოსავალს პესიმისტურ გან-

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, 1911 წ., გვ. 8.

² იქვე, გვ. 9.

წყობილებათა რკალიდან, მაგრამ „ვერც აქ იპოვის ვერავითარ ნავთსაყუდელს თავისი აღშფოთებულისა და უიმედობით აღსავსე სულისათვის... ერთი ორად იმწვავებს თავისს ტანჯვებს“¹ და თითქმის სასოწარკვეთილებამდის მიდის.

კ. აბაშიძის გაგებით, ალ. ქავჭავაძე სწორედ მოქეიფეთა ამ მეორე გუნდს მიეკუთვნებოდა. თუ პოეტი უგალობდა „ვარდსა და ბულბულს“, „ეს გალობა მისი გულის სიხარულით აღმავსები როდი ყოფილა, ოხვრისა და ვაების ერთი-ორად გამამწვავებელი იყო“.

კ. აბაშიძე მართალი იყო, როცა ხაზს უსვამდა სევდიანი კილოს არსებობას ალ. ქავჭავაძის სატრფიალო ნაწარმოებებში, მაგრამ ცდებოდა იგი, როცა ფიქრობდა, თითქოს ტრფილებას პოეტი თავდავიწყების მიზნით მიმართავდა და ამავე მიზნით იყენებდა თითქოს ქეიფსა და „ჩაღლევას“. ჩვენ ზემოთ გვქონდა საშუალება გვეჩვენებინა, თუ რა აზრის იყო პოეტი იმ ადამიანებზე, რომელნიც ქეიფს გადაჰყოლოდნენ, რადგან იგი მიაჩნდათ „ყოვლის მკურნალ წამლად“.

კრიტიკოსის აზრით, „სასოწარკვეთილ პოეტთა შორისაც ორ-გვარი შეგხვდებათ“: ერთს, რომელსაც შეგნებული და გარკვეული აქვს „ოხვრის მიზეზი“, მაგ. ნ. ბარათაშვილს, ილ. ქავჭავაძეს და აკ. წერეთელს, და მეორეს, რომელსაც „ვერა აქვს გამორკვეული უმთავრესი მიზეზი „სულის ოხვრისა“, მაგრამ დრო, გარემოება და ისტორიული მომენტი თავისებურ დაღს ასვამს ნიკიერსა და გრძნობიერს არსებას“... ასეთს პიროვნებას ჩვენს ლიტერატურაში ეკუთვნის თ-დი ალ. ქავჭავაძე“².

კ. აბაშიძისათვის გაუგებარია „გარკვევით ესმოდა თუ არა და შეიგნო თუ არა პოეტმა რა აკენესებდა და რა აგოდებდა ერს და ეს კი ნამდვილია, რომ ამ საგნებს გვერდს უვლიდა, არა სურდა შეხებოდა მას, იქნებ არ მიაჩნდა „გონიერად“ ამის შესახებ ლაპარაკი“ და თუ „სამგლოვიარო კილო“ ისპის

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, 1911 წ., გვ.10.

² იქვე.

მის ლექსებში, ეს იყო „საზოგადოდ მთელი ერის გლოვის“ მექანიკური გავლენის შედეგი.

ამ შემთხვევაში უკიდურესობამდე განვითარებულმა დებულებამ მთლად დაამსხვრია კ. აბაშიძის თეორიული მსჯელობა, იგი გამოუვალ წინააღმდეგობაში მოაქცია და შეეცადა ამ წინააღმდეგობათა ლაბირინტიდან თავის დაღწევას, მაგრამ უფრო ძლიერად გაიხლართა.

კ. აბაშიძეს გაახსენდა მის მიერ ადრე წარმოებული მსჯელობა იმის შესახებ, რომ თუ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ძლიერად იგრძნობა „ოხვრა სულისა“, იგი გამოწვეულია „მსოფლიო, კაცობრიობისა და გინდ თავის ერის მდგომარეობით“, მაგრამ რა ფასი და რა სიძლიერე ექნებოდა ამ გრძნობას, თუ პოეტისთვის გაუგებარი იქნებოდა „უმთავრესი მიზეზი „სულის ოხვრისა“, საერთო უბედურება ერისა? იგრძნო რა გარკვეული ხასიათის უხერხულობა, კ. აბაშიძე იძულებული გახდა აღეარებინა, რომ „ისიც უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა თ. ალ. ჭავჭავაძეს იმის დასამტკიცებელი საბუთიც არ მოეცეს, რომ საერთო უბედურება გაიგო და ამ უბედურებამ მასაც ტანჯვა მიაყენა. მხოლოდ არ მიმაჩნია მე იგი გრძნობა გარკვეულად და მტკიცედ დატულად“¹. მაგრამ ამ დებულების დასაბუთება კრიტიკოსმა ვერ მოახერხა.

კ. აბაშიძემ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში შენიშნა პოეტის მწუხარე ამონაკენესი საქართველოს „წარსულის დიდების დაკარგვით“ გამოწვეული, მაგრამ „ალ. ჭავჭავაძის წარსულზედ ტირილი არც კი ვიცით რა ხასიათისაა, გოდება საყვარელის საგნის საუკუნოდ დაკარგვის გამო, თუ ჩვეულებრივი სავალდებულო ტირილი და მოთქმა ჭირისუფლისა“².

წარსულის იდეალიზაცია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში მართლაც საკმაო სიმკვეთრით არის წარმოდგენილი და ეს საყვარელით ბუნებრივი მოვლენაა. განუზომელია ალ. ჭავჭავაძის

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, 1911 წ., გვ. 11, ხაზი ჩემია. ი. ბ.

² იქვე, გვ. 12.

სიყვარული წარსულისადმი, რომელიც აწმყოსთან შედარებით ბუმბერაზი სახით გამოიყურება. „ეხლანდელი საქართველოს მნახელი, — გულმოკლული აღნიშნავს ალ. ჭავჭავაძე, — ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც ჰყვოდა. მისი წინანდელი მოსახლეობის მოწმედ მხოლოდ უტყვი ნანგრევები-ღა დარჩენილა და მხოლოდ ბიზანტიელთა ისტორიკოსების ნაწერები-ღა მოწმობენ ქართველი ხალხის ძველ სიდიადეს; ქართველი ხალხის მათიანეებს გაფანტულს სხვა და სხვა მონასტერსა და ბიბლიოთეკებში, არ მიუქცევიათ ჯერეთ ყურადღება შრომისმოყვარე მკვლევარისა, რადგან ქართული ენა მათთვის (მკვლევართათვის) უცხოა და ახლანდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უმნიშვნელო. მაგრამ მას (საქართველოს), მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, ჰქონდა დიდება, ჰყავდა თავისი გმირები, მგოსნები და მწერლები“¹. გარდა მაღალი კულტურისა, რაც დამახასიათებელი იყო საქართველოსათვის ისტორიულ წარსულში, იგი წარმოადგენდა პოლიტიკურად დამოუკიდებელ, ეროვნულად თავისუფალ სახელმწიფოს, რომელმაც ვაჟკაცურად გადაიტანა მრავალი ბრძოლები, შემოსევანი და „ღედის ძუძუსთან ერთად შეითვისა ურჯულოთადმი (иноверцам) სიძულვილი, შეინარჩუნა საწმენობა, მებრძოლი სული, სიყვარული სამშობლოსადმი“.

გავიდა დრო, „მთელი სოფლები, თავადთა ციხე-კოშკები, ოდესღაც მრეწველობით აყვავებული ქალაქები გაჰქრნენ, მაგრამ მათი ნანგრევები დღესაც ჰკვებავს ქართველების სიამაყის გრძნობას“, თუმცა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა იმ დროს დაკარგული აქვს.

განსაკუთრებული ძალით იგრძნობა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში წარსულის დიდებით გამოწვეული სიამაყის გრძნობა და ამავე დროს ამ წარსულის გულწრფელი გამოტირება.

ალ. ჭავჭავაძისათვის სავსებით გასაგები იყო სამშობლოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და მისი და-

¹ ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 241.

კარგვით მიღებული შედეგები; ამიტომ იგი არაერთხელ მიუ-
თითებდა თანამემამულეთ წარსულის ძვირფას „წამებზე“:

„წარმოიდგინეთ იგი ჟამნი,
ყოვლად ძვირფასნი მისნი წამნი,
რას ვიქადოდით ყოველი გვამნი
პატრონის ყოლით,
მის წინ ბრძოლით!“.

პოეტი გრძნობს, რომ „უბედურ გარემოებათა“ გამო ქარ-
თველობაში ძველად მოქმედი უძლიერესი და უსპეტაკესი
გრძნობანი: „მებრძოლი სული, სიყვარული სამშობლოსადმი“
გაუხეშდა, ქართველობამ „ზოგიერთი უცხო ჩვეულება შეი-
თვისა“, მაგრამ პოეტის დამოკიდებულება წარსულისადმი
უცვლელი დარჩა, უფრო მეტიც, სიყვარული და თაყვანის-
ცემა წარსულისადმი მის არსებაში უფრო გაიზარდა და გა-
ღრმავდა. ლექსში „ვაჰ, დრონი, დრონი“ განსაკუთრებული
სიძლიერითაა გადმოცემული პოეტის ეს გრძნობა:

„ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტებარად,
წარილტუნენ, გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად;
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!“

ერთის მხრივ, ცხოვრების სწრაფი ცვალებადობა, ხოლო
მეორეს მხრივ, პოეტის გრძნობათა და იდეალთა მარადიუ-
ლობა, ქმნის მძაფრ წინააღმდეგობას სინამდვილესა და პოეტს
შორის. აწმყოთი უკმაყოფილო პოეტი, რეალურ შესაძლებ-
ლობას მოკლებული, ოცნებით გადაეშვება გულისმომკვლელ
წარსულში და მისი წარმოდგენითა და გახსენებით ცდილობს
აშლილი ტკივილების დაყუჩებას. ლექსი „ეჰა, ჩემო ოცნე-
ბავ“ მშვენივრად გამოხატავს პოეტის ამ სულიერ განცდას:

„ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოზვრანი:
წარსულისა სიცოცხლის ნიაფი კვლავ დამჭროლე
და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.
გვედრებ, ნულა მშორდები, განმიგრძე სიხარული,
რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული“.

რაც უფრო ძლიერი იყო ალ. ჭავჭავაძის ტრფიალი წარსულისადმი, მით უფრო ძლიერად გრძნობდა პოეტი, რომ ამ წარსულის დაბრუნებაზე ფიქრი ფუჭი და უნიადაგო ოცნება იყო. და იზრდებოდა პოეტის ტანჯვა, რადგან ამ ისტორიულ წარსულში რჩებოდა ის სანუკვარი ოცნება, რომელსაც ეროვნული დამოუკიდებლობა ეწოდებოდა და რომელიც ყველაზე მეტად იზიდავდა მას წარსულისაკენ. მაგრამ ისტორიულ მოვლენათა მსვლელობაში გარკვეულ, განათლებული პოეტისათვის ცხადი იყო, რომ მოლიპულ გზაზე შემდგარი ფეოდალური საქართველოს შემაგრებაც კი შეუძლებელი იყო, არა თუ მისი წარსულის რესტავრაცია.

ალ. ჭავჭავაძე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველო ახალი ცხოვრების ფერხულში მძლავრად უნდა ჩაბმულიყო, რადგან მისთვის სხვა გამოსავალი არ არსებობდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პოეტი დაჟინებით სთხოვდა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, რათა მას ხელი შეეწყო საქართველოში სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის. „მთავრობამ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა მიჰპართოს სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად იმ დალოცვილ ქვეყანაში, სადაც ადამიანის შრომა უხვად ჯილდოვდება მიწათმოქმედების ახლანდელი მდგომარეობის დროსაც კი... ექვს გარეშეა, მრეწველობა, რომლის კვალიც გამქრალა გამუდმებული ომიანობის გამო, საბოლოო მშვიდობიანობის დამყარებისთანავე კვლავ აღორძინდება და ეს ქვეყანა, ამეამად ასე გაუნათლებელი, არ მქონე შინაურ მიმოსვლისათვისაც კი ხეირიანი გზებისა, ისარგებლებს რა რუსეთის მზრუნველობითი მმართველობით... სულ ცოტა ხანში შესძლებს... უხვად აუნაზღაუროს თავის კეთილისძყოფელს მისი მზრუნველობა“¹. ამასთან ერთად ალ. ჭავჭავაძეს იმედი ჰქონდა, რომ ეკონომიურად და კულტურულად მოდონიერებული საქართველო პოლიტიკურ ძალ-ღონესაც მოიკრებდა და აღიღგენდა დაკარგულ თავისუფლებას. ღრმა რწმენა უკეთესი მომავლისა მკვეთრად

¹ ალ. ჭავჭავაძე, „თხზულებანი“, 1940 წ., გვ. 254—255.

გამოსქვივის ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებიდან და განსაკუთრებით შემდეგი სტრიქონებიდან:

„მე მას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!..
თვარალა თამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების“.

ჩვენს მიერ ზემოხსენებული ნაწარმოებნი და აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ადასტურებს, რომ პოეტის გოდება იყო არა უგულო „ჩვეულებრივი სავალდებულო ტირილი და მოთქმა ჭირისუფლისა“, არამედ გამოწვეული „საყვარელი საგნის“, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით.

საქართველოს გმირული წარსულის გახსენებით პოეტი თანამემამულეებში აღვიძებდა მიფერფლილ ეროვნულ გრძნობას და ამზადებდა ნიადაგს მომავალი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლებისათვის, რაც კ. აბაშიძეს შეუნიშნავი დარჩა.

ალ. ჭავჭავაძის მთელს შემოქმედებაში კ. აბაშიძემ მხოლოდ ორად-ორი ლექსი მიიჩნია „საზოგადოებრივი ხასიათის“ მატარებელ ნაწარმოებად, ეს არის „გოგჩა“ და „პყრობილისაგან თანპყრობილთა მიმართ“, მაგრამ არც ამ ნაწარმოებებმა მისცეს საშუალება კრიტიკოსს გამოერკვია „რა აზრს ადგა ალ. ჭავჭავაძე თავისი ქვეყნის ბედის შესახებ“.

კ. აბაშიძე ამ შემთხვევაში ორმაგ შეცდომას უშვებს. ჯერ ერთი, „გოგჩა“ და „პყრობილისაგან თანპყრობილთა მიმართ“ არ წარმოადგენენ გამონაკლისს (განსაკუთრებით კი „გოგჩა“), რომლებშიც შეიმჩნევა „საზოგადოებრივო ხასიათის“ გულისტკივილი, და ასეც რომ იყოს, მათში მაინც საკმაოდ ხელშესახები მასალა მოიპოვება პოეტის ზრწამსის გამოსარკვევად.

მართალია, კ. აბაშიძემ ვერ მოგვცა „გოგჩის“ სრულყოფილი განხილვა, მაგრამ ნაწარმოების ირგვლივ მან მაინც რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა: დაინახა ნაწარმოებში ის ღრმა სევდა და ნალველი, რომლითაც გამსქვალული იყო პოეტის გული, შენიშნა პოეტის უკმაყოფილება, გამოწვეული საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობით.

კ. აბაშიძემ ისიც შენიშნა, რომ ალ. ჭავჭავაძეს სიბრმავედ

და ბავშვურ გულუბრყვილობად მიაჩნია აწმყოთი გატაცება, რადგან ადამიანი და ყოველივე ის, რაც ადამიანის შრომითა და ზრუნვით შექმნილია, წარმავალია და დროთა ბრუნვაში არარაობად იქცევა. ალ. ჭავჭავაძე „აწმყოზე დაბმულობას“ სიბრძავეს ეძახის და სიცოცხლის მოსპობას ცხოვრების განქრობის მომავლის ნამდვილ ხატად უწოდებს¹.

ამასთან, კ. აბაშიძემ სწორად შეამჩნია, რომ პოეტის დამოკიდებულება წარსულისადმი უაღრესად რომანტიკული და მეტისმეტად გულთბილია, მაგრამ ეს გარემოება მას მაინც არ უშლის ხელს შედარებით ობიექტური იყოს ამ საოცნებო წარსულის მიმართ. „პოეტს მარტო სიკეთე და სიამე როდი ეჩვენება წარსულის ცხოვრებისა; კარგად იცის, რომ „შურსა, მტრობას აქაც უღრღნიათ გულელები ხარბად, ტრფიალნი აქაც შემსკვალვიან კვლავ ერთმანერთთა, აქაცა მჯდარა ძალი მაღალ ტახტსა ამაყად, წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა“.

მართლაც, „გოგჩაში“ ალ. ჭავჭავაძის მიერ უაღრესად ემოციურ პოეტურ სახეებშია წარმოდგენილი ისტორიული წარსული, „სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი“, სადაც ტაძრებში „ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა“, აქვე, გოგჩის ტბის ნაპირებზე, იმართებოდა ვაჟკაცური შერკინებანი „ქაბუჯ-მხედართ გამოსაცდელად“, ჰყვოდა ვაქრობა, ვარდ-ზამბახივით იშლებოდა ტრფიალების მომხიბვლელი გრძნობა, დულდა ცხოვრება, მაგრამ

„აქაც მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულელები ხარბად“.

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, I, 1911 წ., გვ. 13. ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა სიცოცხლისა და ცხოვრების აბსოლუტურ მოსპობაზე და გაქრობაზე საერთოდ, არამედ ინდივიდის სიცოცხლის მოსპობაზე. ცხოვრება, ბუნება, სიცოცხლე კი მარადიულია, თუმცა დროთა ვითარებაში ზოგი რამ მასში სახეს იცვლის. „აკატ უბედობა, თუმცა სატირე, გარნა რად განსაკვირე, ამა სოფლისა დიდი და მცირე არს ცვლილებისა მხირე“. ალ. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში ცხოვრების მარადიულობის გაგებაზე მიუთითებენ აგრეთვე იგივე „გოგჩა“, „ელების კარი გაზაფხულისა“ და სხვ.

წარსულსა და აწმყოზე ღრმად დაკვირვებული პოეტი ხედავს, რომ „დროსა მსრველის ცელით მოუსთვლავს“ ყოველივე ბედნიერება და უბედურება წარსულისა, და იგივეა „ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი“. სიცოცხლისა და ბუნების მოტრფიალე პოეტისათვის კი შემადრწუნებელი იყო აწმყოს ეს უნუგეშო მომავალი, რაც მას მკვეთრად ეხატებოდა თვალწინ.

ამიტომ მართალი იყო კ. აბაშიძე, როდესაც აღნიშნავდა, რომ „აქ იხატება პოეტის მწარე შეხედულება ცხოვრებაზე და ეს ნაღვლიანის ფიქრებით აღსავსე ლექსშია გამოთქმული. ხოლო ეს საზოგადო აზრია პოეტისა საზოგადოდ ცხოვრების შესახებ. პოეტს, ბუნებისა და სიცოცხლის მოყვარულს, დარღებსა ჰგვრის დღეს უდაბნოდ ქცეული ადგილი ისე, როგორც გაკაფული ტყე, ფოთლებ ჩამოცვივნილი ხე, შემოდგომის სუსხით გაყვითლებული მწვანე მინდორი და დამშრალი რუგინდ ტბა,—სხვა არაფერი“.

პოეტის მწვავე ნაღველი გამოწვეულია სინანულის გრძნობით, ცხოვრების წარმავალობამ და ადამიანთა ნახელავის გაცამტვერებამ რომ აღძრა მის არსებაში. სწორედ ამაშია ალ. ქავჭავაძის პესიმიზმის თავისებურება. ამითაც განსხვავდება იგი ნიცშესა და შოპენჰაუერისაგან, რომელნიც ზიზლით იყვნენ გამსჭვალულნი როგორც ცხოვრებისადმი საერთოდ, ისე ადამიანისადმი—კერძოდ.

თუმცა „გოგჩას“ ზოგიერთი სტრიქონები პოეტის უპერსპექტივობის ნათელი მაჩვენებელია, რაც გამოწვეულია ცხოვრებისა და ადამიანის წარმავალობით, მაგრამ ნაწარმოებიდან მაინც აშკარად იგრძნობა მისი ავტორის განუზომელი სიყვარული ცხოვრებისა და ადამიანისადმი. სწორედ ამ განუზომელმა სიყვარულმა ცხოვრებისადმი და წარსულის ნანგრევთა ხილვამ შეიმუშავა პოეტის არსებაში მწუხარების გრძნობა ცხოვრების წარმავლობისადმი. ეს გარემოება კ. აბაშიძემაც შენიშნა და, დაიმოწმა რა ალ. ქავჭავაძის ერთი სტროფი „გოგჩიდან“, აღნიშნა: „პოეტს დაღვრემილებით და კაემნით აღავესებს ნაქცევნი ამ ტბის კიდეთ ძაძვით მმოსვილნი... ამის მნახველ პოეტს თავში ასეთი სევდიანი აზრებიც მოუვა:

„აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!“.

როგორც ზევითაც გვექონდა აღნიშნული, ლექსი „პურობილისაგან თანპურობილთა მიმართ“ კ. აბაშიძემ აგრეთვე საზოგადოებრივი ხასიათის ნაწარმოებად მიიჩნია.

მართლაც, ამ ნაწარმოებშიც, ისე როგორც ალ. ქავჭავაძის მთელ რიგ სხვა ლექსებში, ძლიერად იგრძნობა საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობით გამოწვეული უკმაყოფილება, ნალღელი და პროტესტის ხმა.

კ. აბაშიძე ფიქრობს, რომ „ეს ლექსი შეეხება ჩვენის ახალის ისტორიის ცნობილ ხანას—ოცდამეათე წლების შეთქმულობას“¹, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს შეცდომაა. „პურობილისაგან თანპურობილთა მიმართ“ ალ. ქავჭავაძეს დაუწერია არა 1832 წლის შეთქმულების გამომქლავებისა და პატიმრობის პერიოდში², არამედ 1805 წელს მთიულეთის შეთქმულებასთან დაკავშირებით გადასახლებაში ყოფნისას, ტაშბოვს. ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ ეს ლექსი შესულია დავით რექტორის მიერ გადაწერილ დავთარში (№ 1512—S.).

თუმცა ეს ნაწარმოები, კ. აბაშიძის გაგებით, საზოგადო ხასიათისაა, მაგრამ იგი მაინც განსხვავდება გრ. ორბელიანის „იარაღისა“ და ვახ. ორბელიანის ლექსისგან: „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“; კერძოდ, ამ ლექსით ალ. ქავჭავაძემ ვერ შესძლო გამოეხატა ის გრძნობა, რის გამოხატვაც გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებმა შესძლეს. კ. აბაშიძე წერს: მართალია, ალ. ქავჭავაძეც დაპატიმრებული იყო „და ამ დროს დაწერილი ლექსიც განსხვავდება მისი სხვა ლექსებისაგან, მაგრამ „მატურთ მახით დატყვევებულს“ პოეტს თა-

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1, 1911 წ., გვ. 14.

² 1832 წლის შეთქმულებაში ალ. ქავჭავაძის მონაწილეობისა და შემდეგ მისი პატიმრობისა და გადასახლების შესახებ კ. აბაშიძე მეტად გულუბრყვილოდ მსჯელობს.

ვის დღეში არ უგრძენია და, თუ უგრძენია, არ გამოუხატავს ლექსით ის, რამაც გრ. ორბელიანს ათქმევინა „გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვილიადა, სადღა იხილოს ცა მშობლიური? გულს ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა, მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და კმუნვა მითცა შემცირდებისა“. ალ. ჭავჭავაძეს არც ვახტანგ ორბელიანის დარდისა და სევდისებური რამ წამოსცდენია: „თუ ნერგს მოაკლდა ნამი ცისა, ცვარი არ ერგო, ვინ ჰკითხავს: რისთვის აღარ ხარობ და ხმები, ნერგო? სამშობლო ქვეყნით გარდახვეწილს, გულსა დამშვრალსა სწყურხარ, როგორც სწყურს ცის ნათელი, სხივი ბნელს თვალსა“; თუ, ვიმეორებ, თ. ორბელიანები ამ კილოზე ლაპარაკობენ ერთისა და იმავე საგნის გამო, ალ. ჭავჭავაძეს აწუხებს მხოლოდ ის, რომ „დრომან დაუდგრომელმან აშორა მოყვასთ, თვარა არც გზობით არცა პყრობით არ ჰლბების გული“ და ამას ემუდარება მოყვასთ: „გვედრით პყრობილი გულ-პობილი კმუნვისა ლახვრით, გახსოვდესთ მწირი: მოჩივარი საწუთროს რებით!“¹.

ამონაწერი გაგვივრძელდა, მაგრამ იგი ვრცლად მოვიტანეთ იმ მიზნით, რომ მკითხველისათვის უფრო ნათელი ყოფილიყო კ. აბაშიძის მიერ დაშვებული შეცდომის ხასიათი.

პირველყოელისა უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „იარაღის“, ასევე „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“ 1832—1834 წლებშია შექმნილი, ხოლო „პყრობილისაგან თანპყრობილთა მიმართ“ ამ ნაწარმოებთაგან სამი ათეული წლით არის დაშორებული², მიუხედავად ამისა, მათ შორის ორგანული კავშირი არსებობს. სამივე ნაწარმოებიდან მკვეთრად გამოსკვივის სამშობლოს მოშორებულ პატიმარ პოეტთა გულისწუხილი. მართალია, ლექსში „პყრობილისაგან თანპყრობილთა მიმართ“ ალ. ჭავჭავაძე გულის წუხილს გამოსთქვამს მოყვასთაგან მოშორების გამო, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს პოეტს არ აწუხებდეს სამშობლოსაგან მოშორება.

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1, 1911 წ., გვ. 14—15.

² ლექსი დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1805 წლისა.

სამშობლო მოყვასთა გარეშე პოეტისათვის წარმოუდგენელი იყო, ისე როგორც მოყვასნი სამშობლოს გარეშე.

„იარალის“ როგორც თემის, ისე კომპოზიციის თვალსაზრისით ლირიკულ ეპიკური ენარის ნაწარმოებს უახლოვდება, რომელშიც ხელშესახებად არის წარმოდგენილი ტრადიციული ქართული სუფრა და პოეტის მოხუცი მეგობრის მიერ მოთხრობილი ამბავი იმის შესახებ, „თუ ვით ივერნი, ლომგულნი გმირნი ჰბრძოდნენ, სცხოვრობდნენ დროსა წარსულსა“. პოეტი დანატრის მამაც ვაჟკაცებს. „ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად“, იგონებს მეფე ერეკლეს დიდებულ სახეს და დაეძებს გმირს, „რომელ მარჯვენით, ერთისა დაკვრით უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს?“. მაგრამ, გრ. ორბელიანის აზრით, ეს ნატვრა ფუჭი და ამაოა, პოეტის ოცნებით შექმნილი, ძველი ცხოვრების ნათელი დამახასიათებელი სურათები უქვალოდ ჰქრებიან და თვალწინ აღემატება ჯიუტი სინამდვილე: „ჩრდილოეთის წყვილია, ღვინის წილ—კვასი, მზისა წილ—ყინვა და შინ „უგარი“. მშობლიურ ცას მოშორებული პოეტი პესნიმის რკალში ექცევა, სულიერად გატეხილს „რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა“, უფრო მეტად „ემწუხრის გული“ და მომავალზე ხელჩაქნეული გამოსავალს მოთქმა-გოდებაში პოულობს, რადგან „მოთქმითა ნუგეშ ეცემის და კმუნვა მითა შემეცირდებისა“.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსის დასასრულს მკვეთრად იგრძნობა პოეტის მელანქოლია და გულგატეხილობა, „იარალის“ მაინც უდიდესი იდეურ-პოლიტიკური გავლენა ჰქონდა იმდროინდელ ქართველ ინტელიგენციასზე.

რაც შეეხება ვახტანგ ორბელიანის ლექსს „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“, მასში ძლიერად იგრძნობა პოეტის სუბიექტური განწყობილება, დარდი და სევდა სატრფოს მოშორებით გამოწვეული, მწუხარება უცხო მხარეში განდევნილი ადამიანისა, მაგრამ საერთოდ, ეს ლექსი, იდეურ-პოლიტიკური სიმახვილის თვალსაზრისით, დაბლა სდგას როგორც გრ. ორბელიანის, ისე ალ. ჰავეკავაძის ზემოხსენებულ ნაწარმოებებზე. მაგალითად, მასში არ იგრძნობა განმათვისუფ-

ლებელი გმირის ძიების ძლიერი სურვილი, რაც „იარალის“ ავტორისათვის არის დამახასიათებელი. ლექსში ხაზგასმით არც იმ მიზეზებზეა ლაპარაკი, რომლებმაც პოეტი „განდევნეს შორსა, შეუწყნარსა ამ უცხო მხარეს“, იმ დროს, როდესაც ალ. ქავჭავაძე პირდაპირ მიუთითებს „მაცთურთ მახეზე“, ცარიზმის ვერაგულ პოლიტიკაზე.

აქ გვინდა მივუთითოთ კიდევ ერთ გარემოებაზე: როგორც ვ. ორბელიანის „იარალის“, ასევე ვ. ორბელიანის „წიგნი მოწერილი რუსეთიდან“ საყურადღებო ნაწარმოებია, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი საზოგადოების თვითშეგნების ზრდის საქმეში, მაგრამ ალ. ქავჭავაძის ლექსში — „პურობილისაგან თანპურობილთა მიმართ“ გვხვდება ისეთი მომენტები, რომელნიც ამ ლექსს, გარკვეული თვალსაზრისით, პრიმატს ანიჭებენ ზემოხსენებულ ნაწარმოებებთან და კერძოდ „იარალისთან“ შედარებით.

თუ „იარალის“ ავტორი ღრმად არის დარწმუნებული, რომ „წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა წარილეს“ და ამათა ნატვრა წარსულის დაბრუნების, უკეთესი მომავლის შესახებ, თუ პოეტი ნუგეშს მხოლოდ მოთქმაში პოულობს, რადგან „მოთქმითა ნუგეშ ეცემის და კმუნვა. მითცა შემციირდებისა“, ასე არ მსჯელობს ალ. ქავჭავაძე, იგი, რა თქმა უნდა, კენესის, რომ „დრომან დაუდგრომან აშორა მოყვასთ“, მოსწყვიტა მშობლიურ მხარეს, მაგრამ სასოწარკვეთილებამდე მაინც არ მიდის, „არც გზობით, არცა პურობით გული არ ჰსლბების“. რადგან რწმენა უკეთესი მომავლისა ასულდგმულებს პოეტს და ღრმად არის დარწმუნებული, რომ „ჟამი გულთ მაამი, კვლავცა იქნების“.

მტკიცე ნებისყოფა და უკეთესი მერმისის რწმენა მკაფიოდ გამოსკვივის ლექსიდან „პურობილისაგან თანპურობილთა მიმართ“, რაც განასხვავებს მას გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების ზემოხსენებულ ნაწარმოებთაგან.

ამრიგად, ალ. ქავჭავაძემ იგრძნო და ამ ლექსით გამოხატა ის, რაც იგრძნეს და გამოხატეს ორბელიანებმა (სამშობლოსა და მოყვასთაგან მოშორების მწვავე განცდა), აგრეთვე

გამოაშუღავენა მტკიცე ნებისყოფა და უკეთესი მომავლის იმედი, რაც არ ჩანს „იარალში“ ან კიდევ ლექსში „წიგნი მოწერილი-რუსეთიდან“.

აღ. ქავჭავაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული ეტიუდის V თავში კ. აბაშიძე აღნიშნავს, რომ „პოეტსა და ფილოსოფოსს, საზოგადოთ, ცხოვრების უმთავრეს საგნებზედ მღერა და მსჯელობა უყვართ“. რა არის ეს უმთავრესი საგნები? ესენია საკითხები ცხოვრების დასაბამისა და დასასრულისა, დამოკიდებულება ადამიანისა და ქვეყნის შემქმნელ ძალას შორის, დამოკიდებულება და ურთიერთგავლენა ადამიანსა და ბუნებას შორის და ბოლოს ადამიანთა შორის ურთიერთკავშირი, ურთიერთგანწყობილება. „პოეზია ცოველთვის ამ საგნებს შეჰხებია, ეს საგნები გაუხდია სამღერლად და საკვენესელად“¹.

შეიხო თუ არა აღ. ქავჭავაძე ზემოხსენებულ საკითხებს? კ. აბაშიძის აზრით, პოეტმა შესძლო ყველა ამ საკითხის შესახებ თავისი გარკვეული აზრი გამოეთქვა. და მართლაც, აღ. ქავჭავაძისათვის არც ერთი ამ საკითხთაგანი უცხო არ არის. „თუ პოეზია ცხოვრებას ეხება,—აღნიშნავს კ. აბაშიძე,—საგალობელ საგნად აიღებს ხოლმე ცხოვრებაში უფრო ინტენსიურ ძალას, ცხოვრების განმაცისკროვნებელს, ცხოვრების განმადღიერებელს, მის შემქმნელსა და განმაცისკროვნებელს სიყვარულს“².

კ. აბაშიძის გაგებით, სიყვარული აღ. ქავჭავაძისათვის „ცხოვრების განმაცისკროვნებელი, ცხოვრების განმადღიერებელი“ ძალაა. სიყვარულის გრძნობის გამოხატვის საქმეში აღ. ქავჭავაძემ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, „ასე გეგონებათ, თ. აღ. ქავჭავაძემ აზრად დაისახა, ქართულს ლიტერატურას სამუდამოდ გამოაცალოს ხელიდან ეს საგანი—სიყვარულის მღერისა,—რადგან იშვიათად შეხვდებით პოეტსა, ამაზედ მეტი რამ გამოეთქვას სიყვარულის შესახებ“³. პოეტის უდიდეს დამსახურებად კ. აბაშიძეს ის გარემოე-

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1, გვ. 26.

² იქვე, გვ. 27.

³ იქვე, გვ. 23.

ბა მიაჩნია, რომ მან შესძლო სიყვარულის გრძნობის მრავალ-ფეროვანად გადმოცემა, „ათასგვარი სამოსელი შეუქერავს პოეტს ერთისა და იმავე საგნისათვის, ერთი მეორეზე უმჯობესი, ერთი მეორეზე უძვირფასესი“.

კ. აბაშიძემ სწორად შენიშნა ის გარემოებაც, რომ ალ. ქავჭავაძის დამოკიდებულება სიყვარულის გრძნობისადმი ცალმხრივი არ არის. რომ პოეტის გაგებით, სიყვარული ყოველის-შემძლე ძალაა, „ძალსა მისსა ყოველი ჰგრძნობს, არსებს რაცა, სჯულსა მისსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა“ და რომ უდიდეს სიამოვნებასთან ერთად იგი ტანჯვის მომნიჭებელიც არის.

თუ ამ შემთხვევაში კ. აბაშიძე უდავოდ მართალი იყო, სამაგიეროდ ცდებოდა, როდესაც ვერ ამჩნევდა ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში ისეთ ნაწარმოებებს, რომელთაგანაც მკვეთრად იგრძნობა სიყვარულის მოტივის წმინდა რომანტიკული გაგება, მისი სულიერი მხარე, და ყურადღებას ამახვილებდა მხოლოდ ისეთ ლექსებზე, როგორიც „ვარდ-ბულბულის გალობაა“, „პირადი გრძნობის—სიყვარულის და მისი ხორციელი მხარის გამოხატვა“. ასევე მცდარია კ. აბაშიძის შეხედულება, თითქოს „სპარსული და აზიური გავლენის ბრალია, რომ მისი (ალ. ქავჭავაძის—ი. ბ.) შეხედულება სიყვარულზე შეტად ხორციელია, „მგრძნობელობას ყოველ ნიჭედ უფრო მალა აყენებს“, ამ გავლენის ბრალია ის სინამდვილით გამოხატვა გრძნობათა, რომელიც მას სჩვევია“¹.

თუ რამდენად უმართებულოა ლაპარაკი ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაზე სპარსულ-აზიური პოეზიის გავლენის შესახებ, ამაზე ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი, როდესაც ვეხებოდით პროფ. ალ. ცაგარელის მიერ წამოყენებულ ანალოგიურ მოსაზრებას.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ალ. ქავჭავაძე გრძნობას ყველა თვისებაზე მალა აყენებს, რაც კ. აბაშიძემაც შენიშნა, ეს მართლაც ასეა; ლექსში—„შენი გონების“, პოეტი გარკვევით მიუთითებს, რომ „მგრძნობელობა ჰსჯობს ყოველთ

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1, გვ. 32.

თვისებათ, ცით მოვლენილთა, შეენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს!“ მაგრამ, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ალ. ქავჭავაძე ადამიანის ცხოვრების ყველა პერიოდში აღიარებდეს მგრძნობელობის პრიორიტეტს. ადამიანის სულიერი ცხოვრების საუკეთესო მცოდნემ, ალ. ქავჭავაძემ. ძალიან კარგად იცის, რომ არსებობს გარკვეული პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში, როცა სიბრძნითა და გონიერებით უაღრესად აღქურვილი ადამიანის გონება ქედს იხრის მგრძნობელობის წინაშე. ეს სიკაბუჯის პერიოდია, როდესაც ტრფიალების ისრით განაწონი ახალგაზრდა მხოლოდ გულს ეკითხება, გრძნობას ეძორჩილება; მაშინ „სიბრძნე და გონიერება რაგინდ მარად ფხიზლად გველოდნენ, სიკაბუჯეს და სიყვარულს რაცა უნდათ, იმას ჰყოფენ“. მაგრამ, გაივლიან სიკაბუჯის მღელვარე წლები და გრძნობა და გონება ადგილებს სცვლიან, გონება ხდება ადამიანის ცხოვრების წარმმართველად.

ბუნებაში რომანტიკოსების შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაიკავა და სხვაგვარად არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. სიყვარულის გრძნობაში დამარცხებული თუ გამარჯვებული პოეტები, ცხოვრებით უკმაყოფილო რომანტიკოსი მგოსნები, თავის გრძნობათა თანაზიარს ბუნებაში ხედავდნენ. აურაცხელ საოცრებითა და საიდუმლოებით აღსავსე ბუნება თავისი მრავალფეროვანი მოვლენებით რომანტიკოსი პოეტისათვის სულიერ არსებას წარმოადგენდა, რომელსაც ადამიანის მსგავსად შეეძლო ფიქრი, გლოვა და მხიარულება. რომანტიკოსთა ამგვარი წარმოდგენა ბუნებაზე ხელს უწყობდა დამყარებულიყო მკიდრო ურთიერთობა მგოსანსა და ბუნებას შორის. და პოეტებიც, როგორც ცოცხალ არსებებს, ისე ესაუბრებოდნენ მოშრიალე ფოთლებს, ვერცხლისფერ მთვარეს, ბუნდოვან კლდეს, მჩქეფარე თუ წყნარად მოღუდუნე მდინარეს, მრავალფეროვან ყვავილებს, წყნარად მქროლ ნიაეს და სხვ.

ბუნების რომანტიკულმა გაგებამ თავი იჩინა ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაშიც. მართალია, პოეტი ვერ ამაღლდა ბუნების ნ. ბარათაშვილისებურ ღრმა რომანტიკულ, ფილოსოფიურ განქვრეტამდე, მაგრამ ეს გარემოება არავითარ

საფუძველს არ იძლევა კ. აბაშიძის მსგავსად არ დავინახოთ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ბუნების რომანტიკული ქვერტა.

აშკარად ცდება კ. აბაშიძე, როდესაც ფიქრობს, რომ „გლახ ბედისაგან სასტიკად დასჯილს“ პოეტისათვის ბუნებას გარეგანი მნიშვნელობა აქვს, როგორც დეკორაციას, როგორც სცენას“, რომ ბუნება მგოსანს „გულგრილ და გულცივ უტყუვ ქმნილებად მიაჩნია“, „ბუნებას არავითარი ნუგეშისა და იმედის მოცემა არ შეუძლიან, რადგან თვით უაზროა, უშინა-არსო და უგულო“¹.

ალ. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა არავითარ საფუძველს არ იძლევა გავიზიაროთ კ. აბაშიძის ეს დებულება. ალ. ჭავჭავაძისათვის ბუნებას არა აქვს „გარეგანი მნიშვნელობა“, ბუნების ცალკეული მოვლენები არ წარმოადგენენ დეკორაციას ან სცენას პოეტის წარმოსახვაში, პირიქით, ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებულნი მის გრძნობებთან, განცდებთან და ფიქრებთან.

შემთხვევითი არ არის, რომ ალ. ჭავჭავაძე ბუნების ცალკეულ მოვლენებს ალეგორიული სახით იყენებს თავისი აზრის გადმოსაცემად. მაგალითად, სოფლის ბრუნვით გულდაკოდლილი პოეტი ბრწყინვალე მზის სახით წარმოიდგენს საქართველოს დიდების მომნიჭებელ ძველ გმირებს, ხოლო აწმყო მდგომარეობას—საადერო ღრუბლით დაფარულად და ჩაბნელებულად:

დავიდნენ მთენნი
შარავანდთ მფენნი
აწ იგი მზენი
ჭფარვიან ღრუბლებს,
ავდრის საგუბელს.
წყვედიადსა და ბნელს“.

ბუნების მოვლენათა მაგალითებზედვე ცდილობს პოეტი აღძრას რწმენა უკეთესი მომავლისა თანამემამულეთა შორის:

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, I. გვ. 28—30.

„თუმცა ზამთარი ახრობს ყვეაილთა,
და აგდებს ხეთა მწარედ განძრცვილთა,
გარნა ჟამთ ცნობით მათგანვე ხილთა
ჯერ არს ველოდეთ პირველებრ ტკბილთა:
ეს არს ზნე დროთა სიარულისა!“

ბუნების თვალწარმტაცი და მიმზიდველი სურათებია და-
ხატული ლექსში „კავკასია“. ბუნება საკვირველების შემცვე-
ლია, იგი საშინელიცაა და მშვენიერიც, რომელიც თავის თავ-
ში სკობს ძველს და წარმოშობს ახალ მოვლენებს „ვით
ღმერთი მბრძანებელი“.

„თხემის შეუპოვარის, პონტოის ზვირთთ მიმყარდობი
და ტერფითა სალითა კასპიისა განმპობი,
კავკასი გოლიათი წევს შორის ორთა ზღვათა,
შემოკრებით შემცველი დიდ საკვირველებათა.
მას შინა ჰსჩანს ბუნება საშინელად და მშვენად:
გვერდი მისნი ძლიერნი, ოფლეილნი შეუსვენად...
ზოგთა ჰმუსრავს, ზოგთ ჰბადებს ვით ღმერთი მბრძანებელი“.

ადამიანსა და ბუნებას შორის, პოეტის წარმოდგენით,
უშუალო გრძობადი კავშირი არსებობს. ბუნების მოვლენე-
ბი ხშირად იმდენად ძლიერ გავლენას ახდენენ ადამიანზე,
რომ აღუძრავენ სხვადასხვა გრძობებებსა და განცდებს.
გზის გუშაგად მდგომარე პოეტს ხან აჩრდილნი აცდუნებენ,
„ხან ფოთოლნი შერხეულნი

შრიალითა მცემენ ზრხენას:

ზოგჯერ ღამის სიწყვედიადუ მომაჩვენებს გიშრის თმასა,
ზოგჯერ ცისა გავლევება ბროლის ფიცრით შექთა ფენას.
თვით ნიათთა ნელი ქროლაც წარმომიდგენს სუნთქვას ტკბილსა,
რომელიცა ცეცხლმოდებულს ლალით გამო მბერდა ღხენას!

„აშიყთ გულების“ შემწყნარე მთვარეს პოეტი ადამიანი-
ვით ესაუბრება:

„ჰე მთვარეო, შემწყნარეო აშიყთ გულების,
მოგვფინე შენნი შუქნი ნელნი ჩვენ ორთა ოდენ!
რაზომცა ვლიდფე. ვერსად ჰპოვო, ნუ გეგულების,
რომ ურთიერთსა ჩვენებრ მტყიცედ ვინმე შესტრფოდნენ!“

მთვარე თითქოს გრძნობს ტრფიალების მომჯადოვებელ ძალას და სიტკბოებას და მარტოდ მარტო მოსიარულე ცის კაბადონზე, აშიკთა ტრფიალებით შურით აღესილი, ღრუბლის რიდეს გადაიფარებს.

„რავდენჯზის მთვარეს, თავ-მომწონეს მათთან შთახედვით უგრძენია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლვილა“.

ბუნებისადმი განუსაზღვრელი ტრფიალი, ბუნების სიდიადე და სისპეტაკე საკმაოდ მკვეთრად არის გადმოცემული „გოგჩის ტბაში“.

ბუნებას აქვს უნარი ადამიანი თავისი ქმუნვის თანაზიარი გახადოს. გოგჩის ტბის პირას დიდებული წარსულის გაპარტახებული „საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვნათა“,

„ქმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ,
უბედურება, მჩუმარება, არა-რაობა
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ“.

ფეიქრობთ მაგალითების მოტანა აღარ არის საჭირო. ზემოთქმულიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ ბუნება, აღ. ქავექავადის გაგებით, არ არის გულგრილი, გულცივი, უაზრო, უშინაარსო და უგულო ქმნილება, როგორც ამას კ. აბაშიძე ფიქრობს.

კ. აბაშიძემ უდავოდ სწორად შენიშნა, რომ, აღ. ქავექავადის გაგებით, დასასრული ადამიანის ცხოვრებისა, სიკვდილი, სრულიადაც არ წარმოადგენს რაიმე სანუგეშოს. „პოეტისათვის სიკვდილშიაც კი აღარა არის-რა სანუგეშო, იქაც ვერა ჰპოვებს სულის დამამშვიდებელსა და დამაამებელს რასმე“¹. მართლაც, აღ. ქავექავაძეს არა სწამს საიქიო ნეტარი ცხოვრების არსებობა, რაც აღორძინების ხანის ქართველი მწერლებისთვის იყო დამახასიათებელი. სიკვდილი გარდაუვალი მოვლენაა:

„რაგინდ ვინც რავდენ ვეღროს,
იგი მითც დაუხვალთა,
ყურ-დახშობილი დაფრინავს,
ხელად უძს ბასრი ხმალია,
მტირალთა ცრემლმა ვერ აღმოს,
მან ჰყოს, რაც მისი ვალია“.

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1, გვ. 30.

სიკვდილი წყვეტს ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც არსად და არასოდეს არ გრძელდება და არ მეორდება. მიუხედავად ამგვარი რწმენისა, ალ. ჭავჭავაძის პესიმიზმი მაინც არ იღებს რადიკალურ ხასიათს, როგორც ეს კ. აბაშიძეს ჰგონია. პოეტი მალღდება პირად გრძნობებზე სიკვდილის საშიშროების წინაშე და საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით კვრეტს ცხოვრების დასასრულის საკითხს. თავგანწირული პოეტი, რომელმაც სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობის სამსხვერპლოზე უყოყმანოდ მიიტანა, თვლებში უცქერის სიკვდილის აჩრდილს. სამშობლოსაგან მოწყვეტილს, საპატიმროს ჯურღმულში გულხელდაკრეფილ პოეტს თავი ისედაც მკვდრად მიაჩნია, რადგან იგი ამჟამად სამშობლოსთვის უსარგებლოა. ამიტომ მტკიცე ნებისყოფით აღქურვილი დაურიდებლად აცხადებს:

„სიკვდილს ნუ მექადით, იგი მჩანს არად;
რა თავი მევეთა, მუნით ვარ მკვდარად.
ერთ არს ლეში, საცა ვეგდო სამარად!“

პოეტი სიკვდილის საშიშროების წინაშეც კი არ იხრის ქედს, არ ექცევა გამოუვალ მწუხარებათა რკალში, „გლახბედისაგან ესრეთ დასჯილი, იმედოვნებას უწოდებს ფარად“ და უკეთესი მომავლის რწმენით აღქურვილს სჯერა, რომ „უამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების“. და თუ ალ. ჭავჭავაძის სალექსო სტრიქონებში მაინც მოისპის გლოვა-ტირილი, ეს რადიკალური პესიმიზმის გამომხატველი კი არ არის, არამედ ცხოვრებაზე გულდაწყვეტილი პოეტის მოთქმაა, რომელიც სწუხს, რომ შეიძლება ვერ მოესწროს უკეთეს მერმისს. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში დაიძებნება სტროფები, რომლიდანაც ჩანს პოეტის ე. წ. უპერსპექტივობა, ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ მასალას იძლევა ლექსი „გოგჩა“, მაგრამ თვით მის სტრიქონებიდანაც კი მკვეთრად გამოსკვივის ცხოვრების სიყვარული, სინანული გამოწვეული მისი წარმავლობით და არა რადიკალური უარყოფა, არა ზიზლი ცხოვრებისადმი.

კ. აბაშიძეს შეუმჩნეველი არ დარჩა ის გარემოება, რომ ალ. ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში მოგვცა სოფლისა და

მის მდგმურთა შეფასება-დახასიათება. კრიტიკოსის აზრით, ალ. ჭავჭავაძისათვის „სოფელი და მისი მდგმურნი... ბოროტებისა და სიცრუის ჭურნი არიან, კეთილ-მოყვარეობის დათრგუნვის მსურველნი“¹. ალ. ჭავჭავაძემ მართლაც მკაფიოდ ასახა სოფლისა და მის მდგმურთა ზნე-ხასიათი; სოფელი სხვა არა არის რა, თუ არა „მჩვენებელი კმუნვის ალთა“, რომლის „მინდობთა ბოლო აქეთ შხამად“, ხოლო მისი მდგმურნი წარმოადგენენ

„ბოროტებისა და სიცრუის ჭურთა,
კეთილმოყვარების დათრგუნვის მსურთა
უსაფუძვლოთა“,

რომელნიც ამწარებენ ადამიანთა ცხოვრებას და არსებობენ „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!“. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ალ. ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში იძლეოდეს საერთოდ ცხოვრებისა და კაცობრიობის დახასიათებას. აქ პოეტს მხედველობაში აქვს ის კონკრეტული ცხოვრება და საზოგადოება, ის ეპოქა, რომელშიაც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ასე რომ არ იყოს, მაშინ ალ. ჭავჭავაძე საერთოდ ცხოვრებისა და კაცობრიობის სიძულვილამდე და უარყოფამდე უნდა მისულიყო. პოეტის შემოქმედებაში კი მკვეთრად იგრძნობა, ერთი მხრივ განუზომელი სიყვარული ცხოვრებისა, ადამიანისა, ხოლო მეორე მხრივ, ზიზღი ცხოვრების უკულმართი პირობებისა, მჩაგვრელებისა და მტაცებლების მიმართ. ცხოვრების უკულმართი პირობებისა და სოფლის ავზნიან მდგმურთა მძაფრ კრიტიკას წარმოადგენს პოეტის მრავალი ნაწარმოები და მათ შორის ლექსი „ვაჰ სოფელსა ამასა“, რომელშიაც იგრძნობა, თუ რა ძალით უყვარდა ალ. ჭავჭავაძეს სიცოცხლე და რაოდენ კრიტიკულად უყურებდა თავის დროს, თავის თანამედროვე ეპოქას. ამავე ნაწარმოებში იგრძნობა რწმენა უკეთესი მომავლისა.

ასე წარმოგვიდგინა კ. აბაშიძემ ალ. ჭავჭავაძის შემოქმე-

¹ კ. აბაშიძე, ეტიუდები, ტ. 1, გვ. 30.

დება თავის კრიტიკულ ეტიუდში. პოეტის შემოქმედების განხილვას იგი დაუბრუნდა რამდენიმე წლის შემდეგაც, კერძოდ, 1916 წ. ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში¹, მაგრამ ვინაიდან კრიტიკოსს ამ წერილში რაიმე ახალი დებულება არ წამოუყენებია, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით.

* * *

1898 წელს „მოამბეში“ გამოქვეყნებულმა კ. აბაშიძის კრიტიკულმა ეტიუდმა ვერ დააკმაყოფილა ზოგიერთი კრიტიკოსი და ეს ეტიუდი მსჯელობის საგანი გახდა.

იმავე 1898 წელს ივანე გომართელმა ჟურნალ „კვალში“ გამოაქვეყნა „კრიტიკული შენიშვნები“. ავტორმა გააკრიტიკა კ. აბაშიძე, რომელმაც ვერ მოახერხა ნათელყო თავისი დებულება და დაერწმუნებინა მკითხველი, რომ ალ. ჭავჭავაძეს ნამდვილად უჭირავს საპატიო ადგილი ჩვენს მწერლობაში.

ზემოხსენებულ წერილში ივ. გომართელმა ლიტერატურული კრიტიკის წინაშე გარკვეული ამოცანა დააყენა. მისი აზრით „ხელოვნება, როგორც ყოველი გვარი მეცნიერება ცხოვრებისათვის არის გაჩენილი, და ვინც ცხოვრებას და ხელოვნებას ერთმანეთს არ უკავშირებს, ის ამა თუ იმ მწერლის მოღვაწეობას ქეშმარიტ სჯავრს თავის დღეში ვერ დასდებს. ყოველი მწერლის დასათუასებლათ უპირველესად მისი ნიჭის აწონ-დაწონვა კი არ არის საჭირო, არამედ იმ სარგებლობის, რომელიც მას საზოგადოებისათვის მოუტანია“².

ივ. გომართელის მართებული შენიშვნით, კ. აბაშიძემ ვერ შესძლო წარმოედგინა „თუ რა არის მკითხველისათვის საყურადღებო და სასარგებლო ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებში“ საერთოდ, და ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, კერძოდ. მან „მარტო ნიჭის მიხედვით ლიტერატურული კლასიფიკაციები შექმნა“, მაგრამ „ასეთ კლასიფიკაციებს ამა თუ იმ

¹ იხ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 713.

² „კვალი“, 1898 წ., № 41.

მწერლის დასაფასებლათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს¹. ივ. გომართელის აზრით, რაც სავსებით სწორი და მართებულია, კ. აბაშიძეს უნდა დაენახვებინა მკითხველისათვის, თუ „რა სარგებლობა მოუტანა ალ. ქავჭავაძემ მაშინდელ ქართველობას და მაშინ ვცემდით ამ პოეტს ღირსეულ პატივს, მაშინ ვადიდებდით მის ნიქს, უამისოთ კი ბ-ნ კიტას განაჩენს ხელს ვერ მოვაწერთ“².

როგორც ზემოთაც გექონდა აღნიშნული, კ. აბაშიძემ ალ. ქავჭავაძის უდიდესი დამსახურება „სამიჯნურო ლექსთა“ თხზვაში დაინახა და ამ დარგში პოეტი ვირტუოზად მიიჩნია. კ. აბაშიძის აზრით, ძირითადი ძარღვი ალ. ქავჭავაძის პოეზიისა სატრფიალო-სამიჯნურო მოტივია.

ივ. გომართელი არ იზიარებს კ. აბაშიძის ამ მოსაზრებას, მისი გაგებით, მხოლოდ „ვარდ-ბულბულის გალობა“ დიდების გვირგვინს ვერ დაადგამს პოეტს, „შენ რომ ვარდბულბულს უგალობო თუნდაც ციური ხმითაც, ამით ცხოვრებას ვერას გაუადვილებ, გონებას ვერაფერს მისცემ, და თუ შენ ცხოვრების ბუდეთ სიყვარული მიგაჩნია, შენი გემოვნება იმას სრულებით არ ამტკიცებს, რომ დიდი ქეშმარიტების მქადაგებელი იყო“³.

ამრიგად, ივ. გომართელმა საკიროდ დაინახა ალ. ქავჭავაძის პოეზიის საფუძვლიანი შესწავლა და ყურადღების გამახვილება არა მხოლოდ სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოებებზე, არამედ იმ არსებითი ხასიათის მოტივებზედაც, რომლებსაც მეტი სარგებლობა მოჰქონდათ მკითხველი საზოგადოებისათვის და რისი ჩვენებაც ლიტერატურულმა კრიტიკამ ვერ მოახერხა. ლიტერატურული კრიტიკის ეს სუსტი მხარე ჰქონდა მხედველობაში აგრეთვე პეტრე უმიკაშვილს, როდესაც შენიშნავდა, რომ „სამწუხაროდ, ალ. ქავჭავაძის ლექსებში დღევანდელ მოკრიტიკე მწერლებს სამიჯნურო სიმღერების მეტი ვერაფერი ესმითო“⁴.

¹ „ქვალი“, 1889 წ., № 41.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ „მოამბე“, 1900 წ., № 1, განყ. 11, გვ. 3.

ლიტერატურული კრიტიკის წინაშე ივ. გომართელის მიერ დასმული ამოცანის გადაწყვეტა ი. ფანცხავამ სცადა და ამ მიზნით 1902 წელს გაზ. „ივერიაში“ გამოაქვეყნა ვრცელი რეცენზია ალ. ქავჭავაძის ლექსთა კრებულის 1881 წლის გამოცემის შესახებ. ფაქტიურად იგი წარმოადგენდა პირველ, ყველაზე უფრო ვრცელ კრიტიკულ წერილს ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაზე¹.

ი. ფანცხავა გულდაწყვეტილი აცხადებდა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში „ალ. ქავჭავაძისა და მისი თხზულებათა შესახებ სწორედ იმდენივე — არც მეტი, არც ნაკლები — ვიცი... რამდენიც ვიცოდით ამ ნახევარი საუკუნის წინათაც“.

ი. ფანცხავას მიუტევებელ ცოდვად მიაჩნია ის გარემოება, რომ 1881 წლის შემდეგ არ გამოცემულა ალ. ქავჭავაძის თხზულებანი, მითუმეტეს, რომ ეს გამოცემა „მეტად ულაზათოა... აღსავესება მრავლისაგან უმრავლესი კორექტურულისა და სხვა შეცდომებით“.

ი. ფანცხავა სხვა მოსაზრებებითაც ასაბუთებს ალ. ქავჭავაძის თხზულებათა გამოცემის აუცილებელ საჭიროებას. ამ მოსაზრებათა შორის საყურადღებოა შემდეგი: როგორც ცალკეული პირები, ასევე საგამომცემლო ამხანაგობანი და ორგანიზაციები, უნდა სცემდნენ ისეთ ნაწარმოებებს, „რომელთაც უეჭველათ ამჩნევიათ ნიშანწყალი ავტორის ხელის სიფაქიზისა და ღრმა აღმაფრენისა. ამ მხრით ალ. ქავჭავაძეს არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს“².

გამომცემლებმა 1881 წელს გამოსცეს მხოლოდ პირველი ნაწილი ალ. ქავჭავაძის თხზულებათა. ნავარაუდევია იყო მეორე ნაწილის გამოცემა, რომელშიც უნდა შესულიყო დრამატული ნაწარმოებნი, მაგრამ ეს დაპირება არ შესრულებულა.

¹ იხ. გაზ. „ივერია“, 1902 წ., №№ 12, 17, 22, 24, 27, 29 და ი. ს. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 219—270.

² ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 222.

ვინაიდან ამჟამად ხელთ გვაქვს ალ. ქავჭავაძის დრამატული ნაწარმოებნი და აგრეთვე „აღმოჩენილია იმაზე მეტი რიცხვი წერილი ლექსებისა, რაც პირველ ნაწილშია დასტამბული“, ამიტომ „სავალდებულოა, უეჭველად დაისტამბოს ალ. ქავჭავაძის ყოველგვარი ნაწარმოები, ნათარგმნი იქნება იგი, თუ ორიგინალური... ასეთი ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები, მგონია, განძათ უნდა იქნას დასახული ჩვენი მწერლობისათვის“¹.

ალ. ქავჭავაძის ნაწარმოებთა გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის დაცვისა და ხალხში მისი გავრცელების თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით დღეს, — აღნიშნავს ი. ფანცხავა, — როდესაც ქართულ ენას არ ასწავლიან სკოლებში და როდესაც დავიწყებას ეძლევა ნამდვილი ქართული სიტყვები, რომელთა ადგილს იკავენენ უცხოური სიტყვები და პროვინციალიზმები, დროა შევაჩეროთ მათი შემოტევა. უცხო ენისა და პროვინციალიზმის გავლენას „მშობლიური ენა არ გავაქეღვიოთ“. ამისათვის კი საჭიროა ხალხში გავრცელდნენ იმ მწერალთა ნაწარმოებნი, რომელთა ქართული ენის სიმშვენიერე, მისი სინარნარე და სილიადე ზედმიწევნით შეუსისხლ-ხორცებიან. ამ მხრივაც ხომ ალ. ქავჭავაძეს უკანასკნელ ადგილს ვერ დავუთმობთ?!²

ალ. ქავჭავაძის თხზულებათა მეორე გამოცემა საჭიროა იმიტომაც, რომ „პირველ გამოცემაში ბევრი ლექსის სათაური მკითხველისათვის სრულებით გაუგებარია... სათაურთა გაუგებრობა მკითხველს აშინებს და სურვილს უსპობს ალ. ქავჭავაძის ლექსები წაიკითხოს“. მეორე გამოცემისათვის საჭიროა ამ სათაურთა გამარტივება, ანდა მათი სრულიად ამოგდება.

რაც შეეხება ცალკეულ სიტყვებს ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში, ი. ფანცხავას მართებულნი შენიშვნით, ზოგი მათგანი გაუგებარია, საშუალო მკითხველს ალ. ქავჭავაძის მიერ ნახმარი სიტყვების ერთი ნაწილი არ ესმის, ამიტომ „საკვი-

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 225.

² იქვე, გვ. 222.

როა და ფრიად საჭიროა, მკითხველს უეჭველად განუშარტოთ მწერლის მიერ ხმარებული ცნებანი და სიტყვანი, თორემ ყოველ მკითხველს როდი შეუძლია ლექსიკონები იქონიოს და ამ სიტყვათა განმარტების ძებნაში თვალის ჩინი გაიწყალოს?«¹

იმ მიზნით, რომ მკითხველთათვის გაეადვილებინა ალ. ჰავკავაძის ლექათა კითხვა-გაგება, ი. ფანცხავა შეეცადა მოეცა ზოგიერთი სიტყვის განმარტება, „იმ რიგით, რა რიგზეც ეს სიტყვები შეხვდება მკითხველს თვით წიგნაკში“ (1881 წ. გამოცემაში). ი. ფანცხავამ მართლაც მოგვცა 35 სიტყვის განმარტება, მათ შორის ძველ ქართულში ხმარებული 25 სიტყვა განმარტა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ხმარებული სიტყვებით, ორი სიტყვა—თანამედროვე ქართულით, ხოლო სიტყვის მნიშვნელობის უფრო ნათელსაყოფად იქვე მოგვცა მისი რუსული თარგმანიც, 7 სიტყვას კი თანამედროვე ქართულში შესატყვისი ვერ მოუძებნა და მათი რუსული თარგმანი წარმოადგინა.

„რიგოლეტოს“ ფსევდონიმით ი. რ. ევდოშვილი, რომელიც მაღალ შეფასებას არ აძლევდა ალ. ჰავკავაძის ენას, აღშფოთებული გამოეხმაურა ი. ფანცხავას მიერ ალ. ჰავკავაძის ნაწარმოებთათვის ლექსიკონის შედგენის ცდას. ი. ფანცხავა ამბობს, —წერს ი. რ. ევდოშვილი, —რომ რადგან ენა მეტის მეტად გაუგებარია, ამიტომ კარგი იქნება შევეუდგინოთ ალ. ჰავკავაძის თხზულებას მეორე თხზულებაც, ანუ ე. წ. ლექსიკონი, ანუ გასაღები ჩიქორთული ენისაო. კარგი და პატიოსანი! შრომა პირველს თითონვე უკისრია, უთარგმნია ზოგიერთი სიტყვები და მოსალოდნელი იყო გვითარგმნიდა ქართულად... მაგრამ ქართულის ასახსნელად (ქართული კია?) ქართული ველარ უპოვია და რუსულს დაქიდებია. ასე რომ რომელი ქართველიც მოისურვებს ალ. ჰავკავაძის ლექსების წაკითხვას ქართულ ენაზე დაწერილს, მან ჯერ უნდა შეისწავლოს რუსული, რუსულის საშუალებით ქართული და ბოლოს კი ალ. ჰავკავაძის ლექსები“².

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903, გვ. 224.

² „კვალი“, 1902 წ., № 4, გვ. 72—73.

ამ შემთხვევაში ირ ევლოშვილი მხოლოდ ნაწილობრივ იყო მართალი; ი. ფანცხავას ალ. ჭავჭავაძის მიერ ნახმარ გაუგებარ სიტყვათა ქართული განმარტებანი უნდა მოეცა და არა მხოლოდ რუსული, ხოლო რაც შეეხება ლექსიკონის შედგენის აუცილებლობის საკითხს ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულისათვის, იგი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა და ამ მხრივ ი. ფანცხავა უდავოდ სწორად იქცეოდა. ვფიქრობთ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ი. ფანცხავა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შემოიტანა ეს მეტად სასარგებლო ღონისძიება ძველი დროის მწერალთა ნაწარმოებების სრულყოფილად გაგებისათვის.

ი. ფანცხავა უდიდეს მნიშვნელობას აძლევს ბიოგრაფიულ ცნობებს მწერლის შემოქმედების შესწავლის¹ და გაგების საქმეში. მისი აზრით, თუ კრიტიკოსმა მხოლოდ მწერლის ნაწარმოებებით იხელმძღვანელა, მაშინ „ავტორის შესწავლას ცალ-კერძობა დაემჩნევა“. ი. ფანცხავა უკმაყოფილოა იმ გარემოებით, „რომ დღემდე არ მოგვეპოვება ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფია, მის შესახებ არა გვაქ სხვა და სხვა მოგონებანი, ვიცით მხოლოდ მისი ცხოვრების ზოგი გარეგანი ფაქტი და გვაქვს ერთად ერთი წიგნაკი, რომელშიც ალ. ჭავჭავაძის ვითომ და ბიოგრაფიაა მოთხრობილი, ნანდვილად კი ეს წიგნაკი გაბმული ლანძღვაა იმ კაცისა“¹.

ამ ხარვეზის ამოსავსებად, კერძოდ, დასამტკიცებლად, „რომ ჭავჭავაძე არა თუ შესანიშნავი პოეტი და ხმა-ტკბილი მგოსანია, არამედ მაშინდელ საქართველოში პირველი საზოგადო მოღვაწეც ყოფილა“, — ი. ფანცხავა შეეცადა მოეცა რამდენიმე ცნობა პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობიდან.

ი. ფანცხავას მიერ მოწოდებული ბიოგრაფიული ცნობები უდავოდ საყურადღებოა, ბევრი მათგანი ეყრდნობა მტკიცე ფაქტიურ მასალას და უცვლელად არის გაზიარებული ალ.

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 228. ამ შემთხვევაში ი. ფანცხავას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ხ. კიკინაძის წიგნაკი „ბესიკი, თ. ალ. ჭავჭავაძე და თ. გრ. ორბელიანი“.

ქვეყნის ცხოვრებისა და შემოქმედების თანამედროვე მკვლევართა მიერ.

ზოგადი ბიოგრაფიული ცნობების მოწოდების შემდეგ, ი. ფანცხავა უშუალოდ გადადის ალ. ქვეყნის შემოქმედების განხილვაზე. მან სასტიკად გაილაშქრა იმ კრიტიკოსთა წინააღმდეგ, რომელთა „წარმოდგენით ალ. ქვეყნის სარწმუნო ლექსების მოხზველია, მეტი არაფერი“. იგი შეეკამათა იმ კრიტიკოსებსაც, რომელთა „აზრით ალ. ქვეყნის ლექსებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც ესთეტიკური და არც ლიტერატურული. ამიტომ ეს უმეტესობა ათვალწუნებით უტკერის ალ. ქვეყნის და აბუჩათ იხსენიებს“¹. ი. ფანცხავას მართებული შენიშვნით, ზოგიერთი „უფიციკრიტიკოსის“ თავხედობა იმ ზომამდეც კი მიდის, რომ „საჯაროდ აცხადებენ ალ. ქვეყნის ლექსები საზოგადოებას ჰრუენის და სულიერათ აღარიბებსო“.

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „ის მწერალი, ის მგოსანი, რომელიც ჩვენს კრიტიკანებს ასე აბუჩათ ჰყავთ აგდებული, ხალხს ახსოვს და დღემდე არ დავიწყებია“, მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, ქირში თუ ვარამში, ლხინში თუ მხიარულებაში ხალხი ალ. ქვეყნის ლექსებსა მღერის. მგოსნის ხსოვნა ვერ აღმოფხვრეს და ვერ დაჩრდილეს ისეთმა ნიჭიერმა მწერლებმაც კი, როგორცაა გრ. ორბელიანი, ილ. ქვეყნის და აკ. წერეთელი. ხომ უზნეობა იქნება „ხალხის სატრფიალო საგანს უგულოთ მოვეპყრათ?“ მაგრამ იქნება ხალხი ცდება? არა, ხალხი მართალია; ამას ადასტურებს ის ბრწყინვალე შეფასება ალ. ქვეყნის პოეზიისა, რომელიც მოგვცეს ხალხის სულითა და გულის საუკეთესო მცოდნე პოეტებმა ილ. ქვეყნის და აკ. წერეთელმა. „საფიქრებელი იყო, რომ ამ ორი მგოსნისა, ამ მთელი ერის სათაყვანებელი და საყვარელი პოეტების აზრი იქნებოდა მიღებული საზოგადოების მიერ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა“².

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 235.

² იქვე, გვ. 237.

ამის მიზეზს ი. ფანცხავა შემდეგ გარემოებებში ხედავს. პირველყოვლისა, — ჩვენი საზოგადოება აყოლილია მოდას და ეწაფება მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომელნიც „ЖИЗНЬ“-ის ან „НОВОЕ ВРЕМЯ“-ს მიერ არის მოწონებული¹.

მეორე მიზეზად ი. ფანცხავას ის გარემოება მიაჩნია, რომ მკითხველი საზოგადოების ერთ ნაწილს სწორად არ ესმის პოეტის პიროვნება და ხელოვნების ფუნქცია, რამაც გამოვლინება იმ უბადრუკ აზრში ჰპოვა, „რომ ვითომ პოეტი რაღაც არა-ჩვეულებრივი რამ არსება არის, ზეცით მოვლინებული და ვითომც ან თუ იტყვის რასმე იგი, ან თუ დასწერს რასმე, ყოველივე ეს უბრალო სიკვდილის შვილთათვის მიუწოდებელია“.

მკითხველ საზოგადოებაში, — შენიშნავს ი. ფანცხავა, — ფეხმოკიდებულია მეორე, ე. წ. „პლატონისებური შეხედულება პოეტზე“, რომლის მიხედვითაც პოეტი უბრალო საყვირია, დაუწერელი უსტარია, რომელიც მხოლოდ უზენაესის ნება-სურვილებს ამცნობს ხალხს, უზენაესისავე ჩაძახილის შედეგად. და ვინაიდან „რასაც პოეტი ამბობდა, ეს ყოველი დეითით შთანაბერი იყო, გამოთქმა იყო განგების ნებისა და სურვილისა... ამით მნიშვნელობა და დანიშნულება პოეტისა ერთბაშათ ზვიადდება, გადამეტებული ღირსება ეძლევა“².

ამ შეხედულებებს ი. ფანცხავა უპირისპირებს რუსთაველისა და აკ. წერეთლის შეხედულებას ხელოვნებაზე, პოეზიასა და პოეტზე; რუსთაველის ცნობილ სტროფს: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“, — ი. ფანცხავა ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს:

„თუ შაირობა, მელექსეობა, პოეტობა სიბრძნის ერთი დარგია, სიბრძნეს ხომ ნიჭი უნდა ბუნებრივი და გონება განსწავლული, მეტი არაფერი. აქ ძალთა-ძალსა და ზენარე-

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ თავისი წერილის ამ ადგილას ი. ფანცხავა იძლევა მ. გორკის შემოქმედების მეტად ყალბ შეფასებას; ამ შემთხვევაში გორკის მიმართ მას იგივე ემართება, რასაც სხვებს უსაყვედურებდა ალ. პუშკინის შემოქმედების დაფასების დროს.

² ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 238.

ბას, თუ სხვა ამგვარ ბუნდოვანებას ადგილი აღარა აქვს. მო-
შაირეც მეტი არაფერია“¹.

ეს აზრი უფრო ნათლად გამოსთქვა აკ. წერეთელმა:

„ეს გული სარკედ ქცეული
ბუნების ნათავედია:
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია.
ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია;
ან თვალს უნახავს და კეჟას
გაუხომ-აუწონია“.

ი. ფანცხავას სწორად ესმის აკ. წერეთლის ზემოთ მოტა-
ნილი სტროფის დედააზრი და დასძენს: „აკ ცხადად გარკვე-
ულია, რომ პოეტი უბრალო სიკვდილის შვილია და მისი
გული სარკვა მარად მღელვარე ცხოვრებისა, შვილია ჩვენის
დაუწყნარებელისა და დაუდგრომელი მდგომარეობისა. მგო-
სანი იმას ამბობს, იმას დასწერს, იმას გაძოსთქვამს, რაც ან
სხვისაგან გაუგონია, ან თვით შეუმჩნევია ცხოვრებაში საკუ-
თარი დაკვირვებით, ან რაც კეჟა-გონების ვარჯიშობის დროს
ფიქრის ამყოლ მგოსანს განუკერეტია საკუთარი გამქრიახო-
ბით². მგოსანს შესწევს უნარი ჩვენზე უკეთესად გამოთქვას
ესა თუ ის აზრი, ღრმად ჩაწვდეს ჩვენს გულს, ჩვენზე უფრო
ღრმად ჩაიხედოს ცხოვრებაში, „მგოსანი - ჩვენი „სულის
სულია“... ძალა პოეტისა, მისი შემოქმედების აღმაფრენისა
იმით განიზომება, თუ რა ძლიერებით, რა სიღრმით და შნოე-
ბით, რა გარეგანი ლაზათით გამოსთქვამს იგი ამ ჩვენი სულის
ვითარებას, თუ რაოდენი სინამდვილით აღწერს ჩვენს ცხოვ-
რებას და ბუნების მშვენიერებას“³.

ამ შეხედულებით ხელმძღვანელობს ი. ფანცხავა ალ. ქავ-
ქავაძის შემოქმედების განხილვის დროს. კრიტიკოსის აზრით,
ალ. ქავქავაძე სავსებით უპასუხებს პოეტის წინაშე დასმულ

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 239.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 240.

ყველა ამოცანას და გვევლინება წინამორბედად „წარსული საუკუნის ჩვენთა მგოსანთა გუნდისა“, მისი შემოქმედებით სარგებლობდნენ პოეტის თანამედროვე მგოსნები.

აღ. ქავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთ ნიშანდობლივ თავისებურებად ი. ფანცხავა მიიჩნევს მგრძნობელობას და მასზე აღმოცენებულ სიყვარულს. კ. აბაშიძის მსგავსად, ი. ფანცხავაც ფიქრობს, რომ თითქოს, აღ. ქავჭავაძე ადამიანის ცხოვრების ყველა პერიოდში მგრძნობელობის პრიორიტეტს აღიარებდეს გონების წინაშე. თუ რამდენად მართებულია ასეთი თვალსაზრისი, ამის შესახებ ჩვენ ზევით გვექონდა ლა. პარაკი, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამ შემთხვევაში საინტერესოა კრიტიკოსის შემდგომი მსჯელობა, რომლის მიხედვითაც მგრძნობელობაზე აღ. ქავჭავაძის შეხედულების განმგრძობად გრ. ორბელიანი გვევლინება, რომელთაც თავის მხრივ ნ. ბარათაშვილი უპირისპირდება. ბარათაშვილისათვის

„თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მაღლით დაუხსნელათ დამტკიცებულსა“.

ი. ფანცხავა აყენებს კითხვას: რომელია ამ ორ სხვადასხვა აზრთა შორის მართებული? ვინ ცდება: აღ. ქავჭავაძე და გრ. ორბელიანი, თუ ნ. ბარათაშვილი?

კრიტიკოსის აზრით, ორივე მხარე მართალია. იგი გამომდინარეობს ინგლისელი რეაქციონერი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის პერბარტ სპენსერის მსოფლმხედველობიდან, რომლისთვისაც, ი. ფანცხავას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთელი ჩვენი ცხოვრება და სიცოცხლე, სულიერი და ხორციელი, საზოგადოებრივი და პირადი წარმოადგენს მხოლოდ კრებულს რამდენთამე გრძნობათა და იდეათა“. შეგრძნებათა უპირატესობის აღიარებამ აზროვნების წინაშე, ი. ფანცხავა იდეალიზმამდე მიიყვანა და ყალბი დებულება წამოაყენებინა.

აღ. ქავჭავაძის დამსახურებად კრიტიკოსი სწორედ იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ პოეტი მგრძნობელობის უშუა-

ლო დახმარებით სწვდება უძლიერეს და უმაღლეს მისწრაფებებსა და საწადელს, რასაც მოაქვს პირადი სიტკბოება ადამიანისათვის.

მაგრამ კრიტიკოსის გაგებით, „სრული სიმართლე უძევს საძირკველათ აგრეთვე ნ. ბარათაშვილის აზრსაც“. მართალია, გრძნობელობა განსაზღვრავს აზროვნებას, მაგრამ გრძნობა თავისთავად „მეტად ცვალებად რასმე წარმოადგენს...¹ ამიტომ ცხოვრებასა და სიცოცხლეს რომ აზრიანობა რამ მიეცეს, სიტკბოება რომ უცები, სიზმარებზე ჩქარა წარმავალი არ იყოს, საჭიროა ყოველ ჩვენ გრძნობას, ყოველ ჩვენს წადილს ხანიც მიემატოს, ხანგრძლივობა ემჩნეოდეს. აი ეს ელემენტი, ეს შორს-მკვრეტელობა აკეთილშობილებს გრძნობას“². თუ გგრძნობელობას მოაქვს პირადი სიამოვნება, სულიერი მშვენიერება საზოგადოებრივი ბედნიერების მომნიჭებელია, ამიტომ „ეს ორი ნაკადული, ეს ორი ანკარა წყარო,—გრძნობელობა და მშვენიერი სული—რომელმაც იმ თავიდანვე ჩვენს მწერლობაში თავი იჩინა, უნდა შეერთდეს, ერთმანეთს შეერიოს და ერთმანეთს გადაეწნას“³. ასე მსჯელობს ი. ფანცხავა.

მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა განყენებული, იდეალისტური ხასიათის მსჯელობასთან გვაქვს საქმე.

ი. ფანცხავას შეეძლო სცოდნოდა, რომ „ნივთიერი სამყარო, რომელსაც გრძნობით აღვიქვამთ და რომელსაც თვითონ ჩვენ ვეკუთვნით, არის ერთადერთი ნამდვილი სამყარო... ჩვენი შეგნება და აზროვნება, რა გინდ ზეგრძნობადიც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, წარმოადგენს ნივთიერ სხეულებრივ ორგანოს პროდუქტს, ტვინის პროდუქტს. მატერია არ არის სულის პროდუქტი, თვით სული კი არის უმაღლესი

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ი. ფანცხავა ერთმანეთთან აიგივებს და ერთმანეთში ურევს ცნებებს: „შეგრძნება“ და „გრძნობა“, რითაც გამოუვალ წინააღმდეგობაში ვარდება.

² ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 244.

³ იქვე.

პროდუქტი მატერიისა“¹, რომ მატერია, ბუნება, ყოფიერება, ფიზიკური არის პირველადი, ხოლო სული, ცნობიერება, შეგრძნება, ფსიქიური—მეორადია (ვ. ლენინი).

ი. ფანცხავა არ უარყოფს სატრფიალო მოტივის არსებობას ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, პირიქით, „ჩვენ მწერლობაში,—აღნიშნავს კრიტიკოსი,—აღ. ჭავჭავაძეს პირველი ადგილი უჭირავს ეშყის გამოხატვაში, ამ ეშყის სხვა-და-სხვა გვართ აღწერაში“, მაგრამ მისი ლექსები საარშიყო ნაწარმოებებს კი არ წარმოადგენს, ისინი მგრძნობელობის ძლიერი გამომხატველი ლექსებია; საერთოდ, ალ. ჭავჭავაძემ მგრძნობელობა კულტათ გადააქცია და მისი სრული და ზედმიწევნილი მღერალი და გამომთქმელი შეიქნა“².

ალ. ჭავჭავაძის წარმოდგენით,—ფიქრობს ი. ფანცხავა,—მგრძნობელობა და მშვენიერება ცალ-ცალკე დამოუკიდებლად არსებობენ, ვიდრე ერთმანეთს არ შეხედებიან. საკმარისია მგრძნობელობის მოშვებულ და მოდუნებულ სიმებს ოდნავ შეეხოს მშვენიერება, რომ წარმოიქმნას სიყვარულის ძლიერი სიმფონია. პოეტისათვის მშვენიერება განუყენებელი არარაობა კი არ არის, არამედ რეალურად არსებული, „თვალით დასანახი, ხორც-ქმნილი სრული არსებაა“. და ალ. ჭავჭავაძესაც, კრიტიკოსის მართებული შენიშვნით, მეტად ეხერხება მშვენიერების უნაკლო აღწერა.

მშვენიერების ტრფიალებით შეპყრობილი პოეტი თავდავიწყებამდე მიდის, სიყვარულის ძალა „აცოცხლებს, ასულდგმულებს მგოსანს, მის სიცოცხლეს აცისკროვნებს და მას აღამალლებს ხოლმე, რადგან ანიკებს შვებასა და სიამეს“³.

ი. ფანცხავამ შენიშნა, რომ ალ. ჭავჭავაძე, „სამხიარულო ლექსების დამწერი და მღერალი, ამავე დროს „ქმუნვის მახვილით“ არის განგმირული“, რომ ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო პოეზიიდან მკვეთრად გამოსკვივის სევდა და ნალველი. კრიტიკოსის აზრით, ერთი შეხედვით ამ შემთხვევაში თითქოს

¹ კ. მარქსი, რჩ. ნაწერები, ტ. 1, გვ. 332.

² ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 244—245.

³ იქვე, გვ. 249.

აღ. ქავჭავაძის პოეზიის ორმაგ ბუნებასთან უნდა გვეკონდეს საქმე, ასე ფიქრობს ზოგიერთი მკითხველი და ზოგიერთი კრიტიკოსიც, „მაგრამ ეს აზრი, ეს შეხედულება უსაფუძვლო და შეუწყნარებელია“.

სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ალ. ქავჭავაძის კმუნვისა? ამ კითხვაზე კრიტიკოსი შემდეგ პასუხს იძლევა: „ალ. ქავჭავაძის კმუნვა შედეგია მისივე მგრძნობელობისა“, ის ძლიერი სევდა ნალველი, ის ხელშესახები კმუნვა, რომელიც ალ. ქავჭავაძის სატრფიალო ლირიკას ახასიათებს, შედეგია „იმ დაუკმაყოფილებელი ტრფიალებისა, რომელშიც პოეტმა ვერ შთაწურა სრულებით თავისი გრძნობა“¹. დაუკმაყოფილებელი ტრფიალების გრძნობის სამაგალითო განსახიერება, კრიტიკოსის მართებული შენიშვნით, პოეტის მიერ წარმოდგენილია ლექსში „კმუნვის მახვილი“. მაგრამ ეს კმუნვა არ არის სკეპტიკური ურწმუნობა, არ არის სულიერი ობლობა, მათ შორის არსებითი სხვაობაა. ტრფობის შედეგად წარმოქმნილი სევდა წარმატებულია, დროებითია, იგი მზიარულებით შეიცვლება, თუ კვლავ მოახლოვდა საგანი ტრფობისა, „სულის ობლობა კი მუდმივი და განუწყვეტელი რწმენაა ადამიანისა და ბუნების შესახებ“. არის თუ არა დამახასიათებელი სულიერი ობლობა ალ. ქავჭავაძისათვის? კრიტიკოსი ამ საკითხს არც სვამს, მაგრამ ეს საკითხი კიდევ რომ დაეყენებინა, მისი შემდგომი მსჯელობის საფუძველზე პასუხი უდავოდ უარყოფითი იქნებოდა.

ი. ფანცხავა ფიქრობს, რომ მგრძნობელობის განუყრელი თვისებაა კმუნვა, მაგრამ ამავე მგრძნობელობის ასევე განუყრელ თვისებას წარმოადგენს აგრეთვე თავდავიწყებაც. ტრფიალების გრძნობით შეპყრობილი ადამიანი ხშირად მიმართავს ხოლმე თავდავიწყებას. ალ. ქავჭავაძისათვისაც, როგორც „ტრფობის ისრით განაწონი“ პიროვნებისათვის, უცხო არ არის თავდავიწყების გრძნობა, მაგრამ თავდავიწყების რამდენიმე სახეობა არსებობს, რომელთა შორის ალ. ქავჭავაძე ეტანება მხოლოდ ერთს, კერძოდ ლოთობას, რადგან პოეტი-

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 251.

სათვის „ლხინნი არიან კოდლის მრთელელებნი“¹. კრიტიკოსის აზრით, ლოთობა მგრძნობელობასთან განუყრელია, „რადგან მგრძნობელობა, ტრფიალება, ადამიანს განუწყვეტლივ როდი აკმაყოფილებს, კმუნვას ჰგერის, რომელიც არ აჩენს გარეთ ნიშანსა, შიგნით კი გულს მეტათ აოხრებს“². ი. ფანცხავა ფიქრობს, რომ ალ. ქავჭავაძე დაუკმაყოფილებელი ტრფიალების დასავიწყებლად ღვინოს ეწაფება, მასში სურს ჩაჰკლას გულის ვარამი.

ამაში ხედავს კრიტიკოსი პოეტის მიერ „ეშხის ყოველი მომენტის და ტრფობის ყოველი ელემენტის“ სიმართლითა და მწყობრად აღწერას მაღალი მხატვრული ოსტატობით.

ი. ფანცხავას აზრით, „აქ სჩანს სწორეთ მისი (ალ. ქავჭავაძის—ი. ბ.) დიდი ნიჭიც, მისი ძლიერი მგრძნობელობაც და ამითვე განიზომება მისი მნიშვნელობაც ქართულ მწერლობაში“³.

ვფიქრობთ, სავსებით ნათელია, თუ რა ზომამდე ცდება ი. ფანცხავა. ჩვენ ზევით გვქონდა საშუალება გვეჩვენებინა ალ. ქავჭავაძის შეხედულება ღვინოზე საერთოდ და კერძოდ ლოთობაზე, რაც ი. ფანცხავას შეხედულებათა საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

ალ. ქავჭავაძე ეშხისა და ტრფიალების მგზნებარე მომღერალია. ამ თემატიკურ რკალში შემავალი ნაწარმოებნი მაღალი მხატვრული ოსტატობით ხასიათდებიან. ტრფობის ეშხით აგზნებულმა პოეტმა მართლაც იცის თავდავიწყება, მაგრამ იგი არასოდეს არ ჰკარგავს ზომიერების გრძნობას და არასოდეს არ ეშვება ლოთობის გამაბრუებელ წუმპეში.

ალ. ქავჭავაძე საკმაოდ დიდი ფსიქოლოგია, კარგად იცნობს ადამიანის სულის მოძრაობას, მას მართლაც დიდი სი-

¹ ი. ფანცხავას საერთოდ მეტად უცნაური „თეორია“ აქვს შემუშავებული ლოთობის შესახებ.

² ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 255.

³ იქვე, გვ. 256.

მართლით და მწყობრად აქვს გადმოცემული „ყოველი მომენტი ეშხისა, ყოველი ელემენტი ტრფობისა“, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორც ი. ფანცხავას ესმის.

ალ. ქავჭავაძემ თავის სატრფიალო ლექსებში შესძლო არა მხოლოდ სატრფოს ხორციელი თუ სულიერი მშვენიერების წარმოსახვა, არამედ მოგვცა სიყვარულის გრძნობის წმინდა რომანტიკული გაგება და შეეხო სოციალურ-საზოგადოებრივ საკითხებსაც, რითაც სატრფიალო ლირიკას უაღრესად მოქალაქეობრივი ხასიათი მისცა.

აქ სჩანს სწორედ ალ. ქავჭავაძის დიდი ნიჭი და ამითაც განიზომება მისი მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ი. ფანცხავამ, ალ. ქავჭავაძის კმუნვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ის გარემოება მიიჩნია, რომ პოეტმა ვერ დაიკმაყოფილა ტრფიალების გრძნობა. მაგრამ კრიტიკოსმა პოეტის კმუნვისა და სევდა-ნაღველის სხვა მიზეზიც შენიშნა. ეს არის „მისი ერის უბედურება და პატივ-აყრა“¹.

ი. ფანცხავა არ ეთანხმება იმ კრიტიკოსებს, რომელთა აზრითაც „ალ. ქავჭავაძე არც თუ რას ფიქრობდა თავის სამშობლოს ბედზე და მას ვითომც არც ერთხელ არ ჩვენებია სული მაცდური, რომელსაც იგი არ განეცადოს და არ ეგრძნობიებინოს დიდი საკაცობრიო სევდა გულისა, სულის მქეჯნავი ურწმუნოება და არ ჩაეწვეთებინოს აზრი ადამიანის ცხოვრების არარაობის შესახებ“².

გაილაშქრა რა მანამდე არსებულ ყალბ შეხედულებათა წინააღმდეგ, ი. ფანცხავამ პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით წამოაყენა რამდენიმე საყურადღებო დებულება, რომელნიც თითქმის უცვლელად არის გამეორებული თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის მიერ.

ალ. ქავჭავაძის ცრემლში ნალესი ნაღველის, მისი კმუნვისა და სევდის მიზეზს ი. ფანცხავა, სავსებით მართებულად, პოეტის ეროვნულ თვითშეგნებაში ხედავს.

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, გვ. 256.

² იქვე.

კრიტიკოსი ხაზს უსვამს ღრმა პატრიოტული გრძნობის არსებობას ალ. ჭავჭავაძის არსებაში, მის განუზომელ სიყვარულს სამშობლოსადმი, იმ სიამოვნებისა და ამავე დროს სევდიან გრძნობას, როპელსაც პოეტში წარსულის მოგონება იწვევს. გულისყურით ჩაუკვირდა რა ალ. ჭავჭავაძის პატრიოტულ ლირიკას, ი. ფანცხავამ ის გარემოებაც შენიშნა, რომ, მართალია, პოეტი მთელი არსებით ეტრფის საოცნებო წარსულს, მაგრამ საეხებით შეგნებული აქვს, რომ „ამ ცხოვრებისა და ნუგეშის მობრუნება შეუძლებელია“ და „მგოსანს ხსოვნით-ღა უნდა დაიტკბოს წყლული გულისა“¹.

ი. ფანცხავამ იმ გარემოებაზეც მიაქცია მკითხველთა ყურადღება, რომ საოცნებო წარსულის მოგონება და მითიტკობა მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებას არ წარმოადგენს. ისტორიულ წარსულს მაღალ მხატვრულ პოეტურ სახეებში აცოცხლებდნენ ალ. ჭავჭავაძის შემდეგდროინდელი მგოსნები: ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი. ი. ფანცხავა ფიქრობს, რომ მსგავსად რომანტიკოსებისა, ილია და აკაკი „ამა ცხოვრებით იმედ-გაცრუებულნი უცხო მხარეს ოცნების სამთავროში, სიზმარეთში“ უწყებენ ძებნას.

რა თქმა უნდა, ასეთი შეხედულება მართებული არ არის. ჯერ ერთი, ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლისათვის იმედ-გაცრუებულობა არ არის დამახასიათებელი და მეორეც— მათი დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი არსებითად განსხვავდება ამავე წარსულისადმი რომანტიკოსების დამოკიდებულებისაგან.

საერთოდ, სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეული სევდანალველი დამახასიათებელია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის და ი. ფანცხავა ალ. ჭავჭავაძის დამსახურებას იმაშიც ხედავს, რომ იგი პირველი პოეტი იყო თანამედროვეთა შორის, „რომელმაც ეს ახალი მოტივი შემოიტანა ჩვენს პოეზიაში, განიცადა რა დროისა და ჟამთა ვითარების ზე-გავლენა“².

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 257.

² იქვე, გვ. 259.

გარდა სამშობლოს სიყვარულისა და „წარსული ცხოვრების მოგონებით გულდათუთქულობისა“, ი. ფანცხავა აღ. ქავკავაძის სევდიანობის მიზეზს სხვა გარემოებაშიც ხედავს. პოეტის გულს, — წერს კრიტიკოსი, — ძალზე სერავს აგრეთვე საკაცობრიო სევდიანობა, ნაღვლიანობა და რწმენა, რომ ადამიანის ცხოვრება დაუდგრომელი, წარმავალი და ცვალებადია¹.

კრიტიკოსის მართებული შენიშვნით, აღ. ქავკავაძე აღშფოთებულია მისი ეპოქის სოციალური უკულმართობით, ადამიანთა ცხოვრების წარმავალობით, ადამიანის პიროვნების დაკნინებით, რომელიც ქცეულია „ბოროტების და სიცრუის ქურად“.

ი. ფანცხავამ, პირველმა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, სწორად შენიშნა, რომ ლექსში „ვაჰ სოფელსა ამასა“ პოეტის „შორს-მკვრეტელობა ცხადად სჩანს. იგი უტყუარი ქეშმარიტებით აღიარებს, რომ

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორებას“.

ამ სტრიქონებმა და საერთოდ პოეტის მემკვიდრეობის შესწავლამ ი. ფანცხავას საშუალება მისცა დაენახა აღ. ქავკავაძის შემოქმედებაში ღრმა მოქალაქეობრივი გრძნობა, ზიზღი სოციალური უთანასწორობისადმი. „აღ. ქავკავაძე, — წერს იგი, — მოქალაქეობრივი გრძნობით ყოფილა აღვსილი და წინააღმდეგი ბატონ-ყმობის სასტიკობისა და ადამიანთა საზიზღარი ურთიერთობისა. თუ გნებავთ, ჩვენს მწერლობაში ეს ერთად-ერთი მარგალიტია და წინამორბედი შემდეგი თაობის აღტყინებულისა და აღფრთოვანებულის გრძნობისა, იმ გრძნობისა, რომელიც ნეტარების ჟრუანტელს განიცდიდა ზოლმე, ხალხთ ბორკილის მტვრევის ხმა რომ ესმოდა“².

ვეფქრობთ, ამ შემთხვევაში ი. ფანცხავა საესებით მართალი იყო.

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 260.

² იქვე, გვ. 262.

საყურადღებოა, რომ ი. ფანცხავა ალ. ქავჭავაძის შემოქმედებას იზოლირებულად არ განიხილავს. იგი პოეტის ამათუ იმ ნაწარმოებს ხშირად ადარებს გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლექსებს და მათ შორის იდეურ მსგავსებას პოულობს. მაგალითად, ი. ფანცხავა მსგავსებას ხედავს ალ. ქავჭავაძის ლექსსა „ვაჰ სოფელსა ამას“ და ნ. ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ შორის, კერძოდ—მგოსანთა მიერ ხელმწიფეთა ფსიქოლოგიის შეფასების საკითხში. კრიტიკოსის მართებული შენიშვნით, „ალ. ქავჭავაძე გამოსთქვამს იმავე აზრს მეფეებსა და სახელმწიფოებზე, რა აზრიც გამოთქმული აქვს ნ. ბარათაშვილს“.

მართლაც, ამ თვალსაზრისით ალ. ქავჭავაძესა და ნ. ბარათაშვილს შორის განსაკუთრებული სიახლოვე იგრძნობა. ალ. ქავჭავაძის აზრით, „ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,

„არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრ-მრავლობენ, განდიდებისა სურვით“.

ასევე ფიქრობს ნ. ბარათაშვილიც:

„თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არლა არის სხვა რამ დიდება,
ჰშფოთვენ და დრტყინვენ და იტყვიან: „როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს“, და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..“

კრიტიკოსი ეხება რა ალ. ქავჭავაძის „გოგჩას“, მართებულად მიიჩნევს მას საკაცობრიო მოტივზე აგებულ ნაწარმოებად, რომელიც „თამამად შეგვიძლია დავეუპირისპიროთ ნ. ბარათაშვილის „ჩემს მერანს“. ერთიცა და მეორეც საზოგადო, საკაცობრიო მოტივით არის სულ ჩადგმული. ერთიც და მეორეც შეგვიძლია მსოფლიო ლიტერატურაში გადავიტანოთ და თავიც მოვიწონოთ“¹.

ი. ფანცხავასათვის შეუნიშნავი არ დარჩენილა არც ის მგზნებარე ოპტიმიზმი, რაც დამახასიათებელი იყო ალ. ქავჭავაძისათვის.

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, გვ. 262.

თვით პატიმრობის პერიოდშიც კი გასალკლდევებული პოეტის რწმენა „გულთ მაამი“ ჟამის აუცილებლობისა, საერთოდ ვაჟკაციური შეხედულება ცხოვრებაზე, „რომ ცხოვრება განვითარების გზას ადგია, ამიტომ ადამიანი უნდა კარგ მომავალს მოელოდეს“, კრიტიკოსმა ალ. ქავჭავაძის მთელი შემოქმედების საღ ნიშანდობლივ თვისებად მიიჩნია და ამ მხრივაც დაინახა მსგავსება ალ. ქავჭავაძესა და ნ. ბარათაშვილს შორის.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში კარგა ხანს იყო გავრცელებული მცდარი შეხედულება, რომ თითქოს „საქართველოს ბუნების მშვენიერება და ამ ბუნების მრავალფეროვანი მოხაზულობა პირველათ აწერილი აქვს მხოლოდ და მარტოოდენ გრ. ორბელიანსო“.

ი. ფანცხავა ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც გაილაშქრა ამ უმართებულო შეხედულების წინააღმდეგ და მოიტანა რა ვრცელი ამონაწერი ლექსიდან „კავკასია“, ცხადჰყო, რომ „ეს დიდებული სანახაობა კავკასიის ბუნებისა პირველათ ქალაქდზე ალ. ქავჭავაძემ და არა გრ. ორბელიანმა გადაიტანა“¹.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ი. ფანცხავას მიერ ზემოხსენებული ლექსის ბოლო ორი სტროფის გაგება და მის საფუძველზე ალ. ქავჭავაძის მრწამსის გამორკვევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით.

ი. ფანცხავა დადებით შეფასებას აძლევს საქართველოს რუსეთთან შეერთებას, რინაც ქართველობა ერთის მხრივ იხსნა სპარსელთა და ოსმალთა მიერ გაცამტვერებისაგან, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოს საშუალება მიეცა შესდგომოდა მყუდრო ცხოვრებას, ებრუნა როგორც კულტურული, ასევე ეკონომიური აღმავლობისათვის. კრიტიკოსის მართებული გაგებით, ასევე ესმის ამ ისტორიული ფაქტის მნიშვნელობა ალ. ქავჭავაძესაც: „მადლიანი გავლენა ამ ახალი წეს-წყობილებისა აქვს აღნიშნული ალ. ქავჭავაძეს ზემომოყვანილ ლექსში (იგულისხმება „კავკასია“—ი. ბ.) მან პირ-

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 266.

ველმა შეიგნო და ღირსეულათა¹ დააფასა ეს ვითარება და ასევე საზოგადოებასაც აუწყა², რომ „გაიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება, რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“.

ი. ფანცხავას ყურადღების გარეშე არ დარჩენია არც ის გარემოება, რომ ალ. ჭავჭავაძის შემდეგ ამავე საკითხს, ასევე პროგრესული თვალსაზრისით შეეხნენ გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. პირველი „სადღეგრძელოში“, — იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი მიძღვნილ ოდაში, ხოლო მეორე ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“.

ამრიგად, ი. ფანცხავამ პირველმა შენიშნა და მკვეთრად გაუსვა ხაზი იმ ნათელ და პროგრესულ აზრს რუსეთ-საქართველოს ურთიერთ დამოკიდებულების საკითხში, რაც დამახასიათებელი იყო ალ. ჭავჭავაძისათვის და საერთოდ ქართველი რომანტიკოსებისათვის. ეს გარემოება ი. ფანცხავას, როგორც კრიტიკოსის ნათელ ალლოზე მიუთითებს.

დასასრულ, კრიტიკოსი გაკვირვებით შეეხო ალ. ჭავჭავაძის ენასაც და მიიჩნია იგი უნაკლო „მშვენიერ ქართულად“, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე თავისი „სიმკვირცხლით, გამომეტყველებით და მოქნილობით“. „ყოველ გრძნობის, ყოველგვარი აზრისა და ფიქრის მთლიანად, უნაკლულთ და ზედ-გამოჭრილათ გამომთქმელია იგი ენა“. ვფიქრობთ, აქ ერთგვარ გადაქარბებასთან გვაქვს საქმე. ალ. ჭავჭავაძის ენაში რომ ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო, მაშინ ი. ფანცხავას აღარ უნდა დასჭირებოდა ლექსიკონის შედგენა პოეტის ნაწარმოებთა გასაგებად.

* * *

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ კრიტიკულ წერილებს შორის უდავოდ საყურადღებოა ილია ფერაძის ნარკვევი: „თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და

¹ ი. ფანცხავა, თხზულებანი, 1903 წ., გვ. 269.

შისი პოეზია¹. ამ მოკლე, მაგრამ საინტერესო წერილში კრიტიკოსი შეეცადა მოეცა ალ. ქავჭავაძის შემოქმედების დახასიათება, ეჩვენებინა მკითხველისათვის ის არსებითი და ძირითადი ნიშნები და მოტივები რაც ნიშანდობლივია ალ. ქავჭავაძის პოეზიისათვის.

მართალია, ზემოხსენებულ ნარკვევში კრიტიკოსმა რიგი საინტერესო და ორიგინალური მოსაზრებები წამოაყენა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მან უკრიტიკოდ მიიღო და გაიზიარა ის მცდარი შეხედულებანი, რომელნიც მანამდე იყო გამოთქმული ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ალ. ქავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ.

ილ. ფერაძე სავსებით სწორად მსჯელობს, როდესაც ალ. ქავჭავაძეს მიაკუთვნებს ქართველი თავადაზნაურობის იმ ნაწილს, რომელიც „სწავლა-განათლებას ეტანებოდა და იძენდა კეთილშობილურ აზრებს კაცთმოყვარეობის შესახებ“.

ქართველი თავადაზნაურობის ეს ნაწილი არ მისდევდა ლხინსა და ქეიფს, მის გულში ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი სევდიანობას, მისტიროდა დაკარგულ დიდებას და ნაციონალურ თავისუფლებას, ხმას იმალლებდა ყოველგვარი ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ, მაგრამ პრაქტიკულად მას არაფერი გაუკეთებია „დამონაევებულ გლეხთა სასარგებლოდ... მას ამგვარად აკლდა საქმიანობა, აზრების განხორციელება“².

ამ ჯგუფის უშესანიშნავეს წარმომადგენლებად ილ. ფერაძე მიიჩნევს ალ. ქავჭავაძეს და ნიკ. ბარათაშვილს, რომელთა შემოქმედებასაც მწუხარების ბეჭედი აზის. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსი მაინც პოულობს განსხვავებას ამ ორ მგოსანს შორის. ეს განსხვავება იმ გარემოებაში იჩენს თავს, „რომ ალ. ქავჭავაძის სევდის მიზეზი გამოურკვეველია, — მისი სულისკვეთება უფრო სასოწარკვეთილია, მისი სულიერი ბუნება „მგრძნობელობით“ გამსჭვალულია; ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდის მიზეზი უფრო გარკვეულია, მისი სუ-

¹ იხ. ჟურნ. „განათლება“, 1912 წ., № № 6 და 8.

² იქვე, № 6, გვ. 440.

ლის კვეთება—იმედ მოსილია, მისი სულიერი ბუნება მაღლა აყენებს გონიერობას¹.

როგორც ვხედავთ, აქ იმავე დებულების გამეორებასთან გვაქვს საქმე, რომელიც 1898 წელს განავითარა კ. აბაშიძემ თავის კრიტიკულ ნაშრომში ალ. ქავჭავაძის შესახებ. ჩვენ ზევით შეძლებისდაგვარად ნათელგვაყავით ამ დებულების მცდარობა და გამოვარკვეით, რომ ალ. ქავჭავაძის სევდის მიზეზი სავსებით გარკვეულია და რომ პოეტი არასოდეს არ მიდის სასოწარკვეთილებამდე, უიმედობამდე, ამის დადასტურებას მთელი მისი შემოქმედება წარმოადგენს.

თუ ამ შემთხვევაში ილ. ფერაძე, კ. აბაშიძის მსგავსად, უდავოდ ცდებოდა, სამაგიეროდ სწორ მოსაზრებას გამოთქვამდა, როდესაც აცხადებდა, რომ ალ. ქავჭავაძე „მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობის შემაერთებელი ხილიაო“². მართლაც, ბევრი რამ არის საერთო XVIII საუკუნის ქართველ მწერლებსა და ალ. ქავჭავაძეს შორის. ეს უკანასკნელი თავისი შემოქმედებით ამ ორი საუკუნის მიჯნაზე დგას. ხშირ შემთხვევაში იგი უცვლელად იმეორებს XVIII საუკუნის ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელ შტრიხებს, ხშირად კი იძლევა მათ შემდგომ განვითარებას, ქმნის სრულიად ახალ პოეტურ სახეებს—ახალი იდეებით გასხივოსნებულს.

ილ. ფერაძე აქვე იძლევა წამოყენებული დებულების შემდგომ განვითარებას და დასძენს: „რამდენათაც ის (ალ. ქავჭავაძე—ი. ბ.) მეთვრამეტე საუკუნის მწერალია, იმდენად ეტყობა რუსულ-ევროპული მწერლობის ზედგავლენა. ამ ორი მწერლობის გავლენის ელემენტები მოიძებნება მის ლექსებში“³.

აღმოსავლური (სპარსული) პოეზიის ელემენტები მართლაც მოიძებნება ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში. მაგ., მისი ლექსების გარკვეულ რაოდენობას სპარსულ თურქული სათაურები აქვს, მის პღეზიას ამჩნევია მუხამბაზური პოეზიის კვა-

¹ „განათლება“, 1912 წ., № 6, გვ. 441.

² იქვე.

³ იქვე.

ლი, მაგრამ არა შინაარსის, არამედ მხოლოდ გარეგნული ფორმის თვალსაზრისით. არის შემთხვევები, როდესაც ინტიმური გრძნობის გამოხატვისათვის პოეტი იყენებს აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს პოეტზე არა უშუალოდ აღმოსავლური პოეზიის გავლენასთან, არამედ XVIII საუკუნის ქართველ მწერალთა გავლენა იგრძნობა. კერძოდ, ალ. ჭავჭავაძე „ბესიკისა და ბესიკის ფრთის მწერალთაგან... იღებდა აღმოსავლური გზით მომდინარე მოტივებს და ლექსის თანრობლივ სტრუქტურულ მონაცემებს, ინტიმური გრძნობის გამოხატვისათვის შესატყვისს ფორმებს“¹, მაგრამ ხშირ შემთხვევაში პოეტი ბრმად კი არ იმეორებს მათ, არამედ ცდილობს მისცეს ორიგინალური, ნაციონალური სახე.

ამრიგად, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვის დროს ლაპარაკი სპარსული პოეზიის უშუალო გავლენაზე, თუნდაც ამ უკანასკნელის ელემენტების თვალსაზრისით მეტიმეტად უხერხულია.

რაც შეეხება რუსულ-ევროპული მწერლობის გავლენის საკითხს პოეტის შემოქმედებაზე, ამ შემთხვევაშიც თავისებურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. პოეტი რუსულ-ევროპული ლიტერატურის ბრმა მიმდევარი კი არ არის, როგორც ეს ზოგიერთს ეგონა, არამედ იგი ამ მდიდარი ლიტერატურული სალაროდან იღებდა მისთვის რაციონალურს, პროგრესულს და ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით იძლეოდა მის შემდგომ განვითარებას.

ილ. ფერაძემაც გაილაშქრა ლიტერატურულ კრიტიკაში გაბატონებული შეხედულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც ალ. ჭავჭავაძე აღიარებული იყო „სიყვარულის, სმისა და ქეთის მომღერალ“ პოეტად.

ილ. ფერაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკაში, რომელსაც ერთი შეხედვით თითქოს სალალობო ხასიათი ჰქონდა, დაინახა სევდა და გოდება მგოსნისა. მანვე, ერთ-ერთმა პირველთა-

¹ დ. გამეზარდაშვილი, ა. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, გვ. 226.

ვანმა გაუსვა ხაზი მოქალაქეობრივი გრძნობის არსებობას პოეტის შემოქმედებაში. „მის ლექსებში, — წერდა კრიტიკოსი, —სიყვარულს შეეხება თუ სამოქალაქო გრძნობას, გამოსკვივის ქართველ თავადაზნაურობის იმ შეგნებულ საუკეთესო ნაწილის გოდება, რომელიც კმაყოფილი არ იყო თავისი ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობისა“¹.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ალ. ქავჭავაძის შემოქმედების ძირითადი მოტივების გამორკვევის დროს ილ. ფერაძე დაეყრდნო პოეტისადმი მიძღვნილ ილ. ქავჭავაძის ლექსს. კრიტიკოსმა სწორად გაიგო ეს ნაწარმოები და ალ. ქავჭავაძის შემოქმედების არსებით ნიშნებად მიიჩნია სიყვარულის გრძნობის და განსაკუთრებით სიყვარულის ხორციელი მხარის შეუღარებლად გამოხატვა და სამოქალაქო მოტივები.

ამავე დროს, ილ. ფერაძემ მართებულად შენიშნა, რომ ალ. ქავჭავაძის პოეზია „არაა მის პირად სევდიანობასა და უბედურებაზე აღმოცენებული“... მის სევდას წარმოშობს საზოგადოებრივი სევდა, ის ასაზრდოებს მას, ის ურწებს აკვანს“².

თუ ამ შემთხვევაში კრიტიკოსი უდავოდ მართალი იყო, სამაგიეროდ ცდებოდა იგი, როდესაც იმეორებდა ი. ფანცხავას მოსაზრებას ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში რადიკალური პესიმიზმის არსებობის შესახებ. ჩვენ ზევით გვქონდა საშუალება გვეჩვენებინა ასეთი აზრის უსაფუძვლობა, ამიტომ აქ მასზე აღარ შევიჩერდებით.

ზოგადი მსჯელობის შემდეგ ილ. ფერაძე შეეცადა მოეცა ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში მის მიერ მიკვლეული ძირითადი მოტივების გარჩევა. პირველი საკითხი, რომელსაც კრიტიკოსი შეეხო, ეს არის „სიყვარული და სევდა“ ალ. ქავჭავაძის პოეზიაში.

კრიტიკოსი სწორად შენიშნავს, რომ სიყვარული, ალ. ქავჭავაძის გაგებით, უძლიერესი გრძნობაა, რომ „პოეტის აზრით, სიყვარული ისეთი რამეა, ურომლისოდ კაცი ემსგავსება უსუ-

¹ „განათლება“, 1912 წ., № 6, გვ. 441.

² იქვე, გვ. 442.

ლო გვამს და მისთვის სხვა ნიქთა ქონება ხელსაყრელი აღა-
რაა¹. კრიტიკოსმა ისიც შეამჩნია, რომ სიყვარულის გრძნო-
ბით გამსკვალული პოეტის და ბუნების ურთიერთობა მეტად
თავისებურია. თუ პოეტის გული „გამთბარია სიყვარულით,
ბუნებაც უცინის მას; ბუნება მოღუშულია, თუ მისი გული
სევდით აღვსილია სატრფოს გამო“².

სევდიანობა დამახასიათებელია ალ. ჭავჭავაძისათვის. ეს
სევდა ზოგჯერ გამოწვეულია სატრფოს გულცივობით, ზოგ-
ჯერ ცხოვრების მწარე დასასრულზე ფიქრით, ზოგჯერ კი სამ-
შობლოს მძიმე მდგომარეობით.

კრიტიკოსი ფიქრობს, რომ ძლიერმა სევდამ ალ. ჭავჭავა-
ძე უიმედობამდე მიიყვანა, ხოლო „უიმედობით გულგატეხი-
ლი პოეტი მიმართავს თავის დამავიწყებელ ქეიფს და ქეიფის
საუკეთესო წყაროს — ღვინოს... ღვინო და ქეიფი, პოეტის
აზრით, გაფანტავს ადამიანის სევდებს“³. ილ. ფერაძე აგრე-
თვე ფიქრობს, რომ „ბევრნაირს სარგებლობას აძლევს, პოე-
ტის აზრით, ადამიანს ღვინო და ამიტომ პოეტი გვირჩევს
„დავეხსნათ ცოდნის ძებნასა: ღვინო სჯობს ყოველს მცნება-
სა“⁴. ამ მხრივ, კრიტიკოსის აზრით, ყველაზე უფრო საყუ-
რადლებოა ლექსი „ლოთებო, ნეტავი ჩვენა!“, რომელშიც
პოეტი თავდავიწყებისაკენ მოუწოდებს ადამიანს და გამო-
ხატავს რადიკალურ პესიმიზმურ განწყობილებას. ილ. ფერა-
ძე ფიქრობს, რომ ამ ნაწარმოებში პოეტი გამოხატავს ერთი
მხრივ თავის ეპოქის ქართველობის მრწამსს, ხოლო მეორე
მხრივ ხარკს აძლევს თავისი დროის მოთხოვნილებას.

ცხადია, ილ. ფერაძე ცდებდა, როცა ალ. ჭავჭავაძის
შემოქმედებაში ხაზგასმით მიუთითებს უიმედობის მომენტ-
ზე, რადგან, როგორც ვიცით, თავისი ცხოვრების არც
ერთ პერიოდში ალ. ჭავჭავაძე უიმედობამდე არ მისულა..

¹ „განათლება“, 1912 წ., № 8, გვ. 593.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 594.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკოსი საბოლოოდ ვერც ახერხებს ამ მოსაზრების თანმიმდევრულად დაცვას. ეხება რა სამოქალაქო მოტივს ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში, იგი აღნიშნავს, რომ ხანდახან პოეტს, მართალია, მოკლე დროით, მაგრამ მაინც ესტუმრება ხოლმე იმედი, იმედი „იმ გაზაფხულისა, რომელსაც პოეტთან ერთად მთელი ერი მოელის“, რომ „მისი პიროვნული და ეროვნული სახე ერთი და იგივეა“.

ილ. ფერაძე ცდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ალ. ქავჭავაძეს მიაწერს მცდარ შეხედულებას ღვინოსა და ქეიფზე, თითქოს პოეტისათვის ღვინო წარმოადგენდეს ადამიანის სევდის გამფანტველ საშუალებას და ამიტომ თრობასა და თავდავიწყებისაკენ მოუწოდებდეს ადამიანს.

ამგვარი შეხედულება ალ. ქავჭავაძისათვის სრულიად უცხოა. ღვინოსა და დროსტარებისადმი მისი დამოკიდებულება სავსებით ზომიერია.

სამოქალაქო მოტივების არსებობას ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში ილ. ფერაძემ საკმაოდ მკვეთრად გაუსვა ხაზი, რაც მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ილ. ფერაძე შეეხო ალ. ქავჭავაძის რვა ნაწარმოებს: „ვაჰ დრონი, დრონი“, „ელების კარი გაზაფხულისა“, „უწყალო სენმან“, „ჰოი ვით გვემტყუნვა“, „ისმინეთ მსმენნო“, „კაეკასია“, „ვაი სოფელსა ანასა“ და „გოგჩის ტბა“.

ზემოხსენებულ ნაწარმოებთა განხილვა სრული არ არის, მაგრამ ის მოსაზრებანი, რაც წარმოდგენილია კრიტიკოსის მიერ, მთელ რიგ შემთხვევაში საყურადღებოა. მისი მართებული შენიშვნით, ამ ნაწარმოებებში ალ. ქავჭავაძემ გამოხატა არა მხოლოდ პირადი გრძნობები და განცდები, არამედ ხალხის სურვილები და მისწრაფებანი. ალ. ქავჭავაძემ შესძლო საკმაოდ მკვეთრად გამოეხატა „იმ გარეშე ძალთა ოინები და ხრიკები, რომელთ მეოხებით საქართველოს ხშირად ტანჯვა წვალება ევლინებოდა“. ილ. ფერაძის მართებული შენიშვნით, ალ. ქავჭავაძემ შესძლო ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ „ბოროტი ძალები იმ თავითვე სდევნიდნენ ქარ-

თველ ხალხს. ისინი სთესდნენ შურსა და მტრობას, რომელთა მოხებით მოღალატეთა და მამუზღარათა რიცხვი აუარებელი იყო: „ერთი წითელი ფოლაქის და ორი გროშისათვის ღვიძლს მოძმეებს არ დაინდობდნენ“¹.

ილ. ფერაძემ ალ. ქავჭავაძის უდიდეს დამსახურებად ის გარემოებაც მიიჩნია, რომ პოეტი გაერკვა XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში, მან დაინახა ის ნათელი სხივი განათლებისა, რომელმაც უხვად შემოაშუქა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ. „განათლებაშია ქართველთა ხსნა, მასშია მათის ბედნიერების წყარო, ისაა მისი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი... ეს ქვეშარიტება გულდაჩაგრულს მგოსანს კარგად ჰქონდა შეგნებული“².

ამასთან ერთად ილ. ფერაძემ ის გარემოებაც შენიშნა, რომ პოეტმა მკვეთრად გაუსვა ხაზი არსებულ სოციალურ უთანასწორობას, სასტიკად გაილაშქრა ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ, „პოეტი-თავადი მონობას უსამართლობად და სირცხვილად სთვლის და წინასწარმეტყველურის შორსმკვრეტელობით ეუბნება მჩაგვრელებს, რომ ისინი მოელოდნენ ჩაგრულებთან თანასწორობას“³.

სავესებით სწორად არის გაგებული ილ. ფერაძის მიერ ალ. ქავჭავაძის ელეგიის „გოგჩა“-ს შინაარსი, მართებულია კრიტიკოსის მიერ ნაწარმოების შეფასება.

მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, საბოლოოდ ილ. ფერაძემ ალ. ქავჭავაძის მოქალაქეობრივ-პოეტური მოღვაწეობის შესახებ მაინც სწორი დასკვნა გამოიტანა და აღნიშნა, რომ პოეტი თავისი ქნარით „ქართველის მიძინებულს გრძნობას აღვიძებდა და რამდენადაც დრო და გარემოება ხელს უწყობდა, საერო სევდას თავის ქნარის სიმებს ანღერებდა... ის იყო ერთად ერთი მგოსანი მეცხრამეტე საუკუნის პირველს მეოთხედში, რომელმაც ქართული პოეზიის

¹ „განათლება“, 1912 წ., № 8, გვ. 595.

² იქვე, გვ. 596.

³ იქვე, გვ. 597.

უცხლი გაუქრობლად შეინახა მომავალ დროისა და თაობათათვის—ის ერთად ერთი მგოსანი იყო, რომელმაც ქართველს საზოგადოებაში სიმშენიერის მიმართ მსახურების იღეა დაიცვა... და ქართული ლექსი ქართველს ერს შეარჩინა... მისი სასიმღერო ლექსები ქართველი ერის გრძნობას ასაზრდოებდა და მისი ღრმა-აზროვანი ლექსები კი მის გონებას აზროვნების და დაკვირვების ნიქს უფითარებდა... ამის გამო მას თამამად შეგვიძლია მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის მამათ-მთავარი ვუწოდოთ¹.

კრიტიკოსის დასკვნა საეცებით ქეშმარიტია.

* * *

ლიტერატურული კრიტიკის ისტორიამ არაერთი და ორი შემთხვევა იცის, როდესაც მწერლის ირგვლივ ერთხელ გამოთქმული უმართებულო შეხედულება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მეორდება და მეორდება უკრიტიკოდ, ტრაფარეტულად.

სამწუხაროდ, ამ საბედისწერო მოვლენას ვერც არტულია ისტი ასცდა. თავის მოკლე წერილში „ორი მგოსანი—ალ. ქავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი“, რომელიც არსებითად კრიტიკული ხასიათის მატარებელი არ არის, მან სრულიად უცვლელად გაიმეორა თითქმის ყველა ის მცდარი დებულება პოეტისა და მისი შემოქმედების ირგვლივ, რაც მანამდე იყო გამოთქმული სხვადასხვა კრიტიკოსთა მიერ და რომელთა უსაფუძვლობის შესახებ ჩვენ ზევით არაერთხელ გვქონდა ლაპარაკი.

მაგალითად, არ. ლაისტის თქმით, ალ. ქავჭავაძე „ქეშმარიტი ქართველი იყო, მაგრამ მებატონე, რომელიც კარგად სცნობდა საკუთარ ინტერესებსა და სამშობლოს სიყვარულით ნაკლებ იყო შეპყრობილი“².

გარდა ამისა, თურმე „გარკვეული ხასიათი და შეხედულება ცხოვრებაზე არა ჰქონია ამ სიცოცხლიან ფეოდალს.

¹ „განათლება“, 1912 წ., № 8, გვ. 597.

² არ. ლაისტი, საქართველოს გული, წ. II, გვ. 135.

ღვინო, ქალები და სიყვარული შეადგენენ მის ლექსთა დედა-აზრსა“¹.

აღ. ქავჭავაძის შემოქმედებაში არ. ლაისტი ვერაფერს ხედავს ორიგინალურს, იგი „ძველ ქართულ ენაზე სთხუზავდა სიმღერებსა და ლექსებს, ჰბაძავედა ხან ბესიკსა, ხან კი სპარსულ მგოსანს ჰაფისსა და ამავე დროს ხანდისხან სწერდა როგორც ევროპელი პოეტი მე-19 საუკუნისა“². ძირითადად კი პოეტის ჰანგი ბესიკისა და საიათნოვას გაგრძელებად ეღერდაო.

არ. ლაისტის აზრით, სპარსეთთან და ოსმალეთთან ომის შეწყვეტის შემდეგ „ყველასათვის, ვინც არ მსახურობდა სამხედრო სამსახურში ანუ მთავრობის მოხელედ, დაიწყო უკმი ცხოვრება და გაჰმრავლდნენ ლუარსაბნი და დარეჯანნი“.

„ასეთ წრეში სცხოვრობდა ალექსანდრე ქავჭავაძე, მასთანა სტკებობდა და მისთვის სწერდა თავის ლექსთ. მაგრამ ჩვენთვის უცნობია, თუ როგორ მოსწონდათ ეს ლექსები მგოსნის სიცოცხლეში“³.

ამგვარ შეხედულებათა განვითარების შემდეგ ყოველგვარ დამაჯერებლობას იყო მოკლებული არ. ლაისტის დეკლარატიული განცხადება, რომ აღ. ქავჭავაძის შემოქმედება „ხმატკბილ წინაპრის, ბესიკის, მსგავსად, იტაცებდა და იტაცებს... ქართველთა გულს, ათრობდა კაცსა და ქალს, უადვილებდა ზრუნვის დავიწყებას, ტანჯვის გადატანას სევდიან, მწუხარე დღეებში“⁴.

ეს შეხედულება სავსებით მართებულია, მაგრამ იგი არ ეთანხმება არ. ლაისტის მიერ პოეტის შემოქმედების ირგვლივ მანამდე განვითარებულ შეხედულებებს. მათ შორის აშკარა წინააღმდეგობაა.

* * *

აღ. ქავჭავაძის შემოქმედებას შეეხო პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი ქართული სიტყვიერების ისტორიის მოკლე კურსში.

¹ არ. ლაისტი, საქართველოს გული, წ. II, გვ. 19.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 20.

⁴ იქვე.

მკვლევარი ფიქრობს, რომ „ა. ჭავჭავაძის პოეტურმა ნიჭმა გაიღვიძა საპყრობილეში მწარე დღეების შესმით. პირველათ მის ნაწერებს აზის უფრო მე-XVIII საუკ. მგონის ბესიკის გავლენის ბეჭედი. ამის მიხედვით ალექსანდრე ჰაბაძეს სპარსულს ლირიკას — საჰადის და ჰაფიზს. დამახასიათებელი ნიშანი მისი ლექსებისა არის მგრძნობელობა და მასზე გაფურჩქნილი სიყვარული“¹.

აღ. ჭავჭავაძის უდიდეს დამსახურებას პროფ. ალ. ხახანაშვილი იმაში ხედავს, რომ მან ერთნაირად შეისისხლბორცა „საფრანგეთის ფილოსოფოსის ვოლტერის ექვიანობა, სკეპტიციზმი და სპარსელი პოეტების გრძნობიერება... გარდა ამისა ალექსანდრემ სახელი მოიხვეჭა“, როგორც რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ნაწარმოებთა მთარგმნელმა.

აღ. ჭავჭავაძის პოეზიის არსებით ნიშნად, მსგავსად სხვა კრიტიკოსებისა, ალ. ხახანაშვილიც მიიჩნევს „მგრძნობელობას და მასზე გაფურჩქნილ სიყვარულს“, მის სატრფიალო ლექსებს „ახმოვანებს ორგვარი კილო: ტკბილი ღიღინი და გულმოსაკლავი სევდა“². მაგრამ ამავე დროს მკვლევარმა ისიც აღნიშნა, რომ პოეტის „ქნარი თითქოს უზრუნველად, ლაღად დამღერის ღვინოს, დროსტარებას, ქეიფს, ლხენას“³ და ამგვარ ლექსებში ვლინდება პოეტის იუმორი ერთი მხრით, ღვინით და ლხინით გატაცებულ ადამიანთა მამართ. ხოლო მეორე მხრივ, მწარე ფიქრი და ნაღველი „ამა სოფლისა“ ცხოვრებით გამოწვეული.

აღ. ხახანაშვილმა გაკვრით, მაგრამ მაინც მიუთითა პოეტის შემოქმედებაში არსებულ მოქალაქეობრივ გრძნობაზე, საკაცობრიო სევდაზე და პატრიოტულ სულისკვეთებაზე, რაც, მისი სიტყვით, „გამოწვეული იყო უბედურის ჩარხის ტრიალით — ციხეში დატყვევებით და სამშობლოსთან მოშორებით“.

ასეთი იყო ის ძირითადი შეხედულებანი, რაც ალ. ხახანა-

¹ ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1913 წ., გვ. 21.

² იქვე, გვ. 23.

³ იქვე, გვ. 22.

ნაშეიღმა განავეითარა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ. როგორც მკითხველი ხედავს, აქ არაფერია ახალი და ორიგინალური, რაც მანამდე არ განოეთქვა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას.

* * *

1913 წელს ეურნალ „განათლებაში“ ს. დადიანმა გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით: „საზოგადოებრივი აზრები XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში“, რომელშიც ავტორი გაკვრით ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებასაც შეეხო.

სამწუხაროდ, ვერც ს. დადიანმა შესძლო აეცილებინა თავიდან ის ზოგიერთი მცდარი შეხედულება პოეტის შემოქმედებაზე, რაც მანამდეც არსებობდა.

ს. დადიანის აზრით, ალ. ჭავჭავაძეს, რომელიც „მოწამე იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, ახალი ცხოვრების დასაწყისისა, ისე დაებნა გზა-კვალი, რომ ვერ გამოერკვია რა პოზიცია უნდა დაეკირა და როგორ შეხედროდა ახალ მდგომარეობას. ამ გამოურკვევლობისაგან გამოწვეულმა უქმყოფილებამ ღრმა კვალი დააჩნია მის ნაწარმოებებში“¹.

სინამდვილეში კი ალ. ჭავჭავაძისათვის სრულიად გარკვეული იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მის სამშობლოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. საქართველოში ცარიზმის დამკვიდრებისთანავე, რაც თავის გამოხატულებას უხეშ კოლონიურ პოლიტიკაში პოულობდა, ალ. ჭავჭავაძე კი არ დაიბანა, არამედ, იარალით ხელში ჩაება მთიულეთის აჯანყებაში. მართალია, ცხოვრების შემდგომ წლებში პოეტმა ეს გზა მცდარად აღიარა, მაგრამ დაბნეულობა არც ამ პერიოდში ყოფილა მისთვის დამახასიათებელი. 30-იანი წლების შემდეგ პოეტისათვის საფსებით ნათელი გახდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა და როგორც იმპერატორთან წარდგენილ მოხსენებაში, ასევე მხატვრულ შემოქმედებაშიც მკვეთრად გაუსვა

¹ „განათლება“, 1913 წ., № 2, გვ. 124.

ხაზი ამ გარემოებას. მაგრამ პოეტი ნაციონალური ჩაგვრის შეურთებელი მტერი დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე და უკმაყოფილების გრძნობაც, რომელიც მკვეთრად გამოსჰვივის პოეტის შემოქმედებიდან, გამოწვეულია ცარიზმის მკაცრი ნაციონალური პოლიტიკით და არა დაბნეულობით, როგორც ამას ს. დადიანი ფიქრობს.

ს. დადიანი მართებულად ეკამათება კ. აბაშიძეს, რომელიც ფიქრობს, რომ ალ. ქავჭავაძის „მეტად ხორციელი“ შეხედულება სიყვარულზე აიხსნება სპარსული და აზიური გავლენით. „სპარსულ გავლენაზე, — წერს კრიტიკოსი, — შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ფორმის მხრით, მაგრამ რაც შეეხება სიყვარულის ხასიათს, არავისი გავლენა არ ესაქიროება ალ. ქავჭავაძეს, რომ მას შეეყო და ედიდებინა არა საიმპერეცო, უსუსური და სენტიმენტალური სიყვარული, არამედ ამ ქვეყნიური ძლიერი გრძნობათა ამშლელი და სალი სიყვარული“¹.

თუ ამ შემთხვევაში ს. დადიანი მართალი იყო, სამაგიეროდ ცდებოდა იგი, როცა ფიქრობდა, რომ თითქოს პოეტი ვერ ჩასწვდა ხალხის გულის თქმას, აწმყო მისთვის დადუმებული იყო და მხოლოდ მომავლის ბუნდოვანი წინასწარმეტყველება იკისრა. ასევე ცდებოდა იგი, როდესაც აღნიშნავდა, რომ „ალ. ქავჭავაძე გრძნობდა და თანაუგრძნობდა ხალხის დარდებს, მას ესმოდა ხალხის გლოვა, მაგრამ ვერ შეეგნო მისი მიზეზთა სიდიადე. მგოსანმა დარდის გასაქარვებლად სრული ნება მისცა თავის მგზნებარე ბუნებას და მართლაც „ვარდ-ბულბულის“ მომღერალ პოეტად გადაიქცა, მაგრამ მისი ჩანგი მთლად ხმა-ტკბილად არ იყო მომართული. მას სურდა ურჩი გონება სიყვარულში და ღვინოში ჩაეხრჩო, მაგრამ თავისი მგრძნობიარე გულს იგი მაინც ვერ იჩლუნგებდა და უფრო ღრმად გრძნობდა თავის დარდების სიმწვავეს“².

გფიქრობთ ნათელი უნდა იყოს ის წინააღმდეგობა, რომელიც იგრძნობა ს. დადიანის შეხედულებებში. როგორ

¹ „განათლება“, 1913 წ., № 2, გვ. 125.

² იქვე.

შეიძლებოდა პოეტს თანაეგრძნო „ხალხის დარღებისათვის“, თუ კი იგი ვერ ჩაწვდა მის გულისთქმას? ალ. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება და მისი ხანმოკლე ცხოვრება ნათელი მაჩვენებელია, თუ რა ახლო იყო პოეტი ხალხთან და რა კარგად ესმოდა მისი გულისწუხილი. პოეტის მწუხარება არასოდეს არ ყოფილა ანგარიშშიუცემელი და გამოსავალი მწუხარების რკალიდან მსუბუქ სიყვარულსა და ღვინოში არ უძებნია.

* * *

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას ორი საჟურნალო წერილი უძღვნა სილოვან ხუნდაძემ. პირველ წერილში, რომელიც დაიწერა პოეტის გარდაცვლებიდან 70 წლისთავის გამო¹, კრიტიკოსის მიერ ალ. ჭავჭავაძე მიჩნეულია ერთ-ერთ უნიკიერეს პოეტად, რომელმაც მოგვცა ქვეყანის ბუნების მშვენიერი აღწერილობა და რომლის „ლექსნი სატრფიალო, სასიმღერო, გულის მონწველი კილოთი არის გამსჭვალული“. ამავე წერილში სილ. ხუნდაძემ მართებულად მიიჩნია ალ. ჭავჭავაძის დახასიათება ილ. ჭავჭავაძის მიერ ლექსში „ალექსანდრე ჭავჭავაძეს“.

მცირე ხნის შემდეგ ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ სილ. ხუნდაძემ გამოაქვეყნა მეორე წერილი, რომელშიც მან აღრე გამოკვეყნებულ წერილთან შედარებით სრულიად საწინააღმდეგო მოსახზრებანი განავითარა.

თუ პირველ წერილში კრიტიკოსის მიერ ალ. ჭავჭავაძე მიჩნეული იყო უნიკიერეს პოეტად, მეორე წერილში იგი საშუალო ღირსების მგონად გამოაცხადა და შეეცადა ამ დებულების დასაბუთებას.

ს. ხუნდაძის აზრით, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება მკითხველთა ფართო წრეს ვერ მისწვდა, რასაც „თავისი საპატრიო მიზეზები აქვს“.

რა მიაჩნია კრიტიკოსს იმ ხელისშემშლელ მიზეზებად, რა-

¹ ჟურნ. „ცხოვრება“, 1916 წ., № 16.

მაც საშუალება არ მისცა ალ. ქავჭავაძის შემოქმედებას მკითხველთა ფართო წრემდე დასულიყო?

სილოვან ხუნდაძის სიტყვით, „უპირველესათ ყოვლისა ალ. ქავჭავაძის ლექსები უმეტესათ მძიმე ენით არის დაწერილი, მრავალი გაუგებარი სიტყვა და გამოთქმა ხვდება შიგ საშ. ვალო მკითხველს, რაიც აბრკოლებს აზრის გაგებას“¹, თვით ისეთი საუკეთესო ნაწარმოებნიც კი, როგორცაა „კავკასია“ და „გოგჩა“, მისი აზრით, დღეს კრიტიკოსების გარდა სხვას არავის ახსოვს და „ამის მიზეზი მათი გარეგანი მძიმე ფორმაა, მძიმე ენა, ხშირად გაუგებარი“².

რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება სავსებით სწორი არ არის, მაგრამ ს. ხუნდაძეს ჰქონდა საფუძველი, რომ პოეტის შემოქმედებაზე ასეთი აზრი შეემუშაებინა. როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, ალ. ქავჭავაძის პოეტურ ენას მართლაც ახასიათებს ერთგვარი სიმძიმე, რაც ანტონ კათალიკოსის „მალალი სტილის თეორიის“ უშუალო გავლენით უნდა აიხსნას. არქაიზმები შემთხვევით აღვიწყებულს არ იკავებენ ალ. ქავჭავაძის პოეტურ მეტყველებაში, არც ბარბარიზმების გამოყენებაა იშვიათი. გვხვდება მწიგნობრული, განყენებული ეპითეტებიც, არაბუნებრივი ალევორია-მეტაფორები, ზოგჯერ უკავშირო ფრაზებიც და სხვ. ყოველივე ეს კი ამძიმებს პოეტის მეტყველებას და ზოგჯერ აზრს საშუალო მკითხველისთვის გაუგებარს ხდის.

მაგრამ ალ. ქავჭავაძის შემოქმედებაში შეიმჩნევა ენობრივი სიახლეც; იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც არღვევს ანტონ კათალიკოსის თეორიულ ნორმებს და პოეზიაში ხალხური მეტყველების ნიმუშები შემოაქვს.

ს. ხუნდაძე ფიქრობს, რომ „მეორე ნაკლი ალ. ქავჭავაძის ლექსებისა ის არის, რომ თითქმის მისი ლექსი ომონიმებით არის თხზული — და ხშირად იმისთანა ომონიმებით, რომლის აზრის გასაგებათაც დიდი ფიქრი და კვლევაა საჭირო“³.

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ. № 51, გვ. 12.

² იქვე, № 52, გვ. 11.

³ იქვე.

აღ. ჭავჭავაძე მართლაც არაიშვიათად მიმართავს ომონი-
მებს, ზოგიერთი ომონიმის გასაგებად საშუალო მკითხველს
მართლაც ჭირდება ფიქრი და ლექსიკონიც კი, მაგრამ არ
შეიძლება ბუნდოვანი ომონიმების გამოყენება აღ. ჭავჭავაძის
პოეტური მეტყველების დამახასიათებელ გარემოებად მივიჩ-
ნოთ. პირიქით, მთელ რიგ ნაწარმოებებში პოეტის მიერ
ნახმარი ომონიმები თავისი სისადავით არაფრით არ ჩამოუ-
ვარდებიან აკ. წერეთლის მიერ ნახმარ ომონიმებს ლექსში
„აღმართ აღმართ“, რომელიც სილ. ხუნდაძეს სანიმუშოდ
მიაჩნია.

მაგალითისათვის მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიტანთ:

„სახე შენი მე მახევა, ნებადა,
სულ განმძარცვა-რაცლა ცნობა მებადა,
პატიმრობას მიმცა დაუსრულებელს,
მღერად ოხერა, ლხინაჲ გლოვა მებადა“.
(„სახე შენი“)

„არვის ჰმართებს მის ვარდისა მიხვედრა.
ვის გლახ გული დაემონა და ესვა!
ბედმან იგი მე მხოლოსა მიხვედრა, —
გულს ისარი შურით ყვავს რად დაესვა?“
(„არვის ჰმართებს“)

„ვიწყო წერა მაჯამით,
დაშერეს ჩემი მაჯა მით:
ლებეფ, ნექტარის ნაცვლად
მასვი, ვასტირ მა ჯამით“
(„ვიწყო წერა მაჯამით“)

მაგალითების მოტანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა, მაგ-
რამ ვფიქრობთ საკირო არ არის. როგორც მოტანილი მაგა-
ლითებიდან, ასევე ომონიმიური ხასიათის სხვა ნაწარმოებე-
ბიდან ნათლად იგრძნობა, რომ პოეტი ცდილობს იმგვარი
ომონიმების შერჩევას, რომელნიც აზრს ნათლად და მარ-
ტივად გამოხატავენ.

მართალია, აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში გვხვდება XIX

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ., № 52, გვ. 11.

საუკუნის მეორე ნახევრისა და თანამედროვე მკითხველისათვის ბუნდოვანი ომონიმები, მეტად მოძველებული, არქაული ფორმები, მაგრამ ბევრი მათგანი სავსებით გასაგები იყო ალ. ჭავჭავაძის თანამედროვე მკითხველისათვის, რადგან იმ პერიოდში ქართული ენა მხოლოდ იწყებდა ძველი ქურქის თანდათანობით ჩამოშორებას და მეტყველების ძველი ფორმები ხშირად უფრო გასაგები, მისაღები იყო ალ. ჭავჭავაძის მკითხველთათვის, ვიდრე მის მიერვე შემოტანილი ახალი სიტყვები და მეტყველების ფორმები.

ს. ხუნდაძემ ყურადღება მიაქცია ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ხასიათის ნაწარმოებებს, მაგრამ ყველა მათგანი ერთიანი გრძნობის გამომხატველად მიიჩნია, და რაც მთავარია, დაიწუნა მათი გარეგნული ფორმა. პოეტის მთელ შემოქმედებაში კრიტიკოსმა მხოლოდ ხუთიოდე ნაწარმოები შენიშნა („ვაჰ დრონი, დრონი“, „სიყვარულო, ძალსა შენსა“, „უამნი ჰრბიან“ და „ქმუნვის მახვილი“), რომელიც შეიძლება გარეგნული ფორმის თვალსაზრისით მკითხველს მოეწონოს, მაგრამ „ამ ხუთ ლექსშიც არც ერთზე არ იტყმის, ეს ლექსი ყოველ მხრით უნაკლოაო. მათ შორის სამ ლექსში ერთი და იგივე ტაეპი ხშირად მეორდება: ამგვარი ლექსთწყობა ხშირად აქვს ალ. ჭავჭავაძეს — და სწორედ ეს ხშირი გამეორებაა, რომ ესთეტიკას ეწინააღმდეგება“¹.

ზემოხსენებულ ლექსებში მართლაც გვხვდება რეფრენული პარალელიზმები. პოეტი რეფრენად იყენებს ან ტაეპს, ან მთელ ხანას, მაგრამ ეს გარემოება დაბლა კი არ სწევს ნაწარმოების პოეტურ ღირსებას, პირიქით, მას გარკვეულ ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებს. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ ყოველგვარი გამეორება, იქნება ეს ფრაზების ანაფორული წყობა („როს გიყვარდი“), რეფრენული თუ სტროფული პარალელიზმები, პოეტს ეხმარებიან მკვეთრად გადმოსცეს თავისი აზრები, ფიქრები და სულიერი განწყობილება, ხაზი გაუსვას არსებითსა და ძირითადს, რათა იგი მკითხველთან ადვილად მიიტანოს.

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ., № 52, გვ. 12.

ზემოთ მოტანილ შეხედულებათა შემდეგ ს. ხუნდაძე იძულებული გახდა უარეყო ეურნ. „თეატრი და ცხოვრებაში“ წამოყენებული მოსაზრებანი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ და გამოჰკამათებოდა ილ. ჭავჭავაძეს, რონელმაც ლექსში — „ალ. ჭავჭავაძეს“ მოგვცა პოეტის შემოქმედების მართებული დახასიათება, რასაც მანამდე კრიტიკოსიც მხარს უჭერდა. „მეტის მეტათ გადაქარბებულათ მიმაჩნია იმათი შეხედულება, — წერს სილ. ხუნდაძე, — რომელნიც ფიქრობენ, რომ ალ. ჭავჭავაძე პირველხარისხოვანი მგოსანია, ტკბილი მგოსანი, ისე რომ

„მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან სუფრაზე მოჭურინდება,
გულს ჩაგვიკრავს, ლაღობს ხარობს,
გამღერებს და ამღერდება“.

ამისთან ლექსი მას ერთი აქვს და ისიც როგორც ზევით ნათქვამია, დიდი პოეტური ღირებულებებისა არ არის, უბრალო სალხინო ჰანგია“¹,

„ხან ღონდება ნახ ქალსავით
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჰაბუქსავით
და განდევნის სევდას გულით.

ხან ბუჩქებში მიმალული,
ჰხის მარტო ვით იადონი,
შეჰყუფს სატრფოს გულსაკლავად,
ტრფობის ისრით განაწონი“.

ეს აზრიც გადაქარბებულია, რადგან როგორც ვნახეთ, ალ. ჭავჭავაძის სამიჯნურო ლექსები განსაკუთრებით თავისი გარეგანი ფორმით არ არიან ნაზი და რკბილხმოვანი, როგორც ილიას გონია, და ამიტომაც „ტრფობის ისრით“ ვერავის „გასწონავს“.

„ხან ჰრბის ველად. მ.რტოდ გაღობს,
უდაბნოში ვითა მწირი,
შეჰყენეს შავ ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი“.

¹ გულისხმობს ალ. ჭავჭავაძის ლექსს „მუხაჰბაზი ლათაიური“.

ეს აზრი არ არის საფუძვლიანი, ვინაიდან „ქვეყნისათვის ანატირი“-ს ცრემლები ალ. ჭავჭავაძის ლექსებში სანთლით საძებარია და, საცა არის, ისიც აშკარად არა ჩანს თუ რისთვის ტირის მგოსანი“¹.

ამონაწერი ცოტა ვრცლად მოვიტანეთ, რათა ყოველგვარი კომენტარიის გარეშე ნათელგვეყო მკითხველისათვის, რომ სწორედ „ეს აზრი არ არის საფუძვლიანი“. „ქვეყნისათვის ანატირი“-ს ცრემლების სანთლით ძებნა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში რიყებზე ქვის ძებნას გვაგონებს, ხოლო ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ნაწარმოებთა ხელალებით უარყოფა როგორც ფორმის, ასევე შინაარსის თვალსაზრისით, სხვა რომ არა ვთქვათ, კრიტიკოსის დაბალ მხატვრულ გენოვნებაზე მიუთითებს.

ასე წარმოგვიდგინა რევოლუციამდელმა ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედება.

ჩვენ განვიხილეთ თითქმის ყველა ძირითადი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი. მიუხედავად რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებისა, რაც ამ წერილებს აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ავტორმა უდავოდ უარყოფითი როლი ითამაშა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების საფუძვლიანად შესწავლის საქმეში, ამ წერილებს მაინც ჰქონდათ გარკვეული მნიშვნელობა. მათ ერთი მხრით, ხელი შეუწყვეს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების პოპულარიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, საკმაოდ უხვი მასალა მისცეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას პოეტის შემოქმედების ღრმა და მეცნიერული შესწავლისათვის.

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ., № 52, გვ. 12.